

სამხრეთი ხელოვნება

GOBET'KROE  
УКРУГГ'ТВО  
SOVIET  
АРТ  
SOWJETKUNST  
АРТ  
SOVIET'IQUE



1972



ეროვნული  
ბიბლიოთეკა  
სსრკ-ის  
ნოტი

# სეგჟოთა სელოვნება



შურნალი გამოდის 1921 წლიდან

თუბტყი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კინო  
ჯეჟიბეჟტუტუ  
ჟოტეოგტუფი



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-კოლტიკური,  
ლიბრატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული ყოველთვიური შურნალი

1972





ბელაღის  
ფეკლოან



ვ. ი. ლენინის სახელობის  
პიონერული ორგანიზაციის  
50 წლისთავი

მ. გვაჯია.

სამშობლოს ცის შველები.





# გეოქეპელებითი კოლექტივის ეთიკა

მიხეილ ზილოვი

«Я, как единица, ничего не могу, но мы, как сплоченная группа энергичных тружеников можем все».  
А. П. Ленский.

«Один из нас или несколько ничего сделать не смогут без объединения всей группы, всего, что в ней есть истинно артистического, в одну сплоченную общей массой».  
А. И. Южин.

«Сначала один — я сам. Потом двое — я и единомышленник, потом четверо, восемь, шестнадцать и т. д. ...Если в первый год у вас создается группа только из пяти-шести человек одинаково понимающих задачу, всем сердцем преданных ей и неразрывно идейно связанных между собой, будьте счастливы и знайте, что ваше дело уже выиграно».  
К. С. Станиславский.

თეატრალური ხელოვნება თავისი ბუნებით კოლექტიურია. იგი სხვადასხვა პროფესიის მუშაკთა შრომას აერთიანებს. ამით არის გამოწვეული თეატრის ორგანიზაციული ფორმების სირთულე და მრავალფეროვნება, შემოქმედებითი კოლექტივის აღზრდის პრობლემის წამყვანი მნიშვნელობა.

კ. ს. სტანისლავსკი წერდა: „... თეატრალური ხელოვნების მსხვილი ორგანიზაციული ფორმები, პირველ რიგში მოითხოვს კოლექტივის სათანადოდ მომზადებულ და ჩამოყალიბებულ შემადგენლობას, რომელსაც ძალუძს მათი განხორციელება. ეს შემადგენლობა მე წარმოდგენილი მყავს, არა როგორც ადვილად შესაცვლელი ნაწილების მქაანიკური კავშირი, არამედ როგორც ორგანიზაციული სისტემა, რომლის ყოველმა წევრმა მტკიცედ იცის თავისი ადგილი, მოქმედების სფერო და მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა“.

წინამდებარე შრომა ეხება შემოქმედებით თანამოაზრეთა კოლექტივის ეთიკური აღზრდის ძირითად პრობლემებს. მასში განხილულია იდეურ მიმართულებასთან, სპექტაკლების მსატერულ ხარისხთან, მსახიობისა და რეჟისორის ოსტატობის ტექნოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები.

მოსმრების სამხატვრო თეატრმა ძალიან მალე დაიკავა წამყვანი ადგილი რუსულ თეატრში. მხატვის შექმნის მაგალითზე მკაფიოდ გამოჩნდა ერთიანი იდეური ნორმების, კარგად გამოკეთილი სასოგადოებრივი პოზიციების, ნათელი და მყარი მსატერული პრინციპების, ზუსტად დასახული სარეჟერტუარო ხაზის მქონე კოლექტივის უპირატესობა. მხატვისთვის წერდნენ იმ დროის საუკეთესო დრამატურგები ჩხეთვისა და გორკის მეთაურობით. ამ თეატრის ხელოვნებამ საყოველთაო აღიარება მიიპოვა და იგი განმსაზღვრელ გავლენას ახდენდა მთელი რუსული მსატერული კულტურის განვითარებაზე.

მნიშვნელოვანია გაირკვეს: რა ნიდაგზე შეიძლება აღმოცენებულიყო ასეთი მსატერული ორგანიზმი? სტანისლავსკი პირდაპირ მიუთითებს მსატერული პრინციპების თანმიმდევრობაზე, რომლებიც საუქცლად დეიდო ახალ თეატრალურ საქმეს: „გადაწყდა, უნდა შექმნილიყო სა-



ხალხო თეატრი დაახლოებით იგივე ამოცანებითა და იმავე პლანში, როგორც ციფრებდა ოსტრეგისი. ძირითად შემოქმედებით ამოცანად წამოიწია სპექტაკლის პარმონიული მთლიანობის მიღწევა, რაც მთლიანად მხატვრულ ჩანაფიქრს უნდა დამორჩილებოდეს<sup>11</sup>.

მომავალი თეატრის ორგანიზატორები თვლიდნენ, რომ მის შემოქმედებაში უნდა ასახულიყო და შემდგომ განვითარებულიყო გოგოლისა და შიგუნიკის ტრადიციები. სტანისლავეს მიერ თეატრის შესანიშნავ ოსტატობა ღრმად რეალისტური ხელოვნებიდან იღებდა თავისი სისტემის შემქმნისთვის საჭირო მასალას.

მსოფლიოს სამხატვრო თეატრის შექმნის ისტორია და მისი არსებობის პირველი რამდენიმე ათწლეული შეიძლება გამოვადგეს კარგ მაგალითად, თავისებურად „იდეალურ მთვლელად“ შემოქმედებით თანამოსწრეთა თანამედროვე კოლექტივის აღსაზრდელად. აი, რას წერს კ. სტანისლავესი ნემიროვი-დანიჩენოსთან თავისი პირველი, თვანებესაათიანი საუბრის შესახებ: „სახლთა მსოფლიო კონფერენცია თავის მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებზე არ მსჯელობდა ისეთი სისუსტით, როგორც ჩვენ განვიხილავდით მომავალი საქმიანობის საფუძვლებზე, წმინდა ხელოვნების საკითხებს, ჩვენს მხატვრულ იდეალებზე, სცენურ ეთიკას, ტექნიკას, ორგანიზაციულ გეგმებს, მომავალი რეპერტუარის პროექტებს, ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას“<sup>12</sup>.

„მისა და ისე, რომ ორგანიზაციულ საკითხებში დამოუკიდებლად ვმუშაობდით, მაგრამ ერთმანეთს მუდამ ვეხმარებოდით. მისთან საერთო გეგმონდა. მხატვრული რეალობა, ავტორის ჩანაფიქრის ღრმად გახსნა და შეუძლებარი ბრძოლა სცენაზე შეტანაში და ცხოვრებაში — ბოჰემასთან“ — იგონებდა გ. ი. ნემიროვი-დანიჩენო სტანისლავესისთან მუშაობის პირველ წლებზე<sup>13</sup>.

ცნობილია, რომ ყველაფერმა ამან რეალური განხორციელება პიკვა სამხატვრო თეატრის შემოქმედებით პრაქტიკაში. თეატრის ხელმძღვანელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საქმის ორგანიზაციულ მხარეს, პირველ რიგში კი თეატრის შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. უმთავრესი ამოცანა მაინც თეატრის ხელოვნება იყო.

თავიდანვე მკაფიოდ გაიყო ახალგაზრდა თეატრის ორი თანამართლებელი დირექტორის გაგონებათა სფერო. მხატვრულ-სადადგმო საკითხების ინიციატივა და ვიკტოს უფლბაი ეუთვნებდა სტანისლავესის, სარკურტუარო და საორგანიზაციო შემოქმედებით საკითხებს განაგებდა ნემიროვი. ისინი ერთმანეთს აესებდნენ. მხოლოდ ამ ორი გამოჩენილი თეატრალური მოღვაწის შემოქმედებით და ორგანიზატორული გამოცდილებით შერწყმამ განსაზღვრა ახალი საქმის ბრწყინვალე წარმატება.

თუმცა სფეროების ეს მიზანგანად გამართლებული და მიზანმიმართული განაწილება ყველაფრის მშვიდად როდი ხორციელდებოდა. თეატრის ცოცხალ პრაქტიკაში ეს ორი ხელმძღვანელი არაერთხელ მიუყვანია უთანხმოებადმდე. ნემიროვი თავის თანამშრომლობის პირველი წლების შემდეგ

სახებ წერდა სტანისლავესის: „მეშინოდა ყველაზე სამინელი ამის — გაურკვევლობის... ეს ძალზე საშინოა, ვინაიდან მხოლოდ ჩვენი ერთობით და სიხსლოვით შეიძლება ამ საქმეში წარმატების მიღწევა. მე უკეთესად არაფრის გაკეთება არ შემიძლია. თქვენი უკეთესად შეიძლება, ოღონდ უფრო ნაკლები, ვიდრე ჩემთან ერთად“.

ყურადსაღებია ვლ. ნემიროვი-დანიჩენოს გულწრფელი თანხა. იგი გამოხატავს ეჭებს ყოველგვარი რთული სიტუაციიდან და აქტიურად ესწრაფვის „ურთიერთობის გაგროვებას“, ხელს უწყობს შესარჩევად. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორ შემოქმედს შორის კონფლიქტისა და ურთიერთობის ვართულება არ იყო მათი მუშაობის განმსაზღვრელი. ღრუბლები არც თუ ისე ხშირად იყრიდნენ თავს, ნათელი დღეები სჭარბობდა და მაშინ კარდინალურად იცვლებოდა წერილობითი შინაარსი. „ქვირფასო კონსტანტინე სერვისი ძველ... მინდა გიხსნათ ყველაფერი, რასაც ვგრძნობ თქვენს მიმართ. მინდა გიხსნათ, რომ მწველად მოიქცებება კიდევ ვინმე, რომელიც ასე გრძნობდეს თქვენი ბუნების კეთილშობილებას, საქმიანობაში თქვენს წმინდა დამოკიდებულებას, არავითარი წვრილმანი არ ანაგვიანებს თქვენს დელოკატურ დამოკიდებულებას იმათი სულის სათუთ სიმებთან, ვისთანაც თქვენ მუშაობს გისდებება“<sup>14</sup>.

მხატვლთა ახალგაზრდა კოლექტივის წინაშე ამ წლებში უთუთოდ იდგა შემოქმედებითი, სასოფლოებრივი და პირად ცხოვრების მალალი ეთიკური მოთხოვნებიანი. ამ ეთიკური მოთხოვნების ნორმად ქვეყა ამა თუ იმ თეატრალური კოლექტივისთვის გულისხმობს ყველაზე უფრო ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფას შემოქმედებითი მოღვაწეობის წარმატებისთვის.

ფართოდ ცნობილი მორალურ-ეთიკური კრიტერიუმები: „ერთი ყველასათვის — ყველა ერთისთვის“, „ვიყვარდეს ხელოვნება შენში და არა შენი თავი ხელოვნებაში“, ერთიანი მხატვრული დამოკიდება ყველასათვის — დიდისა და პატარისთვის, მომთხოვნელობის მალალი საერთო საქმიანობის, სახელმძღვანელო იქნენ, მაგრამ არა აუცილებლობად.

სტანისლავესისა და ნემიროვი-დანიჩენოს მიმოწერებში კარგად არის ასახული მხატვის მამონდელი კოლექტივის საქმიანობის კვიზატიკურა. ერთხელ, მსახიობის ავადმყოფობის გამო, სპექტაკლი შევიკავს და დანიშნეს მანუქმანის „ჩაიბრული ზარა“. პერიზის ცენტრალურ როლს ამ სპექტაკლში სტანისლავესი ასრულებდა (ეს როლი ერთი ურთულესთაგანი იყო მის რეპერტუარში).

სტანისლავესი ვადლოლი იყო სამუშაოთი და უარი თქვა თამაშზე. იმ დღეს სპექტაკლი საერთოდ გააუქმეს. ეს არარეგულბრივი ამბავია თეატრის პრაქტიკაში საერთოდ. სანტეგრესია როგორი რეაგირება მოხსნია მხატვრული ნემიროვიმ, რომელიც პასუხს აეცადა თეატრის სამხატვრო-ორგანიზაციულ საქმიანობაზე?

აი, რას წერს იგი სტანისლავესის მისი ასწან-განმარტების პასუხად: „გადადებული სპექტაკლი — სამართებრივი თეატრისთვის. მაგრამ ყველაზე მთავარი, რამაც სა-





სოწარვეთილებაში ჩამავდო, ის არის, რომ ჯერ ერთი, თქვენ მასწავლებელს იყოსეთ, ე. ი. იფიქროთ, რომ დაიწყებოდა მიმხარელობა და, მეორეც, რომ თქვენს მდგომარეობით ხართ ხელშეუხებელი... მაგრამ თქვენმა წერილმა კვლავ გამომაფიხნა და კვლავინდებურად გეძლიათ.

გაჯანსაღებთ 50 მანეთით, რომელსაც თქვენი ხელფასიდან გადამეფუნებთ რუსეთის თეატრალური საზოგადოებას საქვედრებლად მიზნით. ამასთან ერთად შეგიტანა შენიშვნების წიგნი, იმისთვის კი არა, რომ თქვენ ძალა არ შეეწყვედა თამაშის, პირებით, მე ვწერ, რომ მასთან თქვენი, რომ აქვინ, როგორც რეჟისორი და როგორც აქტიორი, დაძაბული შრომისაგან გადაღლილი იყავით, არამედ იმისთვის, რომ თქვენ არ გაამაფრთხილოთ სპექტაკლის შეუკვლის შემთხვევაში არ დაშინებინა „ჩაძირული ზარი“.

ამის შესახებ მსახიობებსაც ვუთხარი. ზოგიერთებს შეეშინდა, რომ გამიზარდებოდით, მე ვუპასუხე: თავს ვდებ, რომ ე. ს. გამიგებს და გამამართლებს, და თუ ოდესმე უყურადღებოდ მოვივიდით რეჟისორს და იგი მოითხოვს ჩვენს საზღაურს, დავემორჩილები. ეს კეთდება სა-შეგნებლად მომავლისთვის და სხეულისთვის<sup>6</sup>.

მოყვანილი წერილიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახალი თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების ორგანიზებას მარტო ნებიროფინი-დანჩენკო ახდენდა. ეს არ იქნება სწორი. კ. სტანისლავსკის შემოქმედებით შემეგვიდრებოდა; ესევედრებოდა მრავალ მავალით, რაც ადასტურებს სტანისლავსკის ყურადღებას თეატრის შემოქმედებითი მოღვაწეობის პრაქტიკულ მხარისადმი. ამასვე ადასტურებს ნ. გორჩაკოვის წიგნი „ე. ს. სტანისლავსკის რეჟისორული გაკეთილები“, სადაც სათანადოდ არის შეფასებული სტანისლავსკის, როგორც რეჟისორი-დიპლომატი, როგორც სამხატვრო თეატრის კოლექტივის მხატვრული ხელმძღვანელისა და აღმზრდელის მოღვაწეობა.

ეთიკურ მოთხოვნებებს სტანისლავსკი ყოველთვის უკავშირებდა მსახიობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზრდას.

„მყარად უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ხელთიფლება კოლექტივობა, სადაც ყველა ერთმანეთსა და ერთადღებულად, — წერდა სტანისლავსკი შემოქმედებითი ახალგაზრდობისადმი მიმართულ ერთ-ერთ თავის სტატიაში — ყოველგვარი შევდომა, ბოროტი სიტყვა სწამალავ ყველა და მასაც, ვინც ის სწავლავს გამოანთინა.“

...მხოლოდ სიყვარული და მეგობრობის ატმოსფერო, მხოლოდ ამხანაგურ სამართლიან კრიტიკას და თვითკრიტიკულ გაიზრდებინა ტალანტები, ადამიანები რომ შეეკავშირებოთ, საქმირა უფრო ნათელი და მტკიცე საფუძვლები, როგორცაა: იდეები, საზოგადოებრიობა, პოლიტიკა<sup>7</sup>.

ყოველივე ზემოთქმული დღესაც ძალაშია. საქმე იქნება ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას თეატრის, ასე რიგად ხელს რომ შეუწყობს თანამოაზრეთა კოლექტივის აღზრდას და რაც დღეს ასე აუცილებელია გემბისმერი თეატრის ნაყოფიერი მუშაობისთვის.

აქ უნდა დავთანხმდეთ კ. პობოვის იმას, რომ სტანისლავსკის შემოქმედებითი მეგვიდრებობიდან ჩვენი თეატრების მიერ პრაქტიკულად ყველაზე ნაკლებად თასიხებულა ის სწორედ შემოქმედებითი ურთიერთობის ეთიკური ნორმები. რატომღაც მათ ადამიანს მორალური აღზრდის საკითხებს აუვიწყრებენ. ამასმა მთელი რიგი ჩვენი თეატრალური კოლექტივების შევდომა: მსახიობის ეთიკა განსაკუთრებით მისი ტექნოლოგიისაგან (ხაზვასმა ჩვენია, მ. ზ.).

სტანისლავსკის ჩაფიქრებული ჰქონდა წიგნი იტიკისა

და დისციპლინის საკითხებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, იმერს განახორციელა. „შენიშვნები ეთიკის საკითხზე“, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვა, მთავალი წიგნის მხოლოდ ერთი ნაწილის ჩაბაწერება. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნს ყველა იცნობს, იგი ჯერ კიდევ ვერ იქცა კანონად ჩვენი თეატრალური კოლექტივებისთვის.

სამხატვრო თეატრის საბოლოოდ ჩამოყალიბებისა და განმტკიცების შემდეგ თეატრთან იქმნება სტუდები, სადაც თავს იყრის ნიჭიერი ახალგაზრდობა.

ეს სტუდები ე. წ. შემოქმედებითი ლაბორატორიები იყო. სტანისლავსკი სტუდიებიდან მუშაობისას ცდილობდა მის მიერ აღმოჩენილი მსახიობის შემოქმედებითი ბუნების ობიექტურად კანონების პრაქტიკულ ათვისებას. აქედან ყალიბდებოდა სტანისლავსკის წყვილის სისტემა, რამაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ეთიკურყოფილ გაგვიტანა იქონია მრავალი მსახიობის თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე.

ამ სტუდიაში იზრდებოდა სამხატვრო თეატრის დასის ღირსეული ცვლა. პირველი სტუდიის ორგანიზებას და ხელმძღვანელობას სტანისლავსკის უახლოესი თანამშრომელი და შემოქმედებითი თანამოაზრე იყო ლ. ა. სურდოვიცი. სტუდიის შემოქმედებითი ცხოვრება განსაზღვრავდა მალად ეთიკური ნორმები. ამაზე ერთ-ერთი სტუდიელი — ბ. სუშკოვი წერს: „რას გვასწავლიდა სურდოვიცი და რა შერჩა ჩვენს თეატრს? იგი გვასწავლიდა: „კოლექტივი... თეატრში არ არის უნიშვნელო საქმეები, აქ ყოველი საქმე მთავარია. ძირითადი თეატრში არის ყურადღება თითოეული ადამიანისადმი. თითოეულს მუშაობა თეატრის მუშაობაში მთლიანად და თეატრის მუშაობაში მთლიანად არის თითოეულის მუშაობა“.

მალად ეთიკური ნორმები განუყოფელი იყო ახალგაზრდა სტუდიელთა შემოქმედებისაგან და წარმოადგენდა არა დეკლარაციას, არამედ — გესს შემოქმედებისაგან. მავალითთვის ავიღეთ ე. ვახტანგოვის მოთხოვნებიდან პარადის მონაწილეობისადმი „მხატვის“ მესამე სტუდიის სპექტაკლში „პრინცესა ტურანდოტი“. ამ სცენაში აისახა არა მხოლოდ გამოჩენილი ოსტატის შემოქმედებითი და ეთიკური პრერეკა, არამედ მისი მოქალაქეობრივი პიროვნება ახალი, რეალუციით შობილი, ხელოვნების საკითხებში.

ე. ვახტანგოვის შვიდი მოთხოვნა: 1. ბეკითის. 2. აქტიორის, შემოქმედის სრული თვითდაჯერება. აქედან — საკუთარი ღირსებების შენება სრულ მოკვლასთან ერთად. 3. არაერთი „თავის მოსაწყობა“ და არაფერი მოწვევებით. მე თქვენი მსახური ვარ და მე ვარ ამაყი, უსაზღვროდ ამაყი ვარ იმით, რომ ვარ ხალხის საყვარი. 4. სისუბუტე და სიწმინდე ყველაფრისა: აზრის, სიტყვის, დივიციის, ხმის, მოძრაობის. 5. სრული ორგანიზება სცენაზე. არაფერი მოსაშვეუწობი, ზედმეტი: მავალითად, ფეხის შენაცვლება სცენაზე დანაშაულია; მეზობელთან ავალის მშენა კიდევ უფრო დიდ ციოდაა; ამის გამეფი თვლილი თავს სწრაფი (ერთი კვირით დასტოვებს სტუდიას). ერთმანეთის გადახედვა იქ, სადაც ეს აგრძალულია, ჩვენი წესების უსუმი დარღვევაა და განიხილება როგორც ჯავარი თავგასულობის აქტი. ხაზის დარღვევა ნიშნავს საკუთარი უნიჭობის აღიარებას. 6. რიტმისა და სიმეტრიის დარღვევა იმნებას — ჩაკლა შენში მხატვარი. 7. პარადზე პასუსს ვაგებ (და ვსჯი!) მე, ვახტანგოვი<sup>10</sup>.

სასყიდის ალბომურად და თანამედროვე ჟღერს გლენემიროფინი-დანჩენკოს სიტყვები ურთიერთობის აუცილებლობაზე თეატრში ერთობლივი მუშაობისას. თეატრის ყველა რანგის ხელმძღვანელი, დირექტორიდან და მთავარი რეჟისორიდან დაწყებული და მხატვრულ-სადამამო,



ადმინისტრაციული, ანდა მომსახურე საამქროების უფრო-სხრდა დამოაგრებულს, შეიძლება თამამად შევთავაზოთ ეს ბრძნული ჩვევები. შედგებიც არ დააყოფებენ. ნემროვიჩი მხატვის საბჭოს წევრდა: „როგორც თეატრის მმართველი, დავრწმუნდი, რომ საჭიროა ვინდობოდ ვვივალა, ვისთანაც მინდებდა მუშაობა, დაწყებულ პიესის ავტორიდან, ვისზეც შევაჩერე არჩევანი, რეჟისორს, მსახიობს, ვლექტორტემათსა და ა. შ. უამისოდ შეუძლებელია თეატრში საქმიანობის წარმატება“<sup>11</sup>.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თეატრში ხელმძღვანელი პირების ავტორიტეტის განმტკიცების პრობლემა. სულ ერთია, რას ხელმძღვანელობენ ისინი, კოლექტივს მთლიანად თუ მის ცალკე განყოფილებებს.

მივმართო სტანისლავსკის რეკომენდაციებს ამ საკითხზეც. იგი წერს, რომ დიდიკუთხედი ხელმძღვანელი თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის ვარგისიანობაზე უნდა ხდებოდეს მის დანიშნავად, ხოლო თუ არჩევანი გაკეთდა, კოლექტივის თითოეთლი წევრის მოვალეობაა, ხელი შეუწყოს არჩეულს ავტორიტეტის განმტკიცებაში. რამდენადაც უფრო გამოუცდილი და სუსტია ახლად არჩეული ხელმძღვანელი, იმდენად მეტი მხარდაჭერა ესაჭიროება მისიანაგებიდან.

თეატრში დღეს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეჟისორს, არა მარტო როგორც მსატრეულ ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს, არამედ როგორც შემოქმედებითი კოლექტივის ძირითად აღმზრდელს. რეჟისორი იკრებს თანამოაზრეებს, მან პირველმა უნდა გამოაზნოს საერთო მხატვრული ენა მსახიობებთან, გამოიშუბოს იღვერე-შემოქმედებითი მოხივივანი ერთიანი შეხედულებანი თეატრალური ხელოვნების ამოცანებსა და სარეჟისორი ხაზზე. მან უნდა ეთოს და მიავგოს მსახიობებთან ერთად მხოლოდ ამ თეატრისათვის შესატყვის სცენურ ხერხებს.

ცნობილია, რომ თეატრალური ხელოვნების განვითარებაში რუსეთში XIX საუკუნის ბოლოს გამოიწვია რეჟისორის გამოყოფა დამოუკიდებელ პროფესიად. მანამდე რეჟისორის ფუნქციები (ნაწილობრივ) ასრულებდნენ დასის წამყვანი მსახიობები, რომლებიც მხატვრული ავტორიტეტით სარგებლობდნენ. როლების განაწილებასა და სპექტაკლის დადგამაში აქტიურად მონაწილეობდა პიესის ავტორი, განსაკუთრებით მაშინ, როცა პიესის ავტორი გამოიწვილი მწერალი (ოსტროვსკი, გოგოლი) იყო. იმ ხანებში იმპერატორის თეატრების დამამზრე ხასიათის საორგანიზაციო-შემოქმედებითი მოვალეობას ე. წ. „რეჟისორი“ ასრულებდა.

პროფესიონალმა რეჟისორმა მთლიანად აიღო თავის თავზე სპექტაკლის დადგმის ხელმძღვანელობა და, როგორც წესი, შემოქმედებითი კოლექტივის სათავეში ჩაიდაც. ეს ყველაზე თვალსაჩინოდ გამოჩნდა ისევ და ისევ სამხატვრო თეატრის პრაქტიკაში. სწორედ ამ თეატრში აღმოცენდა და განვითარდა რეჟისორი, როგორც სინთეზი დრამატურული მასალის, მსახიობთა, მხატვრისა და კომპოზიტორის შემოქმედებითი ჩანაფიქრის ერთიანი მხატვრული გადაწყვეტისა. „რეჟისორ-დირექტორი, რეჟისორის ერთიანი ნება-სურვილი — აი, რომ განსხვავებულია ძირითადად ჩვენი ანალი თეატრი ძველისაგან, — წერდა ნემროვიჩი, ეს განადა მრავალი წლის მანძილზე ასაღვაწურდა სამხატვრო თეატრის წინააღმდეგ მუარე გამომდომების საგანი. სტანისლავსკიმ თავისი რეპეტიციებით, და თუდაც შე, ჩავივლით ხელში რეჟისორის ძალაუფლება. რეჟისორი სამსახურანი არსება:“

1. რეჟისორი — განმმარტებელი; ამავე დროს იგი უნ-

და ასწავლიდეს თამაშს; მას შეიძლება ვუწოდოთ სტრუქტურულ სორ-მსახიობი, ანდა რეჟისორ-მედავოგი;

2. რეჟისორი — სარკე, რომელიც ასახავს აქტიორის ინდივიდუალურ თვისებებს.

3. რეჟისორი — მთლიანად სპექტაკლის ორგანიზატორი.

საზოგადოება იცნობს მხოლოდ რეჟისორის მესამე სახეს, ვინაიდან მას ხელაფს ყველაფერში: მიზანსწეებში, დეკორატორის ჩანაფიქრში, ხმაში, განათებაში, სახალხო სცენების თანხმონდობაში. რეჟისორ-ინტერპრეტატორსა და რეჟისორ-სარკეს მაყურებელი ვერ ხელაფს. იგი მსახიობში ჩიკარავა“<sup>12</sup>.

საინტერესოა სტანისლავსკის აზრი თანამედროვე თეატრის რეჟისორზე, როგორ პროფესიულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი და რა პირობებია საჭირო რეჟისორული ცვლის აღსარდელად.

„შეუბნებთან, რომ საჭიროა რეჟისორების შექმნა. უნდა იყოს, რომ ეს საკითხი ჩემთვის ყოველთვის გაურკვეველი იყო. გაბოცდებოდა ვიცი, რომ რეჟისორის შექმნა არ შეიძლება, რეჟისორი იბადება. შეგიძლია მხოლოდ შეექმნათ კარგი ატმოსფერო, რომელშიც გაიზარდება რეჟისორი. თანამედროვე რეჟისორზე შეფასებულია რეჟისორ-მასწავლებელი, რეჟისორ-მხატვარი, რეჟისორ-ლექტორი, რეჟისორ-ადმინისტრატორი“<sup>13</sup>.

როგორც ვხედავთ, მხატვის ორივე ხელმძღვანელის აზრი რეჟისორის ფუნქციებზე ერთმანეთს უახლოვდება.

დღესაც მთავარი რეჟისორისა და იმავე დროს თეატრის დირექტორის, ე. ი. კოლექტივის სრულუფლებიანი ხელმძღვანელის, პრობლემა კვლავ იმდენად თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღებას. აღნიშნული პრობლემა ცხარე დისკუსიის საგანად იქცა ჟურნალ „ტეატრის“ (1970 წ., № 10) ფურცლებზე. მოკაბათა ნაწილი მოითხოვს, თეატრების ხელმძღვანელობა გადაეცეს მთავარ რეჟისორებს, მეორე ნაწილი ამატა წინააღმდეგობა ასეთი ინსტიტუტის შექმნასა. საბჭოთა თეატრის პრაქტიკაში ცნობილია არა ერთი მაგალითი, როცა მთავარი რეჟისორები წარმატებით ხელმძღვანელობენ თავიანთ კოლექტივებს. ეს მიზეზი საქმის ცალმხრივი გადაწყვეტაა. იგი ნაყოფიერია ამ შემთხვევაში, როდესაც მთავარ რეჟისორს განაწილ ხელმძღვანელებისთვის აუცილებელი თვისებანი და როდესაც ეს თვისებანი განმტკიცებულია გამოცდილებითა და ნიჭური დირექტორ-განმარტებლებით.

სტანისლავსკის აზრით, თეატრი, რომელიც კულტურულ მისიას ასრულებს, თავის მოღვაწეებს ღიდ მითხოვბებს უყენებს. ასეთი დაწესებულების დირექტორ-განმარტებლებებს უნდა ჰქონდეს ტალანტი, კარგად უნდა იცოდეს თავისი საქმე, ესმოდეს ხელოვნება არა მარტო როგორც კრიტიკოსი, არამედ როგორც მსახიობს, რეჟისორს, მასწავლებელს, დამდგმელს, ლიტერატორს, ადმინისტრატორს. უნდა იცოდეს თეატრი თეორიულად და პრაქტიკულადაც. იცოდეს სცენის მოწყობილობა და თეატრის აპრაქტიკურა, ესმოდეს მასების ფსიქოლოგია, მსახიობისა და სცენის სხვა მოღვაწეთა მისებლები. მსახიობის ბუნება და ფსიქოლოგია, შესი შემოქმედებითი საქმიანობისა და ცხოვრების მოთხოვნილებანი, იყოს განაილებული ლიტერატურაში, ჰქონდეს მასელი თვალთ, ტაქტი, ადმინისტრაციული მოხერხებულობა და კიდევ მრავალი სხვა რამე. ყველა ეს თვისება იშვიათად არის თავმოყრილი ერთ ადამიანში. ასეთი იყო ვლადიმერ ივანეს ძე ნემროვიჩი-დანჩენკო“<sup>14</sup>.



ეს უდავოა. განა ჩვენს თეატრების ბევრი დირექტორი სრულად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს?

თანამედროვე თეატრში, რეჟისორის როლთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ყველაზე ნიჭიერი რეჟისორის ცდა — შექმნას თანამოსურთა კოლექტივი — შედეგს ვერ მოიტანს, თუ იგი დასმით ვერ მიიხვედრება შეხვედრების განმარტებებს. მხოლოდ ისეთ შემთხვევაში გაიზრდება თანამოსურთა რაოდენობა გეომეტრიული პროპორციით, როცა ერთნაირად ესმით ამოცანა. ამას წინასწარმეტყველებდა სტანისლავსკი.

უჩუბრალოდ გვიხსენებდა ა. პ. ლენისკის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა მცირე თეატრის დასს 1907 წელს, როდესაც სათავეში ჩაუდგა მას: „რაც უნდა დიდი, მგზნებარე იყოს თეატრისთვის საკვიბოების მოტანის ჩემი სურვილი, იგი მხოლოდ სურვილია დარჩენა, თუ თქვენ აქტიურად არ შემოწმობთ ხელს... ჩვენს შორის ბევრი მოიძებნება, ვისაც გულწრფელად უყვარს პირადი საქმი, მაგრამ საერთო საქმის ქუჩაში არ იტი გულშემატკვარები (ხაზგასმა ჩვეინა — გ. ზ.) ძალიან ცტაა“<sup>13</sup>.

სამუშაოაო. ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. ბევრი მსახიობი თეატრში თავის ბედს ზრუნავს და საკუთარ ძალებს მიმართავს თეატრალურ კოლექტივში თავის დასამკვიდრებლად. რასაკვირველია, მუშაობისაგან მხოლოდ მაშინ შეიძლება მოითხოვოთ ერთგულად, თუ იგი იგრძნობს თეატრის ხელმძღვანელთა და მთელი კოლექტივის სრულ დანერგულებას, ყურადღებას მისი შემოქმედების ბედსადმი, მისი ინტერესებისადმი.

თოლი როლია თეატრში ასეთი მფლობელობის მადლებსა, მაგრამ აუცილებელია წარმატებისთვის და ძალების დიდ დაძაბვასაც მოითხოვს მთელი კოლექტივისაგან — ხელმძღვანელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, უძველესი მუშაობისაგან — თეატრის პატივმოყვებისაგან. თეატრში მოსული ახალგაზრდობა თავის თავზე უნდა გატანოს უფროსი ამხანაგების ყურადღებას, თავიდანვე ჩაებას თეატრის საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და გრძობდეს პასუხისმგებლობას კოლექტივის წინაშე.

ყოველი თეატრის წარმატებით მუშაობის სასიცოცხლო პირობაა დასის დროული და გეგმიანი შეყვანა ნიჭიერი ახალგაზრდობით. სამხატვრო თეატრის პირველი ათწლეულების ისტორია ადასტურებს ამ მოსაზრების მართაობას. მხატვის დასის ბირთვი ახალგაზრდა მსახიობების ორი ჯგუფისაგან შედგებოდა: მოსკოვის ფილარმონიის საზოგადოების დრამატული განყოფილების აღმარდობები, რომელთაც ასწავლიდა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩინკო და მოყვარული მსახიობები, რომლებიც შეყვანილობდნენ სტანისლავსკის ხელმძღვანელობით ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებაში.

1924 წელს თეატრში მოვიდა ახალგაზრდობა. და მასწავლებელმა, მოხუცებისა — ყურადღების ცენტრში. ამასუ საინტერესოდ მოგვითხრობს პ. მარკოვი. ახალგაზრდობა მოსტლისთანვე აქტიურად ჩაებას მუშაობაში. მაგალითად 1926 წლის თეატრის მუშაობა და დადგამზე: ოსტროვსკის „ცხელი გული“, სადაც უფროსები ცენტრალურ როლებს ასრულებდნენ, ახალგაზრდები — ეპიზოდურს, ბოწარშეს, ფიგურებს ქორწინება — პირითი, ცენტრალურ როლებს ახალგაზრდები თამაშობდნენ, „მოხუცები“ — ეპიზოდურს, მ. ბულგაკოვის „ტურბინისა დღემში“ — მთლიანად ახალგაზრდული სპექტაკლი იყო.

მათე ახალგაზრდები თეატრის ხელმძღვანელობაშიც შევიდნენ. 1928 წლის მისიში „პრადვას“ და „იხვეწისაში“ დაიბეჭდა კ. სტანისლავსკის წერილი „მხატვის მზარ-

თელობის რეორგანიზაციის შესახებ“: წერილში გვიხსენებლობთ: „თეატრის სათავეში თანაბარი უფლებებისა მქონე დირექტორია: კ. სტანისლავსკი და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩინკო. თავის მუშაობაში ისინი ყურდნობას საბჭოს, რომელშიც მათს გარდა შედიან: მოსკოვის, ვარსოვლის, ლუბსკის, ლეინდოვის, თარხანოვის, პოდკორნი, კაროვი, ბატალოვი, ზავადსკი, მარკოვი, სახნოლოვი, სუდაკოვი, ხმელოვი, პრუდინი (14 ადგილიდან 7 ახალგაზრდების უჭირავთ — მ. ზ.) ან სამკუთხე ვაშოვი თეატრის მმართველობა, რომელშიც შევიდნენ: ბატალოვი, ზავადსკი, მარკოვი, პრუდინი, სუდაკოვი, ხმელოვი (აქ უკვე ყველა ადგილი ახალგაზრდებს აქვს დაიშობილი — მ. ზ.)“<sup>14</sup>.

ასეთი რეორგანიზაციის მიზანი, როგორც სტანისლავსკი უნდა, იყო ის, რომ თეატრის მმართველობა მიეზნეოდა დასის ის ნაწილს, რომელშიც ხელადღენ თეატრში მემკვიდრეობს, და რომლებიც მათ უფრო ნათლად აგრძნობინებდნენ თანამედროვეობას.

ასეთი შორსმჭვრეტელოვი გადაწყვეტილება კომენტარებს არ საჭიროებს. მაგრამ ვასაოცარია სითამამე თეატრის ხელმძღვანელებისა, რომლებიც მმართველობას გადასცემდნენ თეატრში ოთხი წლის წინ მოსულ სტუდენტებს. ამასუ უნდა დაფიქრდნენ ჩვენი დღევანდელი თეატრების ხელმძღვანელები.

ყოფილი სტუდენტები გაჟაკვდებოდნენ თეატრის დაზარსებულ შესანიშნავ „მოხუცებთან“ შემოქმედებით ურთიერთობაში, პირველადი წლიდან გრძობდნენ პასუხისმგებლობას თეატრზე.

უფრო გვიან (20 წლის შემდეგ) მხატვის ახალმა ხელმძღვანელობმა საჭირო შორსმჭვრეტელოვან ვერ გამოიჩინა, ვერ გაყავა თავისი ბრძენი მასწავლებლების მაგალითს, ანდა, უზრალოდ, დროულად ვერ შეივრნო დასში ნიჭიერი ახალგაზრდების მიზიდვის „მოწოდებითი მოთხოვნის“ შესაძლოა, სწორედ ის ახალგაზრდობა, უფრო გულისხმიერი იყო თანამედროვეობისადმი, შესწავლა მხატვის დასის მეორე თაობის მიერ დაგროვილი მხატვრული გამოცდილების“ წარმატებითა და მადლიერებით აღქმის უნარი.

შესაძლოა, მხატვის სკოლა-სტუდის კედლებში აღზრდილი ოლგე ეფრემოვის ჯგუფი გასდლათ ის პოტენციური რეზერვი, რომელიც იღრსი იყო მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობისა. ამ ახალგაზრდა მხატვლებს ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი, გააჩნდათ საკუთარი თქმა ხელოვნებაში.

მათ 1956 წელს ჩამოყალიბების ახალგაზრდული თეატრის „სოვრემენიკი“, სადაც ფაქტიურად აგრძელებდნენ მხატვის საქმიანობას.

მართალია, თ. ეფრემოვი და „სოვრემენიკის“ რანდენივე წამყვანი მსახიობი დღეს უკვე მხატვის არიან, მაგრამ, ვფიქრობ, რომ იგი იძულებული ოღონსძიება იყო და არა მიხერსებად წასული თეატრალური, ორგანიზმისათვის „ახალი სისხლის“ შეტრების შეგნებელი საჭიროება. ეს გაცილებით ადრე და უფრო გაბედულად უნდა მომხდარიყო.

ჩვენი თეატრალური საზოგადოებრიობა აქტიურად მსჯელობს შექმნილ მდგომარეობაზე: თ. ეფრემოვს ანდეს მხატვის ხელმძღვანელობა, „სოვრემენიკიდან“ მასთან გადადიან მისი თანამოსურნი. რას მოუტანს ეს სამხატვრო თეატრს? როგორ იმოქმედებს ეს ეფრემოვის ბეჭედი, „სოვრემენიკის“ კოლექტივი გაუძლებს ასეთ დაზარატს, თეატრის შეიარაღებებს მათეურობის სიმამათა და აღიარებას. ეს კოლექტივი უკანასკნელ ხნებამდე ძალზე მეგობრულად, აქტიურად მუშაობდა, გაიხსნოთ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი



მათი ნამუშევარი — ტრილოგია: „დეკაბრისტები“, „ნაროდოვოლცები“, „ბოლშევიკები“.

პროგრესის გამოთქმა ხელოვნებაში საერთოდ, და კერძოდ, თეატრალურ ხელოვნებაში, უბრალო საქმე როდია. მაკალითად, ვის შეეძლო გიჟვა წინასწარ იური ლი-ვინიძეს, რომელიც ოცე წლის მანძილზე მანურობდა ვასტანოვის თეატრში, რომ იგი რამდენიმე წლის შემდეგ შევიდოდა ჩვენი წამყვანი რეჟისორების რიცხვში, შემოიყრებოდა თანამოსარგების, გაფართობდა დრამატული თეატრის ჩარჩოებს და ტაგანკაზე შექმნიდა „პოეტურ თეატრს“. თეატრს, რომელსაც ვინა წლებში ბევრს მსჯელობდნენ შემოქმედებით დასულებზე.

თეატრი იქცება თავის რეპერტუარს, თავის თემას, თავის მხატვრულ მაგერას სივალისხური რეალიზმის შემოქმედებით მეთოდის ჩარჩოებში. თეატრის ყოველ ახალ ნამუშევარს აწინა ენერგიული შემოქმედებითი ძაბვის ნიშნები.

ორივე თეატრის დასი ცალ-ცალკე შეადგინა თეატრალურ სასწავლებლებში აღზრდილმა ჯგუფებმა. „სოვრე-მენტიკის“ შემთხვევაში — მხატვის სკოლა-სტუდიისა, მთლო ტაგანკის თეატრის შემთხვევაში — ე. ტაგანკოვის სახელობის თეატრთან არსებული ბ. შჩუკინის სახელობის სასწავლებლისა. ორივე დასი ახლავს ამ სასწავლებლები-დნცებს.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს თეატრალური კოლექტივის ფორმირების ასეთი გზის სისწორეს. ამ მხრივ გა-ვიხსენოთ ჩხოტოვის სახელობის თეატრი, ტაგანკის თეატრი და აგრეთვე მიხაილისა და ლინინგრადის უმაღლეს თეატრალურ სასწავლებლებთან არსებული ეროვნული სტუდიების გახსენებებს, რამაც საყვებით გაამართლა. ამ სტუდიების ბაზაზე ჩვენი ქვეყნის მოკავშირე და ავტონომიური რეს-პუბლიკების დედაქალაქებში არა ერთი თეატრი შეიქმნა, რომლებიც დიდ წარმატებით მუშაობენ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ საჭიოთა თეატრის პირველი ათწლეულის ისტორიაში არა ერთი ნათელი ფურცელი ჩაწერეს სწორედ იმ თეატრალურმა სტუდიებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მათივე შექმნილი ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორები. აქ დავასახელებთ ე. ვასტანოვის, ი. ზავაძის, რ. სიმონოვის, ა. დავის, ნ. ხმელითვის, ნ. ობოლკოვის სტუდიებს.

დაუბრუნოვად კვლავ სამხატვრო თეატრის მდგომარეობას. დღეს ნათლად ჩანს, რომ თეატრის მეორე თაობამ დროზე არ იზრუნა თავის, შემოქმედებით მემკვიდრეებზე. ეს მით უფრო სამწუხაროა იმიტომ, რომ მხატვის და-მხარსნელები თავის დროზე გამოთქამდნენ სერიოზულ შაშვ თეატრით შექმნილების შემდეგ შემოქმედებით ზედხე-დას. „არც ერთი თეატრის მსოფლიოში ისე მაღალ და დაიშ-ლებმა, როგორც სამხატვრო თეატრში“, — ამბობდა სტა-ნისლავსკი 1936 წელს წამყვან მსახიობებთან და რეჟი-სორებთან საუბარში, — იგი შეიძლება დაიშლოს ორ თვეში, ორ დღეებში და მისგან არაფერი დარჩება. ეს ძალზე სუსტი და ნაწი ორგანიზაცია“.

განსაკვივრებელია სტანისლავსკის მომთხვენილობა აქტიურულ მხატვრებასა და მორალურ-ეიკურ სფეროში, მიღწეული შედეგით დაუკმაყოფილებლობა, სრულყოფის წყურვილი, მოწუხებისა და მიმედრებისათვის თავიარი მხატვრული სტილის სფეროში ახალი ამოწმებისა გადა-ცემის მძაფრი სურვილი. დიდი რეალისორი სწორედ ამის-თვის იქცება პრაქტიკულ ბეჭედს:

„სამხატვრო თეატრის ხელოვნება იმგავანაა, რომ მიო-თხვის მედმივ განახლებებს, დაუღალავ მუშაობას თავის თავზე. იგი აგებულია ცოცხალი, ორგანული სიცოცხლის აღდგენა-გადმოქმედებაზე. ვერ ითმენს თუნდაც საუცხოო ფორმებისა და ტრადიციების გაყინვას. იგი ცოცხალია და

როგორც ყოველი არსებული მუდმივ განვითარებასა და მოძრაობაშია. ის, რაც გუშინ იყო კარგი, დღეს უკვე უმარგიაა.“

ჩვენი ხელოვნება ძალიან სუსტია და თუ მისი შემქმნე-ლები შედგინდნენ არ ზრუნავენ და არ სწავნიან მის წინ, არ ანებიარებენ, არ სრულყოფენ, იგი მაღვ კვდება.

...სასოსდები. ყოველი დიდი მსახიობი დროის გარკ-ვეული შუალედის შემდეგ (4-5 წლის შემდეგ) ხელახლა უნდა სწავლობდეს. ხმასაც ხომ უნდა დაეწერა (ის მუ-შავდება დროთა განმავლობაში), სპირთა საკუთარი არ-სების გაუმედადა ქუჩისაგან, როგორცაა, მაკალითად, კიევიკობა, თეიმოფეარობა. მსახიობი ყოველდღიურად უნდა ადევნებდეს თვალყურს აქტიურული კულტურის ამაღლებას და ხუთი-ექვსი წლის შემდეგ კვლავ მიდიოდეს სასწავლებლად. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არავითარ სამქეტაკულზე არ ვიფიქრობ, მხოლოდ სწავლა და სწავლა. თუ თანახმა ხართ, დავიწყობ სწავლა, არა და დავმოდებო ერთმანეთს ყოველგვარი წყნის გარეშე. თქვენ თქვენს საქმეს იზრუნებდით, მე კი სხვა ჯგუფს შევ-რებ და ვაგაფთებ ნაშნს, რაც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ხელოვნების წინაშე“.

სტანისლავსკის სიტყვები „არავითარ სამქეტაკულზე არ ვიფიქრობ“ და ა. შ. ფილის როგორც ულტიმატუმში შე-საძლია, სტანისლავსკის თანამებრძოლებმა იგი ბოლო-დე სერიოზულად არ მიიღეს.

როგორც ცნობილია, მან თავისი „მუქარა“ შეასრულა — ბოლო წლებში შვირთა ახალგაზრდობის ჯგუფი და მათ-თან შეკადრებისა ანდომებდა მთელ დროს. შწარვა, მაგ-რა იქ უნდა ვაღიაროთ, ძირითად შემადგენლობასთან კონ-ფლიქტი უკვე ზემოთ მოყვანილ გამართკავებში იგრძ-ნობა.

ამჟამად, რომ ყოველგვარი თეატრალური კოლექტივის ცხოვრება ექიმეობისა განვითარების თიქტიკურ კანონ-ებს და მათი უგალებელყოფა შეეძლებოდა. მათ შორის ძირითადი დადებითი, შემოქმედებითი კოლექტივის დადებითი, ყოველდღიური აღზრდა მაღალდონის, მო-რალური და ეთიკური მოთხოვნების სულსკვეთებით, და-სის თაობა და დროული განახლება.

ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მისწრაფება მხატვის დასის რადიკალური განახლებისადმი 20-იანი წლების შუა პე-რიოდში აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, თუმცა გარე-დან იგი ნაჩქარავი ჩანდა. მხატვის ე. წ. „მოხუციები“ მამინ-ომეც წელს ცენტრით გადაცილებულებით თუ იყვნენ.

გამოცდილი ხელმძღვანელის მასელებმა თვალმა შეინშნა კოლექტივის შემოქმედებითი მოხუციებულობის საფრთხე-აი, რას წყობდა იგი 1924 წელს: „უკავით, პატივ სცემენ, აფხვებენ სწორად დიდ, ფართო და სიცოცხლისუნარიან მხატვს და არა მისი მეფერი კვდობის ხილულ ისტორიას. თუმცა მეფური კვდობა, როგორც ჩვენი ამბობენ, არ არ-სებობს. კვდობა — ყოველთვის ლობია. და ამა რ მეფე-რისაზე შეიძლება დაპარაკი ლობობისა. და ისტორია და-აფხვებს მხატვის სიცოცხლისუნარიანობას და არა მის სიკვდილს“.

1924 წელს ჩატარებულმა როგორმაცადა მხატვის კო-ლექტივის მინიმუმ 20-25 წლით შემატა შემოქმედებითი ძალები. 40-იანი წლების დასაწყისში ეს ვადა გადო-რა. როგორ რეაგირებდა ამაზე ნემიროვიჩი? მოუხდავად ხანდაზმულობისა, იგი აღსაესე იყო ენერგიითა და ძალ-ღონით; დიდი სამ-მული ომის საპაციდელმა ჩვენი თე-ატრები დაზარაშა, ისინი უფრო მეტი პასუხისმეებლობით მუშაობდნენ ძალზე როულ პირობებში. ომის წლებში მხ-ტი სარტოტუმი მუშაობდა, მოსკოვისა და ლინინგრადის აკადემიური თეატრების უხუცესი მოღვაწეები (მათ შორის ნემიროვიჩიც) — თბილისში.



თეატრის შემდგომი ბედი თეფიქრიანებული ნემბრო-ვინი 1942 წლის ივლისში სარატოვში დასს უკუზავის წყ-რილს, რომელშიც ღრმად და მკაცრად აანალიზებს კო-ლექტივის შემოქმედებით მდგომარეობას, მისი ხელოვნე-ბის ჭკნობის შემამოთებელ სიმპტომებს. დაავნობის მკვახედ დასმის მიუხედავად, წერილი თქტემისტურია თა-ვისი ბუნებით, იგი დაწერილია თეატრის მომავლის ნიშ-ნით და, რაც მთავარია, აღსაყვა საბჭოთა ხალხის გა-მარჯვების იმედით გერმანულ დამპყრობლებზე. ძნელი და-საჯერებელია, რომ წერილის ავტორი 84 წელს მიახლო-ებული იყო.

როგორც მიაღო თეატრმა თავისი ბრძენი ხელმძღვანე-ლის ეს წერილი — ამაზე ისტორიკოსებმა იმსჯელონ. ჩვე-ნი მიზანი იყო ამ შესანიშნავი თეატრალური კოლექტი-ვის ფორმირებისა და განვითარების ეტაპების ჩვენება. სტანისლავსკისა და ნემბროვიჩის გამოცდილება უთუოდ ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი და გამოყენებული, პირველ რიგში თვით მხატვის მიერ.

ი. ფრეიბოი (1971 წლის 4 სექტემბერს) გაზეთ „სო-ვეტკაია კულტურაში“ წერდა: „მხატვ ცოცხალი თეატრალ-ლური ორგანიზმია, რომლის მოწოდება იყის ღირსი თა-ვისი სახელწოდანი წარსულის, ხალხის დღევანდელი დღი-სა და ჩვენი ხელოვნების მომავლისა“.

ეს სიტყვები მოვიწოდებს შვეინარჩუნოთ და წმიდად დავიცვათ მხატვის შემქმნელთა ტრადიციები. სასურველია, რომ თეატრალური პრესა ხშირად აშუ-ქებდეს დღევანდელი სასცენო პრაქტიკის საორგანიზაციო-შემოქმედებით პრობლემებს. უთუოდ ბევრი რამ შეუძლიათ გაგვიზიარონ გამოცდილმა რეჟისორებმა და თეატრალური საქმის ორგანიზატორებმა: ი. ზავადსკიმ, გ. ტოვტონო-ვოვმა, კ. ირდმა, ლ. ვარპახოვსკიმ, ვ. პლენუკმა, ი. მილტა-ნინმა, თ. ედრენოვმა, ი. ლუნიჩოვმა, დ. ალექსიძემ, ვ. პან-სომ, ზ. კორნოვოდსკიმ, ი. კისელიოვმა, პ. მარკოვიმ, კ. შან-აზიზოვმა და მრავალმა სხვამ.

- 1 კ. ს. სტანისლავსკი. თხზულებათა რეკომენდული, „ისკუს-სტო“, მოსკოვი, 1954-61 წწ. ტ. I., გვ. 186.
- 2 იქვე, ტ. I. გვ. 181.
- 3 ვლ. ი. ნემბროვიჩ-დანიენკო. შემოქმედებითი მექანიკა-ობა, „ისკუსსტო“, მოსკოვი, 1952 წ., ტ. I., გვ. 147.
- 4 იქვე, ტ. I. გვ. 77.
- 5 იქვე, გვ. 78.
- 6 იქვე, გვ. 77.
- 7 კ. ს. სტანისლავსკი, ტ. 6, გვ. 369.
- 8 ა. დ. პოპოვი, სპექტაკლის მხატვრული მთლიანობა. 1959 წ., გვ. 37.
- 9 ბ. მ. სუშკევიჩი. მოხსენება „მხატ-2“-ის შემოქმედებითი მეთოდო“ ციტატა ე. კაპიტაინის სტატიიდან კრებულში „რე-ვისტრა გზაზე“. ლ.მ., „ისკუსსტო“, 1966 წ., გვ. 169.
- 10 ნ. გორაკოვი. ვახტანგოვის რეჟისორული გაცვეთლები, „ისკუსსტო“, 1957 წ., გვ. 154.
- 11 ვლ. ნემბროვიჩ-დანიენკო, ტ. 2, გვ. 311.
- 12 იქვე, ტ. I, გვ. 256-257.
- 13 კ. ს. სტანისლავსკი. კრებული. სტატიები. მოხსენებები, საუბრები. წერილები. „ისკუსსტო“, 1953 წ., გვ. 654..
- 14 კ. ს. სტანისლავსკი, ტ. I., გვ. 434.
- 15 ა. პ. ლენსკი, სტატიები, წერილები, ჩანაწერები. „ისკუს-სტო“, მ., 1950 წ., გვ. 264.
- 16 კ. ს. სტანისლავსკი. კრებული, „ისკუსსტო“, მ., 1952 წ., გვ. 281.
- 17 კ. ს. სტანისლავსკი, კრებული. „ისკუსსტო“, მ., 1952 წ., გვ. 653.
- 18 იქვე, გვ. 689-690.
- 19 ვლ. ი. ნემბროვიჩ-დანიენკო, ტ. II, გვ. 355.

თბილისის 55-ე საშუალო სკოლის პიონერთა შეხვედრა კულტურის მუშაკებთან. პირთ. პ. ხუტუა (მარცხნიდან მეორე), რე-ვისორი გ. ლორთქიფანიძე, ენოსენეარისტი ს. ყლენტი, მწერალი გ. ნატროშვილი.





3. ი. ლენინის სახელობის  
პიონერული ორგანიზაციის  
50 წლისთავი

# ცოდნის დიდი კერა

## ტარიელ ხავთასი

შრომის წითელი დროშის ორდენისანი ბორის ძნელადის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე მთელი ჩვენი რესპუბლიკის პიონერული ცხოვრების მაკისცემის ნათელი გამომხატველია. იგი ჩვენს ერს უზრდის სულიერად ძლიერ, ცოდნითა და სიბრძნით აღჭურვილ საიმედო ცვლას.

დღეს ძნელი წარმოსადგენია ჩვენი მეცნიერების, სახალხო მეურნეობის, სპორტის, ლიტერატურისა და ხელოვნების რომელიმე დარგი, სადაც არ მოღვაწიობდნენ ამ სასახლეში აღზრდილები.

და ახლა, როცა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერულმა ორგანიზაციამ თავისი არსებობის სახელოვანი ორმოცდაათი წელი იხეიმა, მის ავანგარდში დგანან პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის აღსაზრდილები.

ამ სასახლეში მრავალი წრე და კაბინეტია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მხატვრული აღზრდის განყოფილებაში გაერთიანებული კაბინეტების საქმიანობაზე შევიჩნდებით. ვიტყვით მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ეუფლებიან სასახლის პიონერები და მოსწავლეები ხელოვნების ანბანს, როგორ იღვიძებს და იფურჩქნება მათში მშვენიერების შერძენება, კეთილშობილური გრძნობები. აქ ყველა წრესა და კაბინეტს ატყვია სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის ნოდარ ჩხვიძის მზრუნველი ხელი. სწორედ მის უნარიან ხელმძღვანელობას უკავშირდება წლების მანძილზე სასახლის მხატვრული აღზრდის განყოფილების დიდი შემოქმედებითი წარმატებანი. საქმიანი ფუსფუსია განყოფილების გამგის ერნა თოდუას

კაბინეტში. ივეგმება მომავალი ღონისძიებები, იხევეება პროგრამა.

აქვეა განყოფილების ორგანიზატორი, პედაგოგი-ქორეოგრაფი თამარ ჩხაიძე, რომელიც სიამოვნებით გვაცნობს კაბინეტების საქმიანობას, გატაცებით ყვება აღსაზრდელებზე, მათ წარმატებებზე, ბევრს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს, სწამს, სჯერა მათი და სახეაბრწყინებელი ხალისით იმეორებს ნიჭიერი ბავშვების გვარებს. ჩვენც გვერა თამარის და მისი ნათქვამის სადასტუროდ ვეწვიეთ მხატვრული აღზრდის კაბინეტებს.

ხატვისა და ფერწერის კაბინეტში გამგე-მხატვარ ციალა კანდელაკის ირგვლივ ნორჩები შემოკრებილან და გულისყურით უსმენენ პედაგოგს, რომელიც უსნის პატარებს ფერთა შეხამებას, კომპოზიციის აგებასა და ტონებისა და ნახევრატონების საიდუმლოებას.

კაბინეტი 1942 წლიდან არსებობს. აქ ძირითადად სტუდიური ხასიათის მუშაობა ტარდება, დიდი ადგილი ეთმობა ნატურიდან ხატვას, მაგრამ ბავშვის ფანტაზიისა და გემოვნების გამოსავლენად წამყვანი როლი მაინც კომპოზიციის უჭირავს.

კაბინეტში ათი წრე მუშაობს, რომლებშიც 300-მდე ბავშვია გაერთიანებული (პედაგოგები, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი შალვა კაპანაძე და რაფიელ მაცაშვილი). მათ შორის უმრავლესობა პიონერია. სასახლის ნორჩი მხატვრები არაერთხელ გამხდლან გამოყენის ლაურეატები. ლაურეატთა შორის არიან ნ. ბერიანიძე, შ. ლუდუშური, ზ. ფარსალაშვილი და სხვ.

თბილისელი მოსწავლეების გარდა კაბინეტი მომსახურებას უწევს ახლომხალ რაიონების ბავშვებსაც.



ამასთან პედაგოგები აწყობენ ნორჩების შეხვედრას ცნობილ მხატვრებთან, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს მხატვრობისადმი, ხვეწს მათს გემოვნებას. სასახლის კაბინეტში აღზრდილთაგან დღეს ბევრი ცნობილი მხატვარია, სხვებთან ერთად ისინიც სიაბოვნებით მოდიან სასახლეში. კაბინეტს შეფობას უწყებს სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე. აქ ხშირად მოდიან ფუნჯის ოსტატები: ე. ახვლედიანი, კ. სანაძე, ა. ქუთათელაძე, ნ. იანქოშვილი, ქ. მექმარიასვილი... სწორედ მათ უწოდებს პიონერთა სასახლის ხატებისა და ფერწერის კაბინეტს „მცირე აკადემია“.

კაბინეტში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ბავშვთა წერის კულტურისა და კრიტიკული აზროვნების გამოთქმას, ამ მიზნით ხშირად ეწყობა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები. ასე ვერება საფუძველი მომავალ ხელოვნებათმცოდნეთა აღზრდას.

სულ სხვა გარემო იშობება თვალწინ, როცა ქანდაკებითა და ძეგლების კაბინეტს (გამგე ზაქრო კრაწაშვილი) ნახავთ. ნორჩების ფანტაზიის ნაყოფი და პატარა ხელებით ნაძერწი ზღაპრების პერსონაჟები, ლეგენდებში გატყობებული გმირები, თუ კინოფილმებში ნაბაზი და განცდილი ბრძოლების ამსახველი ეპიზოდები, საყვარელი ცხოველები თუ თანატოლების ფიგურები, — აი მათი თემატიკა. უსიტყვოდ, უხმაროდ მუშაობენ პატარები, მათ წლოვანებას მხოლოდ აღისფერი ყელსახვევები ამტავანებენ, თორემ ნამუშევრები თემატიკის სიმრავლისა და ხარისხის მიხედვით უფრო დიდ ასაკს შეეფერება.

პედაგოგებს ძირითადი აქცენტი ბავშვების შემოქმედებითი უნარის გამოვლენაზე გადაუტანიათ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აკადემიური ჩვევების გამოთქმას, რაც სასურველ შედეგს იძლევა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ კაბინეტის არსებობის 25 წლის მანძილზე აქ ბევრი ცნობილი მოქანდაკე აღზრდილა. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. კაბინეტმა სამჯერ მოიპოვა ბავშვთა რესპუბლიკური ოლიმპიადის ლაურეატის საპატიო წოდება. სასახლის ნორჩ მოქანდაკეთა ნამუშევრებს არა ერთი გამოფენა დაუშვებიათ, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მრავალი მედალი მოუპოვებიათ. მარტო გასულ წელს სსრ კავშირის სახალხო მუწურების მიღწევითა გამოფენაზე ოთხი თბილისელი მოსწავლე დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედალით.


წარჩინებულთა შორის არიან პიონერები: ლ. გვარამია, ნიძი, მ. ცისკაძე, პ. ჭავჭავაძე, დ. შინდორაშვილი, მ. ალვაგაიძე, ე. სოლოდოვილი, ზ. ფანცულაია და სხვ.

აქვე ჰქედური ხელოვნების კაბინეტიც. — ჩვენთან ბავშვები მყვადინებობს ძირითადად, ძველი ქართული ორნამენტების შესწავლით იწყებენ. — ამბობს კაბინეტის გამგე მიხეილ ცალკალამანიძე, — გარკვეულ დროსა და ყურადღებას ვუთმობთ ლითონის ოსტატურ ნამუშევრებს. ერთი შეხვედრით ყველაფერი მარტივად და იოლად ეთვლება, მაგრამ კაბინეტში გამოვლილ ნამუშევართა უკან მრავალი დამატული დღე, ბავშვთა დაუზარელი, მონადირეული შრომა, გატაცება და სიყვარული მეტადდება. მაგრამ შრომას უქმად არ ჩაუვლია. ჩვენი ბავშვების ნამუშევრები ხშირად იგზავნება ბავშვთა საერთაშორისო გამოფენებზე ამერიკაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. გერმანიაში ჩატარებული ქართული კულტურის დღეებში სასახლის ნორჩი ქედუროსნების ნამუშევრებიც გაიგზავნა. ისინი შემდეგ საჩუქრად გადაეცა ბერლინის პიონერთა სასახლეს. კაბინეტი ყველმჯერმე დაჯილდოვდა საქალაქო თუ რესპუბლიკური გამოფენების მედალებით. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პიონერი ნ. ფირცხალაძე, რომელმაც მოსკოვში ჩატარებულ საერთაშორისო გამოფენაზე „მე ვსედავ მსეს“ დიპლომი და მედალი მოიპოვა. ქებას იმსახურებენ აგრეთვე ი. ტატიშვილი-სა და რ. რეხვიამშვილის ნამუშევრები.

საქმიანი შემოქმედებითი ურთიერთობა გვაქვს ჰქედური ხელოვნების ქართველ ოსტატებთან, რომლებთანაც შეხვედრები და საუბრები ბავშვებს კიდევ უფრო უღვივებს ხელოვნების ამ დარგისადმი სიყვარულს.

\*\*\*

თეატრალურ ხელოვნებას ბავშვები პირველად თოჯინების თეატრის ზღაპარში გარემოში ეცნობიან. აქ ხვედობიან ისინი ზღაპრებში გატყობებულ პერსონაჟებს. ამიტომ, ბუნებრივია, ბევრი სტუმარი ჰყავს სასახლის თოჯინების თეატრს, რომელსაც 30 წლის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე თეატრმა 40 პრემიერა და 1500-მდე წარმოდგენა უჩვენა. იცვლებიან თათბები, „შასხიობები“, იცვლება რეპერტუარი. უცვლელია საქმისადმი სიყვარული და თავდადება, რითაც გამოირჩევიან თეატრის დამმარსებლები,



ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მომღერალთა გუნდი.





პიონერთა სასახლის ქორეოგრაფი ქვეყანაში  
 ცხელი ასრულებს ცეკვას „სწავლის“  
 პირველ რიგში (მარცხნიდან) ნონა ბერი-  
 კაშვილი, ზაზა ქოქოვი, მარინე გობე-  
 ჩიშვილი, ნიკო მაქაძარია, ლალი კერე-  
 სელიძე, ლაოთ ქადაგიშვილი; მეორე  
 რიგში — მია ცომაია, თემურ ჯაბაღა-  
 რი, ლია სამხარაძე, გვიკ სულთანოვი-  
 ლო, ამირან გამყრელიძე, ინეზა კუპრეი-  
 შვილი, შოთა საღარაშვილი, ტარიელ ყო-  
 ნიაშვილი; მესამე რიგში — ლალი ბეგ-  
 თაშვილი, ნინო ბიჭუაძე, ნათია სირაძე,  
 ლია ჩაბოშვილი, ნონა ბერიძე.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები მარიამ აბრამი-  
 შვილი და დავით ჯალაღანია. ისინი სულ ასალგაზრდები  
 მოვიდნენ აქ და პირველივე სპექტაკლიდან მიზნად დაი-  
 სახეს ბავშვებში გააღვიძონ სიმაართლისადმი სიყვარული,  
 პატრიოტიზმი, კაცობრივიყვარება, სიძულელი სისურამცი-  
 სა და მეუთხარობისადმი.

ბევრ საინტერესო მოგონებას ინახავს თეატრის აღბო-  
 მი-მატანე, მაგრამ მათ შორის ერთი განსაკუთრებულად  
 საამაყოა. 1947 წელს თბილისს სამეცნიერო მივლინებით  
 ეწვია უნგრელი ხელოვნებათმცოდნე მარია ვაიდა, რომე-  
 ლიც მუშაობდა საკანდიდატო თემაზე „ბავშვის გონებრივი  
 აღზრდა შემოქმედების პროცესში“. დაკვირვებისათვის  
 შეცნინერმა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თოჯინების  
 თეატრის ნორჩი მსახიობების შემოქმედება აირჩია. მან  
 ნახა ყველა წარმოდგენა, დაუმეგობრდა პატარებს, შეის-  
 წავლა მათი მიზნები და მიწრაფებანი და თბილისის სა-  
 ხელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გაჯართო-  
 ვებულ სხდომაზე ბრწყინვალედ დიკცა დისერტაცია. საბო-  
 ლოო სიტყვაში კი სიხარულით განაცხადა, რომ მის წარ-  
 მატებაში დიდი წვლილი მიუძღვით პიონერთა სასახლის  
 აღსაზრდელებს, კერძოდ, თოჯინების თეატრს.

აღბომ-მატანეში კიდევ ერთი განსაკუთრებული ადგი-  
 ლი უჭირავს სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწი-  
 ფო პრემიის ლაურეატის, თოჯინების ცენტრალური თეატრ-  
 ის სამხატვრო ხელმძღვანელის ს. ოზარცხოვის შთაბეჭ-  
 დილებს.

ამჯერად თეატრის რეპერტუარში ოთხი სპექტაკლია —  
 მიხალკოვის „ბაქია ბაქია“, რომელიც ლენინური პიონე-  
 რული ორგანიზაციის 50 წლისთავს მიეძღვნა, მარშაკის  
 „ცინე კოშკი“, მატვევის „ჯადოსნური კალაოში“ და ჯა-  
 ლღონიას „მამლაყინწას თავდასაყალი“.

თეატრის მეგობრული ურთიერთობა აქვს ჩვენი ქვეყნის  
 მრავალი ქალაქის პიონერთა სასახლის თოჯინების თეატრ-  
 რეთან. მათ შორის ზოგიერთს დიდი ხნის ისტორია აქვს.  
 ჯერ კიდევ სამამულო ომის დროს, როცა ფაშისტებმა კიე-  
 ვის პიონერთა სასახლე დაარბიეს, თბილისის პიონერთა  
 სასახლის თოჯინების თეატრი მართადა ფასიან წარმოდ-  
 გენებს და შემოსული თანხის ნაწილს რიცხავდა ივეის პი-  
 ონერთა სასახლის აღდგენის ფონდში, ნაწილს კი — ომში  
 დაღუპული მეომრების ოჯახების დახმარების ფონდში.  
 ოცდაათი წლის წინ დაწყებული მეგობრობა დღესაც  
 გრძელდება.

თოჯინების თეატრის ნორჩი მსახიობებიდან გამოირჩე-

ვიან ნ. შიოშვილი, თ. ბერიანშვილი, ლ. სამჭუკაშვილი  
 ნ. ტოტოლაშვილი, მ. წიკლაური, გ. ხოსაშვილი და სხვ.

ქართული თეატრის და კინოს საშუალო თაობის ბევრ  
 მოღვაწეს თავის პროფესია თავდაპირველად სასახლის  
 პიონერულმა თეატრმა შეაყვარა, რომელიც 30 წლის წინ  
 შეიქმნა. იგი სამართლიანად ამაყობს თავისი აღზრდილ-  
 ბით, რომელთა რიცხვი მართლაც ბევრია.

ქანდაკეობა და ძეგლის კაბინეტი. წინა პლანზე — პიონერა  
 ი. ცისკაძე, პედაგოგი ზ. კრაწაშვილი.







ხატვისა და ფერწერის კაბინეტი. მარცხნივ — პედაგოგი ც. კანდელაკი ბავშვებთან შემოხიზის.

პიონერთა სასახლის თეატრს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ ჩვენი თეატრალური კულტურის წარმომადგენლები: ს. ზაქარაძე, თ. ბაქრაძე, თ. წერეთე, ვ. სულაქველიძე.

თავისი არსებობის მანძილზე თეატრმა 90 ბიჟს დადგა. ნორჩი მსახიობები წარმატებით ასრულებდნენ ქართული, რუსი და უცხოელი დრამატურგების პიესებს. ამ დროდათაა წლის მანძილზე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ირ მომხდარა წლის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არ გამოხმავრებოდეს პიონერული თეატრი. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. თეატრის ხელმძღვანელი უმანგ ზარციძე და რეჟისორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამარ თეთრაძე დასადგმელად სწორად არჩევენ რეჟერტურას და დროულად ემზადებიან მოვლენებს. მაგალითად, საქართველოში სამჭოთა ხელისუფლების დამყარებას 50 წლისთავს მიეძღვნა უ. ზარციძის ბიჟს „წიქოთის განთიადი“, რომელიც საქართველოში სამჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს ასახავს. ბიჟსას საფუძვლად უდევს გურიის ერთ-ერთი სოფლის სინამდვილე. აღნიშნულ წარმოდგენაზე მასარაძესა და ჩოხატაურში გასტროლების დროს, გახუთი „ლენინის დროს“ წერდა: „ნორჩმა მსახიობებმა ნათლად და დამაჯერებლად წარმოადგინეს ნახევარი საუკუნის წინათ გურიის პატარა სოფელ წიქოთში კომკავშირული უჯრედის ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ“.

ასევე საინტერესოა ვ. სმირნოვისა და ი. გრმლოავის ბიჟს „კვადრატის ჯარზე“ (რეჟისორი თ. თეთრაძე) რომელსაც შეიძლება ეწოდოს სინამდვილის უზაპარი. იგი ბავშვებში აღიეფებს პატრიოტულ გრძობებს.

პიონერული ორგანიზაციის ორმოცდაათი წლისთავის იუბილესათვის თეატრმა უკვე წარმოადგინა თ. ნაზაროვილის ბიჟს „გადატყნული ლერწამი“, რომელიც ასახავს გმირი პიონერის პავლე მოროზოვის საინტერესო ცხოვრებას.

სასახლის პიონერები მაღლ ორი ახალი დამგმით გაახარებენ მყურებლებს; უკვე მიმდინარეობს რეპერტიციები „ნაჯარქევისას“ და „სურამის ციხის“ დადგმაზე.

სასახლის თეატრალურ კოლექტივებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა ოპერეტის თეატრი (ხელმძღვანელი კომპოზიტორი შოთა ჯოჯუა, რეჟისორი ვალერიან შანუგია). პიონერთა რესპუბლიკური სასახლე პირველია მიუღს კავშირში, სადაც ამ განხრის თეატრია გახსნილი. მასში 50-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. თეატრმა უკვე განიცადა პრე-

მერის სისხარული, ხოლო მისმა მყურებელმა დიდი ესტეტიკური სიამოვნება. წარმოდგენილი იყო შ. ჯოჯუას ერთ-მოქმედებიანი საბავშვო მუსიკალური კომედია „შეგვდარა ბანაკში“ (ლიბრეტო თ. რაზმაძისა და ვ. შამუგისა).

ბავშვებმა კარგად დაძლიეს ოპერეტის სპეციფიკური სირთულეები. პირველი წარმატებით აღფრთოვანებული ნორჩები მეტი რწმენითა და გულდაჯერებით აგრძელებენ მუშაობას.

ძალზე საჭირო და სასარგებლო საქმეს აკეთებს სასახლის მხატვრული კითხვის კაბინეტი.

— ჩვენი კაბინეტის მიზანია, — გვითხრა მისმა გამგემ მიხელო შაფთოშვილმა, — ბავშვებმა ისწავლონ სწორი, გამართული საუბარი, შეეყვაროთ მათ კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა, პოეზია, რაც მოავარია, მშობლიური ენა, ქართული სიტყვის ძალი.

ამ მიმართებით დიდ და სასარგებლო შრომას ეწევა გამოცდილი პედაგოგი ინესა აბესაძე.

კაბინეტის აღსარდლები თითქმის ყველა საქალაქო თუ რესპუბლიკური ორნისიების მონაწილეები არიან. ხშირად ვაწყობთ შეგვედრებსა და საღამოებს. კომკავშირის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში ჩავატარეთ საღამო „ჭაბუკები დარჩნენ მარად“. პიონერული ორგანიზაციის იუბილესათვის კი თბილისის 51-ე საშუალო სკოლასთან ერთად ვამზადებთ სპეციალურ პროგრამას „პიონერთა 50“.

ყოველი ორნისიების მომზადებისას ვითვალისწინებთ ბავშვების შესაძლებლობებს. ზირთე კი მართლაც საიმედო გვყავს. აის ისინი: თ. იაშვლაშვილი, დ. კიკნაძე, ნ. სიხარულიძე, თ. კავლაშვილი, ზ. ცინცაძე, მ. კალანდაძე, ნ. ირემაძე, მ. ბაგრატიონი, მ. მაგლობიშვილი და ხ. ხურშილი.

\* \* \*

პიონერული საექსტრად ორკესტრი „მზიური“, რომელშიც მხოლოდ გოგონები მონაწილეობენ, სასახლეში ასაკით ყველაზე უმცროსი კოლექტივია. იგი სულ ახლანან დაარსდა.

გასული წლის ექვს დეკემბერს პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის 30 წლის საიუბილეო საღამოზე რესთაველის სახელობის თეატრში შედგა „მზიურის“ დებიუტი. მძელი იყო სისხარული დაფარვა, როცა ქსოლოფინზე, კლავიშებიან ელექტრონისტრუმენტ „იუნოსტრუ“, ფორტეპიანოზე, გიტარაზე, ვიოლონჩელისა და დასარტყმელ საკრავებზე აქლერდა ლალიძის, გაბუნაის,



ბუნების, შვარცისა და სხვა კომპოზიტორების საბავშვო და სახუმარო სიმღერები. თავისი ადგილი დაიკირა რიტ-მულმა ცეკვებმა, ფეკტური იყო ნ. ნადირაშვილის ძანგები ორ სალაურზე. აქაც თავისი სიტყვა თქვეს ჰიონერებმა, ერთხელ კიდევ ასახელეს სასახლე, პედაგოგები და საამოვნება მიახიჭეს მშენებელ-მავურებელს. „შიური“ ახლა საქართველოს გარეთაც ცნობილია. რესპუბლიკურზე რომ არაფერი ვთქვათ, მის შესახებ არაერთხელ დაიწერა საკავშირო პრესაში, მათი კონცერტი გადამცა ცენტრალური ტელევიზიით, მისი არსებობა და წარმატება აღნიშნა გაზეთმა „სტრავამა“.

სასახლის მხატვრულ-მუსიკალური სახის წარმოდგენა შეუძლებელია მუსიკალური ათწლეულის, კამერული ანსამბლის, ვოკალური ჯგუფების, სასულე ორკესტრისა და მომღერალთა გუნდის გაცნობის გარეშე.

მეთოხე წელია, რაც არსებობს მუსიკალური ათწლედი (გამგე გიული ლალიძე). საფორტეპიანო, სიმფონი და ჩასახები საკრავების კლასებში გაერთიანებულია 130 ბავშვი. სწავლება ჩვეულებრივი მუსიკალური სკოლების პროგრამით მიმდინარეობს. იმართება დახურული და ღია კონცერტები. სკოლის ბაზაზე შექმნილია აგრეთვე ოქტომბრულთა გუნდი, რომელიც თითქმის ყოველი დიდი კონცერტისა და ღონისძიების მონაწილეა.

დიდი ხანი არ არის, რაც სკოლასთან გაიხსნა კლასიკური გიტარის განყოფილება, რომელმაც გიტარაზე დაკვირის სურვილით გატაცებული მრავალი პიონერი მიიზიდა. ბევრი მცადონებმა შედეგსაც უთუოდ კარგს მოიტანს...

ჰოპულარობით სარგებლობს სასახლის ვოკალისტთა ჯგუფი. აბა ვინ არ მოიბოლუა ი. ბერაძის, ე. კახიანი, მ. ჯაბუას, ნ. რომელაშვილის, ხ. დონდუას, დ. ლობჯინიძის, ჭ. ფირცხალავას, თ. ჭობინელიძის, ე. ენუქიძის, ნ. კახაძის, დების — ი. და ე. გოდერძიშვილების, მ. ნარეშვილის, გ. ადამიას, ნ. ცარციძისა და სხვათა სახეში სიმღერებით. სასახლის ნორჩი ვოკალისტების ყოველი გამოსვლა პეწს მატებს კონცერტებს. პედაგოგები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ციცინო ციციშვილი

და ალექსანდრა ჯანელიძე ცოდნასა და გამოცდილებას არ ზოგავენ ნორჩ მომღერალთა აღზრდისათვის. ამ ჯგუფში მოდის ყველა, ვისაც სიმღერა უყვარს. მსურველი მართლაც ბევრია, მაგრამ ჯგუფებში მხოლოდ საუკეთესოებს იღებენ. ამაზე მეტყველებს ოლიმპიადის ლაურეატთა სიმრავლეც. ასეთები კამინეტში 50-მდეა. ლაურეატობისთვის კი მართო სიმღერის სურვილი არ კმარა, საჭიროა ნიჭი, სიმეჯითე და საქმისადმი სიყვარული.

პიონერთა სასახლის მომღერალთა გუნდს, დარსების დღიდან ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვლადიმერ შუმბურიძე. გუნდმა, რომელიც 120 ბავშვია გაერთიანებული, სერიოზული წარმატებები მოიპოვა, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის გარეთ.

მრავალფეროვანია გუნდის რეპერტუარი. მაღალპროფესიულ დონეზე დამუშავებულ-შესრულებული ქართული, კლასიკური და სსრ კავშირის ხალხთა საბავშვო სიმღერები მსმენელის ყურადღებას იქცევს. გუნდი განსაკუთრებულ წარმატებით ასრულებს ლალიძის, მილორაჟას, ცაბაძის, შავერზაშვილის, ჯოჯუას, ტულიკოვის, სოლოვიოვისებისა და სხვათა სიმღერებს.

\*\*\*

დღეს საქართველოში ძნელად მოიძებნება სკოლა თუ კულტურის სახლი, სადაც არ არსებობდეს ქორეოგრაფიული კოლექტივი. ამ მხრივ თავისი ტრადიციით ერთ-ერთი პირველია პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე. აქ მართლაც რომ პროფესიულ სიმალეზეა აყვანილი ცეკვის შესწავლის ხელოვნება. (ხელმძღვანელი საქართველოს სსრ და ჩრდილო ოსეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რომან ჭობინელიძე).

კუთრებულ ინტერესს იჩენენ გამერული საანსამბლო ჟანრების მიმართ ქართული საბჭოთა მუსიკის მეორე ეტაპის ხილ და ის ახალაზრდა კომპოზიტორები, რომლებიც საკვარტკტიანო სარბიელზე სწორედ ომის შემდგომ წლებში გამოვიდნენ. ჩვენ არიან: ა. შავერზაშვილი, რ. გაბიჩაძე, ნ. გუდიაშვილი, ნ. ქუსანიშვილი, ტ. ბაქრაძე, თ. კორძია, შ. მისოჩიანი, თ. თაქთაქიშვილი, რ. ლალიძე, რომლებსაც 50-იანი წლების შემდეგ ამ ჟანრისათვის აღარ მიუშარბათ.

აღსანიშნავია, რომ მუსიკის ისტორიაში დამკვირვებულ თავისებური ტრადიციის საპირისპიროდ, საქართველოში ბოლო დრომდე ინსტრუმენტული ანსამბლის ჟანრებს უმეტესად ის კომპოზიტორები მიმართავდნენ, რომლებსა შემოქმედებითი ინდივიდუალობა სწორედ გამერული მუსიკის სფეროში გამოვილიდა. მათ შორის არიან: შ. თაქთაქიშვილი, ნ. ნარბინიძე, რ. გაბიჩაძე, ა. შავერზაშვილი, ს. ცინცაძე, ნ. გუდიაშვილი, მაშინ, როდესაც წყვეტანი ქართველი სიმფონიკები — შ. შვეციძე, ა. ბალანჩივაძე, თ. თაქთაქიშვილი ეპიზოდურად ან სულ არ მიმართავენ ამ ჟანრს. შესაძლებელია, ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ აღნიშნულ პერიოდში ქართული ინსტრუმენტული ანსამბლის განვითარება სიმფონიური მუსიკისაგან დამოუკიდებელი გზით წარმართა.

ამ პერიოდის მრავალრიცხოვან გამერული ანსამბლებს შორის ბევრს დღემდე არ დაჟარავს მხატვრული მნიშვნელობა, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ნ. გუდიაშვილის საფორტკტიანო კვინტეტი, ა. შავერზაშვილის საფორტკტიანო ტრიო (1952 წ.) და საფორტკტიანო კვინტეტი (1955 წ.), რ. გაბიჩაძის II კვინტეტი (1955 წ.), თ. კორძიას საფორტკტიანო კვინტეტი (1950 წ.), ს. ნასიძის საფორტკტიანო ტრიო (1958 წ.), ეს ნაწარმოებები თავისი შინაარსითა და სტილით ორჯერ უკავშირდებიან ქართული გამერული-ინსტრუმენტული საანსამბლო მუსიკის დარგში 50-იანი წლების I ნახევარში შექმნილ საერთო ვითარებას. უნდა ისიც ითქვას, რომ ომისშემდგომი წლები 50-იანი წლების მეორე ნახევარამდე ყველაზე უფრო ნაყოფიერი პერიოდია ქართული ინსტრუმენტული ანსამბლის ისტორიაში.

40-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული გამერული-ინსტრუმენტული საანსამბლო მუსიკის ცენტრალურ მოღვენდა უნდა მივიჩნიოთ ს. ცინცადის საკვარტკტო შემოქმედება. ქართულმა ინსტრუმენტულმა ანსამბლმა საკვარტკტიანო და საერთაშორისო აღიარება სწორედ ცინცადის საკვარტკტო ნაწარმოებებით მოიპოვა. ამასთან ს. ცინცადის საკვარტკტო შემოქმედება დიდ ინტერესს იმსახურებს არა მარტო მხატვრული აქტუალობით, არამედ ქართულ გამერული-ინსტრუმენტული ანსამბლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც, რადგან მასში ნათლად აისახა ამ ჟანრის განვითარების ძირითადი ტენდენციები.<sup>2</sup>

აღნიშნული პერიოდის ქართული გამერული-ინსტრუმენტული საანსამბლო მუსიკის ტიპიურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ცინცადის აღნიშნული კვარტკტიები და საკვარ-

2 გამერული ინსტრუმენტული ანსამბლის მრავალფეროვანი ენარტება ს. ცინცაძე მხოლოდ სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობით შემოიპოვარა. ამჟამად იგი 7 სიმებიანი კვარტეტისა და სამი საკვარტკტო სუიტის ავტორია, რომელთაგან, ოთხი კვარტეტად და სუიტები შეიქმნა 1947, 1948, 1950 და 1955 წლებში, ხოლო ბოლო სამი კვარტეტი კი შესაბამისად 1962, 1966, 1971 წლებში. გარდა ამისა, 1971 წელს მან თავისი I კვარტეტის ახალი რედაქცია განაბორტყლა.





ტიკო მინიატურები, რომლებიც ამ ჟანრის 20-30-იანი წლების ტრადიციის შესაბამისად, უშუალოდ ხალხურ ნი-  
დადავზე აღმოცენდნენ.

ცინცადის კვარტეტებში მთავარი მუსიკალური სახეების შექმნისათვის ამოსავალ წერტილს ხალხური მელოდიები წარმოადგენდა. თვალსაჩინოებისათვის დავასაყლებზე II კვარტეტის II ნაწილს — სკერცოს, რომლის საფუძველია ხალხური „დღელური“, III ნაწილს — ვარიაციებს ხალხური სიმღერის „მზე შინა და მზე გარეთას“ თემასზე, III კვარტეტის III ნაწილს, სადაც „გუნში შვიდნი გურჯაწანობას“ გამოყენებულა და ა. შ. ხალხური წყაროებიდან იღებენ სათავეს ცინცადის ზოგიერთი ორიგინალური თემებიც. მაგალითისათვის საკმარისია შევადაროთ IV და V კვარტეტების მთავარი თემები „ლილეგას“ და „გაფრინდი, შავო მერცხალას“ საწყის მოტივებს.

ხალხურ მელოდიებს გვხვდებით ამ პერიოდის სხვა ქართული კომპოზიტორების კამერულ-ინსტრუმენტულ ანსამბლებშიც. მაგალითად: 6. გულიანოვილის საფორტეპიანო კვინტეტის I ნაწილის მეორე თემში — „ნეტკაჲ, გოგოვ, ვე და შენ“, რ. გაბინჯაძის II კვარტეტის სკერცოში — „თამარ ქალი და ხონთქარი“, ხოლო ფინალის თემა — „ქალაუ, გიყვარვარ თუ არა“, ა. შავიერაშვილის სავილიონი სონატის სკერცოში „დიდაგიო ნანა“, თ. გორდელის საფორტეპიანო კვინტეტის ფინალში — „ცანკა-ლა და გოგონა“, 6. ნარიანიძის III კვარტეტის I ნაწილში ქალაქური ლირიკული სიმღერა „აღმართ, აღმართ“ და ა. შ.

ფოლკლორული სახეები 60-იანი წლების ქართულ კამერულ-ინსტრუმენტულ ანსამბლებში იჩენენ თავს, უმეტესად ქანრულ კიბორჩხლებში — სკერცოებსა და ფინალ-ებში, სადაც ხალხური ინტონაციები ხშირად ისეა განსაზღვრული თანამედროვე მუსიკალური ენისათვის დამახასიათებელ გამოხატვის სპეციფიკურ საშუალებებში, რომ მათში ერთფეხული კოლორიტის შეგრძნება რთულდება. მაგალითად: 6. ცინცადის V კვარტეტის სკერცოში დამახასიათებელ „პიციკატში სამოსელში“ ისახებიან ხალხური სიმღერის „ქალაუ, გიყვარვარ თუ არა“ მელოდიური კონტურები, „გუნში შვიდნი გურჯაწანობას“ სახეშეცვლილი მელოდი: ჩნდება რ. გაბინჯაძის III კვარტეტის სკერცოში, ხოლო „ხორუმის“ რიტმი ამავე კვარტეტის ფინალში, ხევეურული ხალხური ინტონაციები მოისმის აგრეთვე 6. ხასიძის I კვარტეტის I ნაწილში და ა. შ.

40-50-იანი წლების ქართულ კამერულ ინსტრუმენტულ ანსამბლებში კავშირი ხალხურ წყაროებთან ჩანს არა მარტო ფოლკლორული მასალის (ციტრებიდან, არამედ მისი ძირითადი სტილისტური კანონზომიერების განსოვადებიდანაც. ასე მაგალითად: I კვარტეტი, რომლითაც ცინცადე არსებითად პირველად გამოიღო შემოქმედისათვის საყრდელ-ზე, მთლიანად ორიგინალურ თემატურ მასალას ეყრდნობა. ორიგინალური თემატური მასალა დაეღო საფუძვლად IV კვარტეტსაც.

ამრიგად, 40-50-იანი წლების ქართული კამერულ ინსტრუმენტული ანსამბლის ძირითად სტილისტურ საფუძველს წარმოადგენს ხალხური მუსიკა. სწორედ იგი განსაზღვრავს მისი მუსიკალური ენის ყველა შემადგენილი ელემენტის მელოდიკის, პარმონიის, რიტმიკის, ინსტრუმენტების თაისებურებებს. დამახასიათებელი მელოდიკური და კადანსური მიმოქცევები, ქართული ხალხური მუსიკის კილოური ბუნებიდან გამომდინარე მათში, მკაფიოდ დაიბრუნა. ვერაპული ფუნქციონალური პარმონიის თაისებურებებთან შეთავსებული ქართული ორიგინალური ავროლია და სხვა საუკეთესო საშუალებანი ამ ანსამბლებში აძლიერებენ მუსიკის ერთფეხული კოლორიტს. მეორე მხრივ ხალხურ წყაროებთან ასეთი მჭიდრო და მრავალ-

მხრივ კავშირი თვით მუსიკის საერთო ემოციურ-ტონუსსაც განსაზღვრავს. აღნიშნული პერიოდის ანსამბლებში ფოლკლორული წარმოშობის კანრულ-ყოფითი სახეების დიდი როლი ნათელ, მკაფიულ ხასიათსა და ამავე დროს მუსიკალური გადმოცემის თავდადებულობას განაპირობებდა. სახელობრ: 6. ცინცადის მუსიკაში მსმენელს იზიდავს სრული მინჯავა პარმონია, გრძნობათა სისატრაკე და უშუალობა. ამავე დროს, მისი მუსიკის აქტიურ, ქმედით ტონუსში იგრძნობა თანამედროვეობის სუთიქვე. ეს თვისებები თანაბრდაა დამახასიათებელი ცინცადის თვითმღები კვარტეტებისათვის. რომელიც დროის საკმაოდ მძიერ შუალედში შეიქმნენ (1947-55 წწ.) მათგან პირველი სამი კვარტეტი ლირიკულ-ქანრული ხასიათისაა. ამ ნაწარმოებთა სტილის თავისებურებებს, იმავე წლებში შექმნილ კვარტეტო მინიატურებთან ერთად ხალხური წყაროები განსაზღვრავენ.

აღნიშნული პერიოდის ინსტრუმენტულ ანსამბლებში ხალხური წყაროები მუსიკალური ენის გაობასათვის ყველა საშუალებათა პარმონიულ წინასწორობასთან ერთად განაპირობებენ სასიმღერო საწყისის დიუ როლსაც. სწორედ სასიმღერო ბუნების თემებთან გამოხატული როგორც სუ-პსტიტურ-ლირიკული, ისე ქანრულ-ყოფითი სახეები. აქვე-დად გამომდინარე, ამ ნაწარმოებებში გვხვდებით როგორც ხალხური საკუნთლ მრავალმნიშვნის, ისე ერთმნიშვნის-სათვის დამახასიათებელ, უფრო ჰომოფონური წყობის ფაქტურას, სადაც ყველა ხერხი მთავარი მელოდიკურ ხაზის გამოვლინებისკენაა მიმართული. სწორედ ეს განსაზღვრავს ინსტრუმენტების ზოგიერთ თავისებურებასაც ამ პერიოდის ინსტრუმენტულ ანსამბლებში ხალხურად იგრძნობა ინტერული ტემპრული კოლორიტის ფორადღებების ეფექტრობისაკენ. თვალსაჩინო მნიშვნელობა მელოდიკური ნახაზის რელიეფურობის, ხმათა მოძრაობის მკაფიო-ობისაკენ, რაც განაპირობებს ანსამბლის ყველა ინსტრუმენტულ ბარტიკის თანასწორუფლებიანობას. „ბუნებრივი“ წმინდა კონტრების ფართო გამოყენებიდან ჩანს კავშირი კლასიკურ ტრადიციებთან. ტემპრული კოლორიტის მტკ-მრავალფეროვნებით გამოირჩევიან ანსამბლების ქანრულ ენისაკლები. უმეტესად სკერცოები, სადაც ხალხური ინსტრუმენტების იმიტირების შემთხვევებსაც ვხვდებით. 40-50-იანი წლების კამერულ ინსტრუმენტული ანსამბლები მუსიკის საერთო ფონზე ტემპრული ფორადღებებით გასაკუთრებით გამოირჩევა 6. ცინცადის პირველივე საკვარტეტო ნაწარმოებში, სადაც აშკარა მისწრაფება სიმრ-ბიანთა ანსამბლის გამომხატველ საშუალებათა გაფართო-ებისაკენ, ძირითადად ხალხურ საკვარტელ დამახასიათებელ ტემპრების იმიტირების საფუძველზე.

ამ პერიოდის ინსტრუმენტულ ანსამბლებში ერთფეხ-ული კოლორიტი მიღწევა არა მარტო ფოლკლორული მასალ კოლორიტითა და დამახასიათებელი მელოდიკური მიმ-ცევებით, არამედ ქართულ ხალხურ მუსიკაში გაჯერ-ებულ კილოებისა და ავროდიკის ფართო გამოყენებითა მოცემულია აგრეთვე კლასიკური ფუნქციონალური პარმ-ონიის კანონზომიერებანიც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრ-ვინება ცინცადის ადრინდელი კვარტეტების სირტურ აპყრ-ებში კილოური წყობის თემებს შორის არსებული ტონ-დომინანტიანი დამოკიდებულება, აგრეთვე ამავე კვარ-ტეტის ზოგიერთ თემში ტონიკა-დომინანტური ბარტიკ-ტების გამოყოფა კილოურ საყრდენებად. ეს იგი თემებსა ტონ-ტურ ბუნებასთან, კვადრატულობასთან, სიმეტრიულ ბასთან ერთად, ქმნის კლასიკურ მკაფიობას, თანრე-ბულობას, შინჯან სიმყარებს და ნათელ ემოციურ შეფერ-ვლობასაც.

40-50-იანი წლების ქართული კამერული ინსტრუ-ტული ანსამბლი მუსიკის ეს ძირითადი სტილისტუ-



თავისებურებანი განსაკუთრებით მაგაფოდ გამოვლინდა ცინციპის VI კვარტეტში. მუსიკის ძირითადი ხასიათით, ფოლკლორული ბუნების სახეებით, გამოსახვის საშუალებებით, იგი ცინციპის სხვა კვარტეტებთან შედარებით უფრო ახლო მისსავე საკვარტეტო მინიატურებთან, რომლებიც გამორჩევიან ხალხური მუსიკის მემკვიდრეობად მაღალმასშტაბული დამუშავებით. მეორე მხრივ, II კვარტეტში ორგანულად შეთავსებული ერთგული და კლასიკური მუსიკის სტილისტური თავისებურებანი, ეს ჩანს როგორც მუსიკალური ენად, ისე ცალკეული ნაწილებიდან და ციკლის საერთო აღნაგობიდანაც. ამ კვარტეტს კლასიკურ ტრადიციებთან აკავშირებს აგრეთვე, როგორც სიმწიფობა, ლაკონიზმი, მკაცრი პოზიტივიზმითა და გამოსახვის საშუალებათა შინაგანი პარმიონულია და წონასწორობა, სახეთა რელიეფობა. მიუხედავად იმისა, რომ (ხალხური წყაროებიდან გათმობინარე) ისინი უმეტესად ფართოდ გაშლილი მუსიკალური ნაგებობის სახით დასრულებიან, როგორც წესი, გამოირჩევიან მდიდარი დამუშავებით თავისებობით. მაგაფოდ და სადა კლასიკური ფუნქციური შესაბამისი კვარტეტში, ბუნებრივად შეთავსებული ქართული ხალხური კილოური პარმიონიის თავისებურებებთან. კლასიკურ ტრადიციებს შეესაბამება აგრეთვე, შესავლის დრამატურული ფუნქციაც, რომელიც არ განსაზღვრავს ნაწარმოების ძირითად შინაარსს, არამედ კონტრასტის პრინციპით უფრო მაგაფოდ ნათლად ალერგის თემების ხასიათს.

50-იანი წლების დასაწყისისათვის ნ. გუდიაშვილის, ა. შავერზაშვილის, რ. გაბინაძის და თეთი ს. ცინციპის ინსტრუმენტული ანსამბლებში მაგაფოდ იჩინა თავი მისწრაფებამ იდეურ-ემოციური შინაარსისა და, შესაბამისად, გამოსახვის საშუალებათა სფეროს გაჯერებისასავე, ამან გამოხატულა პიუთა ერთი მხრივ, ანტირის შემდგომ დრამატუზაციაში, ხოლო მეორე მხრივ, სიმფონიზმის პრინციპების თანმიმდევრულ გატარებაში. ჟანრის ევოლუციის ეს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთვისება ნათლად გამოვლინდა თეთი ცინციპის ადრინდელ კვარტეტებშიც. ამ თვალსაზრისით გარდამავალი ხასიათისაა მისი III კვარტეტები, სადაც ვხვდებით ჟანრული და ლირიკულ-დრამატული საწყისების შეთავსების ტენდენციას. აღსანიშნავია ამ კვარტეტის III ნაწილის მთლიანობა, დრამატული ელფერის ლირიკა, რომელიც შემუშავებულია ჯერ კიდევ I კვარტეტის „კანცონის“ დასაბულო ემოციური ტონუსით. არსებითად აქედან ითვება დასაბამს ლირიკულ-დრამატული ხასიათის IV კვარტეტებიც. ეს პრინციპულად ახალი მოლონა ცინციპის შემოქმედებაში.

მართლაც, IV კვარტეტის საგრძნობლად განიზრგვა თავისი პრინციპებისაგან შინაარსითა და დრამატურული შინაარსით. განახლებას განიცდის მუსიკალური ენაც, ამას მოწმობს მუსიკალურ დიქციონარ-რეკონსტრუქციური ელემენტის შეჭრა და მუსიკალური ენის ინტონაციური გამახვილებისაგან მისწრაფება. თვალსაჩინოა კილო-ტონალობათა ჩარჩოების გაჯერებულობა, მისი საფუძვლების ქრომატიზაცია. ეს ტენდენციები ნათლად გამოვლინდა ცინციპის ბოლო პერიოდის ნაწარმოებებში, სადაც კიდევ უფრო გაღრმავდა სუბიექტურ-ლირიკული საწყისი.

ყურადღებას იქცევს IV კვარტეტის კიდევ ერთი ახალი თვისება — სიმფონიკობა. კვარტეტში მღვწილული მტკიცე შინაგანი ერთიანობა, ციკლის ყველა ნაწილში ინტონაციურად მონათესავე ლირიკული სახეების თანმიმდევრული, „გამოქლი“ განვითარებით და ფინალიში მათი აზრობრივი გარდაქმნით. ამ სახალხო IV კვარტეტის უაღრესად ნიშანდობლივი მოვლენაა 40-50-იანი წლების ქართული კამერული ინსტრუმენტული ანსამბლისათვის.

გარდა ამისა, იგი უშუალოდ უშვადებს საფუძვლს V კვარტეტს, რომელთაც ახალი პერიოდი დაიწყო ქართული კამერული ინსტრუმენტული ანსამბლის განვითარებაში. ჟანრის დრამატუზაციისა და სიმფონიზაციის ტენდენციამ ნათლად იჩინა თავი ამ პერიოდის სხვა ინსტრუმენტულ ანსამბლებშიც. მათ შორის ნ. გუდიაშვილის საფორტეპიანო კვარტეტშიც. ამ თვალსაზრისით, კვინტეტის ტრადიციულ თხზნაწილიან ციკლში ყურადღებას იქცევს II ნაწილი — Adagio გ-moll (სონატური ფორმი), სადაც ღრმა ჩაფიქრებისა და მთავრებულ-ჭეჭრული კანწყობილობების გვერდით, დაძაბული, დრამატული სახეებიცაა მოცემული.

გუდიაშვილის კვინტეტის არსებით თვისებას შეადგენს მუსიკის რომანტიკული ხასიათი, რაც პირველად პროფ. გ. დონაძემ აღნიშნა (იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., № 9). თვალსაჩინოა მუსიკალური ენის შოკიერთი თავისებურებანიც: სახიმობის საწყისის დიდი როლი, უწყვიტო მელოდიაური განვითარებისაგან მისწრაფება, აქედან პოლიფონური ხერხების ხშირი გამოყენება. გუდიაშვილის მუსიკალური სახეები ფართოდ გაშლილი მელოდიაური ნაგებობები ყალიბდება. ისინი აქტიურად თემა-მელოდების წარმოდგენენ რაც განსაზღვრავს ექსპონიციური მიმდინარე გარკვეულ უპირატესობას დამუშავებითაც. ეს უმეტესდებდა პროფესორ ვლ. დონაძეს ეკუთვნის. გუდიაშვილის სტილს რომანტიკული მუსიკის თავისებურებებთან აკავშირებს აგრეთვე ტონალობების ტრეცივილი დაპირისპირებათა კოლორისტული საშუალების განმარტება, მინორული კილოების უპირატესობა, რაც მუსიკის მტკანტიზმობას, ემოციურ სითვისა და გულთბობას ანიჭებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თეთი შესავლის თემის დრამატურული ფუნქციაც, როგორც ნაწარმოების მთავარი მუსიკალური სახისა, რაც უმეტესად 50-იანი წლების ქართული ინსტრუმენტული ანსამბლებისათვის, განსაკუთრებით კი ა. შავერზაშვილისა და რ. გაბინაძის შემოქმედებისათვის უნდა დამახასიათებელი. ასე მაგალითად: ა. შავერზაშვილის I საფორტეპიანო ტრიოს მთავარი მუსიკალური სახეა შესავლის თემა. გუდიაშვილის კვინტეტის მსგავსად, სწორედ შესავლის თემაში კონცენტრირებული ტრიოს დრამატული კონფლიქტი. კომპოზიტორის სიმფონიური აზროვნება გამოდგება ამ თემის განვითარების მაგალითზე, რომელიც ამავე დროს შინაგან ზრდაშია ნაწილებში. განსაკუთრებით ნათელი ხდება ეს ფინალიში, სადაც ჩნდება შესავლის სახე, როგორც წინამდებარე განვითარების შედეგი. ა. შავერზაშვილის ტრიო სასეკუნდო დადამახასიათებელი მოვლენაა 50-იანი წლების ქართული კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლი მუსიკისათვის, ფოლკლორული წყაროების შემოქმედებითი ათვისების თვალსაზრისითაც. ამავე დროს კომპოზიტორი არ უარყოფს ციტირების ხერხსაც — შესავლის და I ნაწილის მთავარი პარტიის თემა ხალხური სიმღერის, ნუგატი, გოგო, მე და შენ“ მშლოდას ეყვარებთან. მაგრამ ეს მშლოდა მთლიანად იმერულია.

ა. შავერზაშვილის მისწრაფება ციკლის ნაწილების ერთიანობისაკენ ვლინდება საფორტეპიანო კვინტეტში, სადაც შესავლის დრამატურული ფუნქცია განვითარების პროცესში სულ უფრო ღრმავდება და ნაწარმოებში მომთემატების ელემენტებს იძენს.

სიმფონიური პრინციპების დაუფლების თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ქართული კამერული ინსტრუმენტული ანსამბლის ლირიკულ-დრამატული განმტრების კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუში — რ. გაბინაძის II კვარტეტი. იგი ჩაფიქრებულია, როგორც კონტრასტული და ამავე დროს შინაგანად ერთიანი ციკლი, მასში გა-





მასალა, უფრო განზოგადებულად არის აღქმული. დამწყვეტი როლი კვლავ შესავლის თემას ეკუთვნის. მაგ. ამჟამად, როგორც ნაწარმოების მთავარი დრამატული ანტითემა, იგი ლიატოტივის სახით ციკლის ყველა ნაწილში ჩნდება და წარმოადგენს მისი თემატიკის ძირითად ინტონაციურ წყაროსაც. კვარტეტის სახეობრივ-ინტონაციური და სტილისტური მოღვაწეობა იმიტად მი-ინტერესურა, რომ მისი ორივე ხაზი — ლირიკულ-დრამატული და ჯანრულ-ყოფითი ძირითადად ფოკალური მასალით სარგობის. თუმცა ლირიკულ ეპიზოდებში ეს მასალა, უფრო განზოგადებულად არის აღქმული.

ამრიგად, 50-იანი წლების პირველი ნახევრის ქართული კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლის განვითარებისათვის დამახასიათებელია ქართველ კომპოზიტორთა მისწრაფება მუსიკალური განვითარების ერთიანობისაკენ, როგორც ციკლის ნაწილების შიგნით, ისე ნაწილებს შორისაც. ეს ტენდენცია ასახოვებს მათ ერთს მხრივ ევროპული მუსიკალური რომანტიზმისა და ჩაიკოვსკის ლირიკულ-დრამატული სიმფონიზმის ზოგიერთ დრამატურულ პრინციპებთან, მეორეს მხრივ, კი ფართო პერსპექტივას ხსნის პოეტიკ-სინთეტურ ერთნაწილიანობაში კლასიკური სონატური ციკლის შემქმნელებისაკენ, რაც დამახასიათებელი გახდა 60-იანი წლების არა მარტო კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლისთვის, არამედ ქართული მუსიკის სხვა ჯანრებისთვისაც.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე მუსიკის საერთო ემოციური ტონუსი, მუსიკალური მიჯნაგებისა და ზოგიერთი სხვა დრამატურული პრინციპებიც. მაგალითად: მულტაგური-სასიმფონიო საწყისის აშკარა უპირატესობა, და აქედან გამომდინარე თემატიკურ მასალის განვითარების თავისებურებანი, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში ვარიანტულ-ვარიაციულ პრინციპებს ემყარებიან; კოლო-ტონალობათა შესაბამისი თავისებურებანი (ციკლში II ნაწილად სკერცოს მითაცხება; სონატურ ფორმში მკვეთრი გადასვლა დამუშავებამდე; კულმინაციის გააძვირება დამუშავების ბოლოს, რაც ქმნის დამოუკიდებელ და რეპრესიის ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებას. ყოველივე ეს შეტანადგება 50-იანი წლების თითქმის ყველა ინსტრუმენტულ ანსამბლში ვლინდება.

ქართული კამერული ინსტრუმენტული ანსამბლის განვითარების III პერიოდი 60-იანი წლებიდან იწყება. აღსანიშნავია, რომ 50-იანი წლების II ნახევარში შემოქმედებითი ინტერესი ინსტრუმენტულ ანსამბლისადმი ერთდგობად შესუსტდა, 60-იანი წლების დამდეგს კი იწყება ამ ჯანრის ახალი აღმავლობა. კამერულ-ინსტრუმენტულ ანსამბლს უფროსი თაობის კომპოზიტორთა გვერდით წარმატებით მიმართავენ ახალი თაობის კომპოზიტორებიც, რომელთა შორის არიან ნ. ვაჟაძე (სიმებიანი კვარტეტი — 1963 წ.); გ. აზარაშვილი (საფორტეპიანო ტრიო — 1959 წ.); ვ. სანაძე (სიმებიანი კვარტეტი — 1963 წ.). კვლავაც ნაყოფიერად მოღვაწეობენ ის კომპოზიტორები, რომლებიც 40-50-იანი წლების მანძილზე სწორად ამ ჯანრში დაწინაურდნენ. მათ შორის არიან ს. ცინცაძე (V, VI, VII სიმებიანი კვარტეტები), ა. შავერსვაილი (II კვარტეტი, II საფორტეპიანო ტრიო), გ. გაბიძაძე (III კვარტეტი და 2 სონეტი), ამავე ჰჰაუფს უნდა მივაკუთვნოთ ს. ნასიძეს (I სიმებიანი კვარტეტი), რომლის დემოტივიც ინსტრუმენტულ საანსამბლო ჯანრში (საფორტეპიანო ტრიო, 1958 წელი), მნიშვნელოვანი წარმატებით აღიწინა.

60-იანი წლების კამერულ-ინსტრუმენტულ ანსამბლში თავი იჩინა ამ პერიოდის ქართული მუსიკალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელმა საერთო ტენდენციამ;

სტილისა და იდეურ-მატერული შინაარსის ერთმანეთთან დაკავშირება თანამედროვე მუსიკის გამოშახეულ საშუალებებსა და მათს უკუნიშნავს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართველი კომპოზიტორების მხრიდან ინტერესი მოსაკლავიონის, პირობითი და პარტიკის შემოქმედების მიმართ.

მუსიკის ნათელი, „ობიექტური“ ხასიათი, ჯანრულობა, რაც ყოველ დამახასიათებელ იყო არა მარტო 20-30-იანი, არამედ 40-50-იანი წლების ქართული კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლისთვისაც, ადგენს უთმობს მძაფრდრამატული კონფლიქტებს, მახვილ გროესტას. ამირიერიან ქართული კამერული ინსტრუმენტული ანსამბლის ერთ-ერთ განმსაზღვრელ თვისებას შეადგენს სუბიექტულ-ლირიკული, ინტელექტუალური საწყისის გამაგილები.

განახლებას განიცდის მუსიკალური მიჯნაგების ყველა ელემენტი, და განსაკუთრებით მელიოდია. თუ წინამორბედი პერიოდის კამერულ-ინსტრუმენტულ ანსამბლებში წამყვანია ფოკალური წარმოშობის ვოკალური ბუნების მელისი, 60-იანი წლების ანსამბლებში მელიოდურ საწყისს უფრო ინდივიდუალური ბუნების, დეკლამაციური-რიტმული და ინსტრუმენტული ხასიათის სხედა. მანამდე მელოდია გამოშახელობის მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა, აშკარად იგი თანდათან კარგავს უპირატესობას და ორგანულად ერწყმის მუსიკალური გამოშახელობის სხვა საშუალებებს — პარმონის, რიტმის, ტემპის.

განუზომად რთულდება პარმონიული ენა. თუ ადრინდელი პერიოდის ინსტრუმენტულ ანსამბლებში ნათელი სახეები, დადებითი ემოციები უმთავრესად დიატონური წყობის პარმონიებით იყო გამოხატული, თანამედროვე კლავშირ კილის თანმიმდევრული ქრომატიზაციისა და პოლიფონიური ხერხების ფართო გამოყენების გამო რთულდება მყარი ტონალური საფუძველის შეგრძობა.

60-იანი წლების ანსამბლებში თვალსაჩინოა აგრეთვე რიტმული ენერჯის ახალი საშუალებების ძიება, მიმართული არა მარტო ხალხური უწყარობის, არამედ მეტრო-რიტმული ცვლადობის, რთულ სინკოპურ და ოსტინატურ მოძრაობათა სფეროსადმი.

მკვეთრად იცვლება მუსიკის ტემპური შეფერვლობაც, განსაკუთრებით ს. ცინცაძის 60-იანი წლების კვარტეტებში, სადაც სიმებიანი ანსამბლის ტემპური პალიტირა სავარძობლად გაფართოებულა ისეთი საშუალებებით, რომლებიც, როგორცაც აღისადად, პოეტიკად, სურდებით, ფლავოლებით, მკვეთრი უხეში „კონტრალტური“ აკორდებით, და თვით ამ ხერხების კომბინირებით. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მუსიკალური სახის ტემპრულ ინდივიდუალუზაციასაც. მაგალითად, ს. ცინცაძის V კვარტეტში, რომელიც 60-იანი წლების კამერულ-ინსტრუმენტულ ანსამბლში შორის ტემპრული კოლორის განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ალტის მულაქტიული, „პარალელური“ ტემპური თავისებურება — მნიშვნელობა იქნის.

ამრიგად, ბოლო პერიოდის ანსამბლებში სავარძობლად იზრდება პარმონის, რიტმისა და ორგესტრის კოლორის ტემპრული ფუნქცია, ხოლო ინტონაცია უფრო მახვილი და ემოციურად მძაფრ ხდება.

60-იანი წლების ქართული კამერული ინსტრუმენტული მუსიკის ერთ-ერთ ძირითად თვისებას შეადგენს იმპროვიზაციულობა, რომელიც გამოხატულებას იღებს როგორც კომპოზიციურ პრინციპებში, ისე მუსიკალური მიჯნაგების ყველა სფეროში. ადრინდელი პერიოდის კამერული ინსტრუმენტული ანსამბლებში ნათელი და მშვიდ ემოციებს შეესაბამებოდა მელიოდური, პარმონიული, რიტმული და თვით ინსტრუმენტული კოლორის სიღრმე და მკაფიობა. შინაგანი სიმეტრიულობა, კვადრატულობა და დასრულებულობა. 60-იანი წლების ინსტრუმენტულ ანსამბლებში



ში, — სადაც დიდი ადგილი ეთმობა შინაგანი მერყეობის, გაურკვევლობის განწყობილებებს, ეს თვისებები უმეტესად უარყოფითია.

სუბიექტურ-ლორიკული საწყისის წინა პლანზე წამოიწევა განაპირობება ყურადღების გამახვილება ერთ მუსიკალურ სახეზე და მისი განვითარების უწყვეტობა. სწორედ აქედან გამომდინარეობს 60-იანი წლების გამკრულ ანსამბლებში პოლიფონიური ხერხების დიდი როლი. თუ ადრინდელი პერიოდის ანსამბლებში პოლიფონიური ვიქსელები უმეტესად ფაქტურის დინამიკისათვის აქტიურ საშუალებად წარმოადგენდნენ და ძირითადად გავსდებოდნენ ფიგურებულ ეპიზოდებს სახით, სონატური ფორმის დამუშავებაზე და განსაკუთრებით ფინალში (მაგალითად: ა. შავერსაშვილის I საფორტეპიანო ტრიოს I ნაწილის დამუშავება, მისივე საფორტეპიანო კვირტიკოსა და ს. ცინცაძის I და III კვარტეტების ფინალები), ამჟერად, მუსიკალური აზრის შეუჩერებელი, უწყვეტი დინების მითლანობისათვის ნაწარმოების მთელი ფაქტურა პოლიფონიურობით ინსპერვდება. ამ მიზნით განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრებათ მხათა კონტრაპუნქტულ შეთავსებას და კანონურ გატარებას.

მუსიკის „მონოლოგიური“ ხასიათიდან გამომდინარეობს არა მარტო მუსიკალური მეტაფორების, არამედ კომპოზიციის თავისებურებანიც. აღნიშნული პერიოდის სოციალური ინტერპეტული ანსამბლებისათვის დამახასიათებელი ხდება სონატური ფორმების უარყოფა, რომლებსაც თავისუფალი იმპროვიზაციული, ან სამანვილიანი ფორმები ცვლიან (მაგალითად: გაბრიელის III კვარტეტი, ცინცაძის V კვარტეტი, ა. შავერსაშვილის II კვარტეტი). ამავე დროს, საერთო კომპოზიციის ხელუფრო დიდი ადგილი ეთმობა ნელ და ზომიერ ტემპებს, ხშირად თვით ციკლის I ნაწილებშიც, რომელნიც სხვა ნაწილების მიმართ შესავალის როლს ასრულებენ. ერთი მუსიკალური სახის ცენტრალიზაცია და ამ გზით ციკლის ნაწილების შერევა და თვით ნაწილებს შორის კონტრასტულ დაპირისპირებათა შეზღუდვა იწვევს ტრადიციული ოთხნაწილიანი ციკლის რღვევასაც. ამინდობად სულ უფრო ხშირად ვხვდებით სამ და განსაკუთრებით ერთნაწილიან კომპოზიციებს. თვით მრავალნაწილიანი ციკლის პირობებში შეუჩერებელი გადასვლა ერთი ნაწილიდან მეორეში, მონოთემატაზიმის პრინციპის გამოყენებასთან ერთად ცალკეულ შემთხვევებში, ასეთ ციკლებს სინთეტურ ერთნაწილიან კომპოზიციებს უახლოვებს. სწორედ ასეთი ერთნაწილიანი კომპოზიციის სახით წარმოგვიდგება VI კვარტეტი.

ამირაძე, აღნიშნული პერიოდის ინსტრუმენტულ ანსამბლებში სუბიექტურ-ლორიკული საწყისის გაღრმავებასთან ერთად, თავს იჩენს პოპულარობის პრინციპები, რაც თანამედროვე ქართული მუსიკალური ხელოვნების საერთო ტენდენციასაც წარმოადგენს. ამ მოვლენებზე ჯერ კიდევ პროფ. ვ. ღ. დონაძემ შეამჩნია: „ყურადღება თავის სალექციო კურსში და ა. ბალანჩივაძის ბალეტის „შვირის“ დრამატურული თავისებურებებთან დაკავშირებით (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967 წ., № 120/IV).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ეტაპზე ქართულ კომპოზიტორთა მისწრაფება განზოგადებული ფილოსოფიური სახეების შექმნასკენ განაპირობებს პოპულარობის დაწერვას არა მისი პანორამი თვისებებით, რასაც ავადილი ჰქონდა 30-40-იანი წლების ქართულ სიმფონიურ მუსიკაში, არამედ „უბრალოდ“ წმინდა მუსიკის სფეროში გარკვეული კომპოზიციური პრინციპების სახით. 60-იანი წლების ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გამკრულ-ინსტრუმენტული ანსამბლისა და

სიმფონიური ჯანრების განვითარების საერთო ტენდენციებიც, რაც თვალნათლივ გამოიხატა ინსტრუმენტულ ანსამბლებში სიმფონიური, ხოლო სიმფონიური ჯანრებში — კამერული პრინციპების გადმოხერხებით. თვალსაჩინოებისათვის დავასახელებთ რ. გაბრიელის I სიმფონიას სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ტიმპანებისათვის, მიხედვით კამერულ სიმფონიას 9 ინსტრუმენტისათვის (ნონეტი), რომელიც არსებითად კამერულ-სანსამბლო ჯანრის ნაწარმოებია, ს. ნასიძის კამერულ სიმფონიას და ა. შ.

60-იანი წლების ქართული ინსტრუმენტული მუსიკის ინტერესი „მცირე“, კამერული შემადგენლობების მიმართ უდავოდ დააკავშირებელია თანამედროვე საბჭოთა და ევროპული მუსიკის ზოგიერთ მოვლენებთან; ბარტოკის, პინდემიტის, ნაწილობრივ მოსტაკოვიჩის სახელებთან. კამერული და სიმფონიური ჯანრების დაახლოვება იმითაც ახსნება, რომ ინსტრუმენტული ანსამბლის წყვეტის ისტორიის ს. ცინცაძე, რ. გაბრიელის, რომელიც წინათ უკანატარობის ინსტრუმენტულ ანსამბლს ანიჭებდნენ, ამჟამად დიდ ინტერესს ამქვამებენ სიმფონიური მუსიკის მიმართაც. მართლაც, 60-იანი წლების მანძილზე ს. ცინცაძემ თითქმის ერთდროულად შექმნა V-VI კვარტეტები, II სიმფონია და კონცერტო ჩეჩოსა და ორკესტრისათვის, რ. გაბრიელმა I სიმფონია, III კვარტეტი და ორი ნონეტი, ს. ნასიძემ — I კვარტეტი და III კამერული სიმფონია. აღნიშნული ავტორების ნაწარმოებები მხატვრული შინაარსით, მუსიკალური ენით და დრამატურული პრინციპებით, უშუალოდ აჩიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

60-იანი წლების ქართული კამერული ინსტრუმენტული ანსამბლის ეს თავისებურებანი მკაფიოდ გამოვლინდნენ ს. ცინცაძის V კვარტეტში, რომელიც II სიმფონიასა და ჩელოს კონცერტთან ერთად, ახალ ფურცელს შლის მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

V კვარტეტი ნამდვილი ინსტრუმენტული დრამაა, სადაც კონფლიქტი საბოლოოდ გადაუწყვიტელი რჩება. სწორედ ეს განაპირობებს კვარტეტის სტრლისტურ და კომპოზიციურ თავისებურებებს, რომლებიც ამასთანავე მკვეთრად განასხვავებენ მას თავისი წინამორბედებისაგან. დრამატული კავშირი კვარტეტის პირველივე ტაქტებში იკვერება, ალტის ნაღვლიანი თემა-მონოლოგი მიწოდებს ღრმა ჩაფიქრების რთულ ცხოვრებისეულ პრობლემებსაც, ეს არის ფილოსოფიური, ინტელიქტუალური ლირიკის საწყარო, რომელიც მოსტაკოვიჩის ზოგიერთი ინსტრუმენტული თემის ასოციაციას იწვევს, მეორე მხრივ, ეს სათავეს იღებს თვით ს. ცინცაძის ადრინდელი კვარტეტების ნელ შესავლებსა და განსაკუთრებით IV კვარტეტის მთავარი პარტიის „სერიოზულ ლირიკაში“.

როგორც იყო აღნიშნული, თემის საწყისი ინტონაცია აღებულია ქართული ხალხური სიმღერისაგან „გაგონინი, შავი, მერცხალი“, მაგრამ ძალზე მოდიფიცირებულია არა მარტო ხალხურ გარანტთან, არამედ თვით ცინცაძის ამჟამად მელოდის საკვარტეტო დამუშავებასთან შედარებით. გარდა საწყისი მელოდური მიმოქცევისა, პირველწყაროდ და შენარჩუნებულია განვითარების დინაც, აუქსიანული ტემპი და იმპროვიზაციული თავისუფლება. ინტელიქტუალური საწყისის გაძლიერებასთან ერთად, თემა კარგავს ენერჯი, ყვითი იერს, ხოლო სასიმღერო წყება ავიდის უთმობს დეკლამაციურობას. ეს თემა ყურადღებას იქცევს ცინცაძის სტრლისათვის მანადიდ უჩვეულ ფრაგმენტულობით. შინაგანი მერყეობით, შემოუფარაველი ხასიათით. მის კონტრექტურ ბუნებას, ტონური ბიჯის ნივთიერებასთან ერთად, ხაზს უსვამენ მკვეთრი გადანაცვლებანი დიდ სეპტიმისზე, ტრიტონისზე, რომლის ინტერპოლაცია ფაქტურად კვარტეტის მთელ მუსიკალურ ქსოვილს მსჭვალავს.



მსწავლემბელი, მისი შემოქმედება თუ პირადულ-სა-  
ზოგადობრივი ღირსებები ხშირად განმასწავლებელ-ობის  
თამაშობენ მოწყვის საბოლოო ჩამოყალიბებაში. ივნებ ამ-  
კურავას შემოქმედებით გზის გაკვლევა, მისი ინტერეს-  
ებისა და მისწავლებათა ინიციატივე გამოკვეთავ უთუოდ  
ახალგაზრდა მხატვრის, უნდა ვთქვათ ვთვინარ სიღამონ-  
ერისთვის და მასწავლებას კვლევა მიეყრის. ფართო დიამა-  
ზონის რეალისტი ფერმწერი, ქართული საბჭოთა თეატ-  
რის პირველი პროფესიონალი მხატვარი, შესანიშნავი პე-  
დაგოგი და მოქალაქე ყველა მისი მოწაფისა და კოლეგის  
პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა.

მასწავლებლის — შემოქმედისა და პიროვნებისადმი  
თავგანთავისებრი გრძნობა დღემდე გამოვყავ ივნებ ასკურა-  
ვას, თუმცა თბილისის სამხატვრო აკადემიის კედლებში  
მათი ერთობლივი საქმიანობის წლები (1933-1939) უკ-  
ვე დიდ ხანია შორს დარჩა.

თითქმის სამი ათეული წელითა ხელოვნებიდან წაიღ-  
სიღამონ-ერისთავი (გარდაიცვალა 1943 წელს), ქართ-  
ველი საბჭოთა მხატვრების უფროსი თაობის ერთ-ერთი  
თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლის სახელთანა დაკავ-  
შირებულია ახალი საბჭოური ქართული სახვითი ხელო-  
ვნების აღმავალი განვითარებისათვის საფუძვლის მომზა-  
დება, ახალი კადრების აღზრდა. დღეს მის მოწაფეთა მო-  
წაფეების მრავალრიცხოვანი რაზმი შთაგონებით იღვწის  
მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა სფეროში, ახალი  
მონაწილეობით ადიდებებს წარსულის მიწვევებს, ერთგუ-  
ლი რჩება ვანსლი რეალისტური ერთგული ტრადიცი-  
ები, რომელიც ქართველ ხელოვნათა თაობებმა დაწერეს.

როგა ივნებ ასკურავა თბილისის სამხატვრო აკადემია-  
ში სწავლობდა, ამ ჯერ კიდევ არ იყო თეატრალურ-დე-  
კორაციული განყოფილება. ახალგაზრდა მხატვარი დაზ-  
გურ ფერწერაში იწვევებოდა და დროდადრო სპექტაკლებ-  
ის დეკორაციების შესრულებაში შევლოდა თავის მასწავ-  
ლებელს — ვაგინარ სიღამონ-ერისთავს, რომელიც იმ-  
თავითვე შენიშნა მოწაფეში დეკორაციული ალღო, გე-  
ომიკობა და ცდილობდა ამ ხაზითაც წარემართა დამწყები  
შემოქმედის უნარი.

ქართულ თეატრალურ მხატვრობაში მაშინ ჯერ კიდევ  
ერთეულები მუშაობდნენ. მაგრამ ეს ერთეულები ივნებ  
ისინი, ვისი შესანიშნავი ხელოვნება ვრწმუნებდა კოტე მარ-  
ჯანიშვილისა და სანდრო ამბულელის მტანხაბრ შემოქ-  
მედებს, მონაწილეობდა ამ რეჟისორ-მხატვრებისა და  
რეჟისორი-მოქმედებისა — მაიალი ელვარდისის ქმნი-  
ლებათა დადგებაში. სიღამონ-ერისთავი, პეტრე ოცხელი,  
დავით კაკაბაძე, ირაკლი გამბეგელი, ვლენქე ახვლედიანი,  
სილოუი ვინსლავაძე, დიმიტრი თავაძე... სათავტრო მხატ-  
ვრობის ამ უნიკური ისტაკთა შემოქმედება აღმოცენდა  
და დავაყვავდა ქართული საბჭოთა რეჟისორული სკოლის  
მყარ იდენტურ-მხატვრულ პრინციპებზე. მათი ხელოვნება  
ნიმუშად იქცა იმათთვის, ვინც ელტვობდა სასწერო მხატ-  
ვრობაში მუშაობას, თავის ძალებს ცდიდა ამ დარგში.

ივნებ ასკურავაც მათ შორის იყო. დაზგურ ფერწერაში  
მუშაობის პარალელურად იგი ვაკაცებით სწავლობდა სას-  
ცენო კანონებს, სათავტრო ფერწერის სპეციფიკასა და თა-  
ვისებურებებს, არ უშინდებოდა იმ სირთულეებთან შეზ-  
მას, რომლებიც მუდამ თან სდევან ამ სფეროში მომუშავე  
შემოქმედს. დაუღალავ შრომასა და ძიებას ახალგაზრდა  
ფერმწერისათვის მოჰქმნდა მიგნების, აღმოჩენების სისა-  
რული, კმაყოფილება მხატვრული ამოცანათა გადაწყვეტით,  
თუ მიუღწევოვლის გამო უკვლესტიკვილი.

ლანჩუთის თეატრის სპექტაკლების მხატვრული გა-  
ფორმება იყო საბოლოოს პირველი ნამუშევრები სასცენო  
მხატვრობაში. თბილისის სამხატვრო აკადემიის დასთა-  
ვ-

ლავს. იქმნება შეწყვეტილი, ბოლომდე გამოუთქმელი აზ-  
რის შთაბეჭდილება, ამ სახით თუნა მთელი კვარტეტის  
თემატური მასალის სახებიბრე-ინტონაციურ საფუძველს  
შეადგენს, რაც ნაწარმოებს ანიჭებს მონოთემატურ ხასი-  
ათს.

მონოთემატის პრინციპი, ნაწილებს შორის მჭიდრო  
გთიკურ-სახებიბრივი კავშირები, შეუქმნებელი გადასვლა  
ერთი ნაწილიდან მეორეში, კვარტეტის სუთნაწილიან  
ციკლს პოემური ტიპის ერთნაწილიან კომპოზიციას უზა-  
თოვებს. ამ თვალსაზრისით საყოველთაო ციკლის შინა-  
გაბან სიმეტრიულობა და ფორმის ციკლოპურობა, სადაც  
III ნაწილის, როგორც კვარტეტის ლირიკული ცენტრის  
გარშემო, სიმეტრიულად და ამავე დროს კონტრასტკლო-  
ბის პრინციპით არიან გალთავებული სწრაფი (II ნაწი-  
ლი — სკერცო და IV ნაწილი — ფინალი) და ნელი (I ნა-  
წილი და V ნაწილი — ყოფა) ნაწილები. ყოველივე ამით,  
V კვარტეტს აღრმავეებს 50-იანი წლების ქართული გამე-  
რულ-ინსტრუმენტული ანსამბლების საუკეთესო თვისე-  
ბას — კონტრასტკულსა და ამავე დროს შინაგანად ერთიან  
ციკლოპურობას, რომელიც უკვე თავისთავად შეიცავდა წინა-  
მეტყველებს პოემურ ერთნაწილიან კომპოზიციავში ციკლის  
ნაწილების გაერთიანებისათვის.

ეს პროცესი პარალელურად ცინცადის სიმფონიურ შე-  
მოქმედებაშიც მიმდინარეობდა. მავალითად: კონცერტში  
ჩოლოსა და ორკესტრისათვის (1964 წ.), სინთეტურ ერთ-  
ნაწილიან კომპოზიციავში გრავიკული და სინატურ-სიმ-  
ფონიური ციკლოპურობის თავისებურებინათა შთავსებული  
თვალსაჩინათა ამ ნაწარმოებებს შორის იდენტურ-მხატვრული  
და სტილისტური კავშირები, დრამატული კონფორმების  
გამმართველსთან ერთად, მათი შესაკა ხშირად ტრავიკულ  
ელემენტს იღებს, თავს იჩენს ცინცადის სტილისთვის მანა-  
დე უჩვეულო ფსიქოლოგიზმში. ლირიკული და ჟანრულ-  
ყოფითი სახები უმეტესად სწრაფმავალი, მონაწილბითი  
ზმინებების, აუხდენილი ოქტინების შთაბეჭდილებას სატო-  
ვებენ. ამავე დროს სტილის მხრივ ისინი უფრო დახვეწი-  
ლი არიან, რადიფინირებელიც და მკვეთრად უპირისპირდ-  
ებიან გრატესტკული სახებიის ექსპრესიულობას. სინამთა-  
ლის უარყოფით კავრსიულუ — ძალას. თუ ს, ცინცადის ად-  
რინიელ ნაწარმოებებში კონტრასტკული უფრო უპოთიერ-  
შემესებს ხასიათს ატარებდნენ. ამჯერად კონფლიკტურობაში  
გადაიზრდებიან და ციკლის ყველა ნაწილებში იჩენენ  
თავს.

60-იანი წლების ქართული გამერულ-ინსტრუმენტკოლი  
სასანამბლო მუსიკის ამ პრობლის თავისებური შეჯამი-  
ბისდა ცინცადის VI კვარტეტკული. იგი ამავე წლებში შო-  
მნილ მე-7 კვარტეტკთან ერთად არსებითად V კვარტე-  
ტის იდენტურ-მხატვრული შინაარსისა და გამომსახველ სა-  
შუალობათა სფეროში რჩება. მაგრამ გამორჩევა V კვარ-  
ტეტის ოლტრათვინი, რამდენიმე გარეგნული დავირა-  
იკოლობისაგან გამოსახვის საშუალებათა ექონომიურობ-  
ით. „ბრწყალი თავდაჭრისობით“.

ახეთის თ ძირითადი ტრენდციობი, რომლებიც გა-  
მოაოთინდინ ჩარბოლი გამერულ-ინსტრუმენტკული ანსამ-  
ბლოს ანაითარბებისს.

დღეს ქართული გამერული ინსტრუმენტკული ანსამბლი  
აღმავლობის გზაზეა. ამაზე შეტყვევების ქართული კომ-  
პოზიტორთა მზარდი ინტერესი ამ ჟანრის მიმართ და მათ  
ნაწარმოებების დიდი წარმატებები საკავშირო თუ  
საერთაშორისო ასპარეზზე.



# დენდროსილი თეატრალური მხატვარი

ლეილა თაბუკაშვილი



ა. ასკურავა

რებისთანავე (1939 წ.) იგი მშობლიურ მხარეში გაემგზავრა (დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ქვიანში) და თეატრის სპექტაკლებზე მუშაობის პარალელურად ხატვასა და ხაზუსაც ასწავლიდა ლანჩხუთის სკოლებში. მაგრამ დამდენივე თვის შემდეგ, თავისი მასწავლებლის — ვ. სიღამონ-ურისთავის თხოვნით, ახალგაზრდა მხატვარი ისევ დედაქალაქში ჩამოდის და, მასწავლებლისავე რეგულარული დახმარებით, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნიშნავენ მხატვარ-გამაფორმებლად.

ასე, 1940 წლიდან იწყება ი. ასკურავას ვრცელი შემოქმედებითი გზა საოპერო-საბალეტო თეატრის მხატვრობაში. თუმცა პარალელურად, იგი დრამის სპექტაკლებსაც აფორმებდა როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში და ამ სფეროშიც დიდად ნაყოფიერია. მაგრამ მის ძირითად შემოქმედებით მიწოდებდა მაინც მუსიკალური დრამატურგიის მხატვრობაში მუშაობა რჩება.

ათეულით საოპერო და საბალეტო სპექტაკლი, დადგმები დრამატულ თეატრებში! სრულიად სხვადასხვა თემა, ჟანრი, ჩანაფიქრი, სხვადასხვა რეჟისორთან ერთობლივი ენის გამოხატვა, ძიებები და მიგნებები — შეუძლებელია ყოველივე ამის აღნუსხვა ქალაქებს, სრულყოფილად დახატვა იმ შემოქმედებითი შრომის პროცესისა და თვით მხატვის შედეგის, რაც ბადებს მხატვრის ხელოვნებას, ჩვენი თვალწინ სპექტაკლის სახით აცოცხლებს კომპოზიტორის, ლირბრეტისტის, რეჟისორისა და დრამატურგის ჩანაფიქრს.

განსვავებით სახვითი ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენელთაგან, თეატრის მხატვრების „ხეივანი“ არ არის „სახარბილო“ იმ მხრივ, რომ ფარდის დაშვებასთან ერთად ქრება მათი ხელოვნების კვალცი, სცენიდან სპექტაკლის ჩამოსვლა ისტორიას უტოვებს მხოლოდ სიტყვიერ დოკუმენტს, უკეთეს შემთხვევაში, დადგმის ასე

თუ ისე დამაჯერებელ შეფასება-ანალიზს (რეჟისორის, მსახიობის, მხატვრის ნამუშევართა შესახებ). თვით მხატვრის მიერ შესრულებული ესკიზი კი, ცხადია, მისი სცენაზე აქტორების სრულყოფილ სურათს მაინც ვერ იძლევა. იგი ხშირად რამდენადმე განსწავებულ სახეს იძენს ხოლმე. მაგრამ ესკიზი მაინც ცხადყოფს მხატვრის მიდგომის პრინციპს, მის ხელწერას, კოლორისტულ ჩანაფიქრს, გემოვნებას. ამ მხრივ იგი ძვირფასი სახვითი დოკუმენტია, რომლის საფუძველზე შეიძლება წარმოდგენა შეგვექმნას სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე.

დასავლეთეფეროპოლი, რუსული და ქართული საოპერო კლასიკა თუ ბალეტი, საბავშვო ოპერები და ბალეტები... იმთავითვე ფართო რეპერტუარს შთიცავს ი. ასკურავას შემოქმედებითი ამოცანები. „რახილი“, „რიგოლეტო“, „ჟუგენობები“ (1924-1943 წ.), „პიკის ქალი“, „კაკი ყაჩაღი“, „მოთების გული“, „თოჯინების ფერია“ (1946 წ.) — აი შემოქმედებითი გზის დასაწყისში მხატვრის მიერ გაფორმებული საოპერო და საბალეტო სპექტაკლები.

პირველმავე ნამუშევრებმა ასკურავას ფართო აღიარება მოუტანა. მაღალი პროფესიონალიზმი სცენის კანონების დაცვა, კერძოდ, საოპერო-საბალეტო ხელოვნების სპექციფიკის ცოდნა, მხატვრული გემოვნება და ალღო, მუსიკალური დრამატურგიის საფუძველზე სახვითი გადაწყვეტის ძიება — ყოველივე მან განაპირობა მხატვრის მრავალი გამარჯვება ჯერ კიდევ მისი პირველი ნაბიჯების გადადგმისას საოპერო ხელოვნებაში.

ი. ვ. ასკურავას ხელწერისათვის ნიშანდობლივია ფერწერული საწყისი, ცხოველხატულობა. მის მხატვრობაში ხშირად გამოყვანია არა კონსტრუქციული — დანადგარების, საფორთხილო ნივთების გამომსახველობა, არამედ სასცენო ელემენტების ფერწერულ-პლასტიკური აღწერა, ფერადოვანი სახიერება, ამიტომაც, ნაწი ლირიზმი და პოეტურობა ხშირად თან სდევს მის ნაბეჭავს და ხმას





დეკორაციის ესკიზი ბალეტ „ოტელოს“  
I მოქმედებისათვის

უწყობს თვით ოპერისა და ბალეტის ლირიკულ-პოეტურ ინტონაციას.

თუ გადავავლებთ თვალს შემორჩენილ ესკიზებს, მოვიგონებთ მხატვრის მიერ გაფორმებული სპექტაკლების ცალკეულ სცენებს, შეუძლებელია არ ვივარძნოთ ის მოძრაობი ფერწერული რიტმი, ფორმათა პლასტიკა, ტემბრალური პარმონიულობა, რაც თან სდევს შემოქმედის ხელწერას. მუსიკის დრამატული თუ ლირიკული ჟღერადობის შესატყვისად, საოპერო თუ საბალეტო ქმნილების მუსიკალური შინაარსის ხაზგასასმელად მხატვარი დაუცხრომლად ეძიებს სახვით ხერხებს და ამ ხერხების მიკვ-

ლევა წარმატების საწინდარს უკმნის მის მიერ გაფორმებულ დადგმებს.

პრესის ფურცლებს შემოუნასავთ ცალკეული რეცენზიები, რომლებშიც ზოგან რამდენიმე ფრაზით, ზოგან უფრო ვრცელი ახალივით შეფასებულია მხატვრის ნამუშევარი. წლების მანძილზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გასტროლების დროს მომე რესპუბლიკებში მაღალი შეფასება ხვდა ცალკეულ სპექტაკლს, გამოირჩა დადგმის რომელიმე კომპონენტი თუ შემსრულებელნი, რეჟინჟენტებს შორის ხშირად იხსენიება მხატვარი ივ. ასკურავა, აღნიშ-



დეკორაციის ესკიზი ბალეტისათვის  
„მოების ვული“



დეკორაციის ესკიზი ოპერისათვის „დაისი“.

წელია სასვით-დეკორატიული გააზრების წვლილის შესახებ სპექტაკლის წარმატებამ.

„...ხოტბას იმსახურებს საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ივ. ასკურავას დეკორაციები. სრულიად შეუსაბამო უწყვეტელი ღვლარჭინილი დეკორაციები, რომლებიც ახლავს ხოლმე საოპერო სპექტაკლებს სხვადასხვა თეატრში. ასკურავას მხატვრობა ლაკონური და მკაცრია, მაგრამ რაოდენ ძლიერად უსვამს იგი ხაზს ოპერის თითოეული სურათის ტონს და კოლორიტს. შუა საუკუნეების მინიმ გალავანი, უზარმაზარი დამთრგუნავი ჯაჭვი ციხეში, თვალბედითად განათებული ჯვარი მონასტრისა და, ბოლოს, ბრწყინვალედ გაფორმებული მეთხე აქტი — ყოველივე ეს სპექტაკლს ანიჭებს მოქმედებისა და განწყობილების ერთიანობას.“ — წერს მუსიკისმცოდნე რ. სურგუიძე ვაჭუთ „ჩერმონორსკაია ზდრავნიცაში“ (ოპერის თეატრის გასტროლები სოჭში) ვერდის ოპერა „ტრუბადურის“ განხილვისას რეცენზიაში სათაურით „პოემა ადამიანზე — მეომარზე“ (1964 წ. 15 აგვისტო).

სტატიის ავტორი დაასკვნდა, რომ დიდი კულტურისა და ჭეშმარიტი ხელოვნების წყალობით, თბილისის შ. ფაღღალიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა სრულფასოვნად მიიტანა მყურებლამდე რუსები ვერდის გენიალი.

ბოლო წლების ნამუშევრები, სხვადასხვა დრამატული თუ საოპერო სპექტაკლის მხატვრული ინტერპრეტაცია კვლავ ცხადყოფს ივ. ასკურავას ხელოვნების შემდგომ სრულყოფას, ახალ საყურადღებო მიგნებებს დრამატურგიის სცენურ გასხნა-ხორციმსხსნაში. ამ ნამუშევართა შორის შექმნილია არ აღინიშნის როგორც მხატვრის გამარჯვებანი ს. ცინცაძის ბალეტ „დემონის“ მხატვრული გაფორმება (ივ. ასკურავას მხატვრობის მალალი შეფასება ხდება 1964 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლების დროს მოსკოვში), ასევე „აბესალომ და ეთერი“ (1964), „ჯანი სიკივი“ (1965), „ქეთო და კოტე“ (1967), „ბაიადერკა“ (1968), „ქედუსრელნი“ (1970), „კოველია“ (1970) და სხვ.

მხატვრის ინტენსიურ და დადად ნაყოფიერ შემოქმედე-

ბით შრომზე მეტყველებენ ის ურიცხვი სპექტაკლები, რომლებსათვისაც მას ხორცი შეუსხამს ფოთის, ბათუმის, თელავის, გორის, მახარაძის, ქუთაისის დრამატულ თეატრებში, ქუთაისის საოპერო თეატრში („აბესალომ და ეთერი“, „წითელქუდა“, „ქეთო და კოტე“), თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის თეატრში („ეთრთმეტი უცნობი“, „მხიარული ქერივი“, „პრიტინა“, „ჯერ დაისოცენი, მერე ეთორწინის“, „მხოლოდ შენ ერთს“, „შესანიშნავი საშეული“ და მრავალი სხვა), საოპერო სტუდიაში, მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში (აქ გაფორმებული სპექტაკლებისთვის ივ. ასკურავას დრამატული თეატრების საცავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა 1956 წელს), თბილისის სანკულტურის თეატრში, სახალხო თეატრებში., მარჯანიშვილის თეატრში ივ. ასკურავას ეკუთვნის მხატვრობა სპექტაკლებისა „გამახარე“, „ნანა“, „ახალწლის დამე“, „იულიუს კეისარი და კლეოპატრა“.

ივ. ასკურავამ ჩვეული ალღობით და ნიჭიერებით გააფორმა საბავშვო საოპერო და საბალეტო სპექტაკლები თბილისის ოპერის თეატრში. მაყურებელთა შორის დიდი წარმატება ხვდა დადგმებს „ჩიკიტა მორწილი“, „დაუპატიკებელი სტუმრები“, „წითელქუდა“, „ქაჯანა“, „ქეში აბოლიტი“, „ყვავილთა სამყაროში“.

ურყვლია სათეატრო მხატვრობაში ივ. ასკურავას მიერ განვლილი გზა. სამი ათეული წელი თითქმის მკირდაც კი გვეჩვენება იმ შემოქმედებით სიუჟეტთან შედარებით, რაც ამ წლებმა მოიტანეს. დაუცხრომელ შემოქმედებით შრომაში ჩართულ მხატვარს მან მოუტანა დიდი გამოცდილება, დახვეწა ოსტატობა და გააძლიერა მისი სიყვარული თეატრისადმი, თეატრალური ფერწერისადმი. ამიტომაც თუ ხელოვანის მიერ აქამდე შექმნის მალდიერებით იხსნიებს მაყურებელი, კვლავაც ინტერესით მოელის ახალ სცენურ ქმნილებებს, რომლებშიც აღებდელი იქნება მხატვრის მალალი ხელოვნება.



ალექსანდრე სააკოვის ფოტონამუშევრები საქაოდ ცნობილია. ორიგინალური მხატვრული ხედვითაა გადაწყვეტილი მისი ეს ფოტობეიტ, რომლებზედაც აღბეჭდილი არიან საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი თავის ქმნილებასთან „წითელხელთაომინიანი ქალი“, და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი „რეპეტიციაზე“.







# მოსე თოიძის

## ცხოვრება\*

(ფურცლები მოგონებით)

ალექსანდრა თოიძე

მრთ წაზუსტს ბორჯომში ვისვენებდით. აქ მამა შეხედა თბილისის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ პ. მელიქიშვილს და აკვარელით დახატა მისი სურათი ბორჯომის პარკში. შემდეგ მამამ ზეთის საღებავებითაც შესურა მისი პორტრეტი. ეს სურათი კარგა ხანს იყო უნივერსიტეტში, ახლა კი ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

მასხოვს: ბორჯომში მამა პლანერზე იყო გასული სახატავად, მე და გოგი თან ვახლდით. უცებ პოლიციელი მოგვიახლოვდა და მამას მიმართა: — ბატონო თოიძე, აი ამ გაზეთში წერია, რომ თბილისში თქვენი ბიძა გაუძარცვავთ. მამა ისე იყო გართული ხატვით, რომ არც კი მიუქცევია ყურადღება პოლიციელისათვის, რომელიც ხელების მოძრაობით გამოხატავდა გაკვირვებას, პოლიციელს სამჯერ მოუხდა ერთი და იმავე სიტყვების გამეორება. მერე მეც მივყარდი მამას, აუხსენი რაში იყო საქმე. ბოლოს მამამ გაიგო, გაზეთშიც წაიკითხა განცხადება და გაფითრდა. უპირველეს ყოვლისა, იგი სურათების ბეღმა შეაშფოთა. იმავე საღამოს თბილისში წამოვედით.

სახლის კარები ღია დავგვხდა, ქურდებს დარბაზიანი ფანჯარა გაეტეხათ სახლის უკანა მხრიდან და სახლში შეპარულიყვნენ.

ძალზე ავლევებული მამა შურდულივით აიჭრა კიბეზე, შევარდა სახლში და როდესაც სურათები ხელუხლებელი ნახა, თავისუფლად ამოსუნთქა, დაჯდა, ჩვენც დაგვსა და ღიმილით თქვა: ეს რა მომივიდა, როგორ ვერ მიხვდები, რომ ვიღაც ნაძირალებს სურათების არა გავეცბათრა და ხელს არ მოაკიდებდნენ.

ბიძა სრულიად გაძარცვული დავგვხდა. პიანინოსა და ავეჯის გარდა, ყველაფერი წავიღო.

ეს წელი (1920 წ.) ჩვენი ოჯახისთვის საშინელი იყო. დედა დავკარგეთ, დიდდა დაავადმყოფდა, რაც რამ კარგი გვებოდა, მძარცველებმა წაგვართვეს. მივლი ოჯახის სიმძიმე თორმეტი წლის გოგოს დამაწვა.

მამა ძალიან ნერვიული იყო, მაგრამ ოჯახში, ბავშვებ-

თან, განსაკუთრებით კი ირაკლის მიმართ, საოცრად მშობლიურად და ლობიოვრებას იჩენდა. დედას ხშირად ეუბნებოდა: ბავშვები რაც მეტ გაკვირვებას ნახავენ, მით უფრო მეტის შემძლენი იქნებიან, ფუფუნება ადამიანის ნიჭიერებას აჩლუნგებსო. იგი უარს ამბობდა: ფუფუნების საგნებზე ყველაფერი უნდა ყოფილიყო უბრალო, სადა, მხოლოდ სურათებს უნდა ჰქონოდა კარგი ჩარჩო, კარგი მინა და პასპარტუ.

მამას ძალიან უყვარდა კითხვა. შესანიშნავად ერკვეოდა ლიტერატურაში, თეატრსა თუ მხატვრობაში, აგრეთვე მუსიკაში.

მამა ხატვის მასწავლებლად მუშაობდა ეპარქიალურ სასწავლებელში და გაკვეთილებისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდა.

მას იშვიათი მესხიერება და მხედველობა ჰქონდა, რაც ღრმა მოხუცებულობამდე შერჩა.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თანდათანობით გამოსწორდა ოჯახის მატერიალური მდგომარეობა. მამას სურათი „რევოლუცია“ სახელმწიფომ შეიძინა და მთავრობის სახლის ფსადზე გამოფინა. გაზაფხულზე ახალი, კაცილებით უფრო დიდი, ბინაც მივიღეთ. აქ მამამ ჩვეული ენერჯით განაგრძო მუშაობა და სამხატვრო სტუდიის ჩამოყალიბებაზე ფიქრიც დაიწყო.

ფილიპე მახარაძემ მამას დაავალა საპირველმისო დღესასწაულის მხატვრული გაფორმება. მამამ ძალზე ორიგინალური პროექტი შეადგინა. ფილიპე მახარაძემ მოიწონა იგი. გარდა ამისა, მამამ და ირაკლმ გააფორმეს აგიტ-მატარებელი, რომელმაც დემონსტრაციასზე ტრიბუნის წინ ჩაიარა. მიუვრობამ მამას ამ ავტომანქანით მოძრავე ცემოფენის მოწყობა მიანდო საქართველოს რაიონულ ცენტრებში (მცხეთა, დუშეთი, თიანეთი, გორი, ხაშური და სხვ.).

1922 წელს მამას დიდი მყვადინობით გაიხსნა „სახალხო სამხატვრო სტუდია“, რისთვისაც გამოყვეს სპეციალური შენობა (ახლანდელ კალინინის ქუჩაზე). უფრო სწორად, ზედა სართულის სამი დიდი ოთახი — სამი კლასი.

სახალხო სამხატვრო სტუდიის საერთო ხელმძღვანელებად მამა დაინიშნა. მისთვის ჩვეული ენერჯითა და ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი სტუდიის ორგანიზაციას. მის მოწყობას, დიდი ძლიერ მატულობდა სწავლის მსურველთა რიცხვი.

კლასის ხელმძღვანელად და კომპოზიციის ლექტორად მამამ მოიწვია ა. ბაქტუქუძე-მელიქიძე; მხატვარ ალ. ციმბურ-რიძეს ჩააბარა მოსამზადებელი კლასის ხელმძღვანელობა; ირაკლი თოიძეს დავევალა ფიგურის კლასის ხელმძღვანელობა, აგრეთვე ხელოვნების ისტორიისა და ანატომიის ლექციები. მამა ხელმძღვანელობდა ფერწერას და კითხულობდა ლექციებს პერსპექტივაზე.

ამ სტუდიის გახსნის დღი და სასარგებლო საქმე გაკეთდა. ყოველწლიურად იმართებოდა სტუდიელთა საუკეთესო ნამუშევრების გამოფენები თბილისსა და რაი-

\* დასაწყისი იხ. „სახატვრო ხელოვნება“ № 2, 1972 წ.



ნებში. გამოფენები დიდი წარმატებით სარგებლობდა. სტუდიამ 1929 წლამდე იარსება. ამ სტუდიაში სწავლობდნენ ამჟამად ცნობილი მხატვრები: უჩა ჯაფარიძე, კორნელი სანაძე, დარეჯან ძნელაძე, ს. მაისაშვილი, იორამ მამალაძე, ნიკოლოზ ყაზბეგი, შალვა მაყაშვილი, გ. ჯამბურაშვილი, კარლო კუკულაძე, არქიტექტორი გიორგი ლუჯვა, მოქანდაკე სილოვან კაკაბაძე, სერგო ქობულაძე, სოლიკო ვირსალაძე, გ. გაბუნია, ი. ნაღბანდიანი, ნ. ჩერნიშკოვი, ნელი ციციშვილი, ფარაჯანოვი, სვეტიან კეცხოველი, ვალია ჯუღელი და სხვ. ამ მხატვართა გამოფენების შესახებ ყოველთვის კარგი რეცენზიები იწერებოდა. სტუდიის დამთავრების შემდეგ მოწაფეები შედიოდნენ სამხატვრო აკადემიაში.

მოსე თოიძემ მუშათა კლასის გმირული სახე რამდენიმე ფერწერა და საინტერესო სურათი ასახა. ესენია: „შრომის ჰიმნი“, „ვეწვეთ ინდუსტრიას“, „ჭიათურის მუშახტები“, „სტახანოველი ბრიგადა“.

მამას ახალგაზრდობიდანვე აღელვებდა მუშის სახე. მათი მისწრაფებები და მიღწევები მხატვრისთვის ახლობელი, გასაგები და მშობლიური იყო. მუშებთან იგი უცებ ამყარებდა კონტაქტს. მუშები ამაზე ხშირად კრებებზედაც კი ლაპარაკობდნენ, აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ მხატვარი თავის სურათებში მუშა ადამიანის სულიერ სამყაროს ყოველთვის სათუთად გადმოგვცემს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მანქანები მოსაწყენი ობიექტია მხატვრისათვის, მაგრამ მამა დიდი გატაცებითა და ოსტატობით ხატავდა მანქანებს, ფოლადს. იგი ხშირად იტყოდა ხოლმე: ქარხანა ნამდვილი სიმფონიაა. მუშებს უყვარდათ მასთან შეხვედრა. მამა უშუალო იყო, საღმიანი, ექსპანსიური, უბრალო.

ოქტომბრის რევოლუციის მეთვლეწისათვის მხატვარი შეხვდა სურათით „ზაქსით განათებული თბილისი“, რომელშიც საინტერესოდ არის მოცემული საღამოს ბინდი და ელექტროგანათება. მასხოს მამას მუშაობა სურათზე „სერგო ორჯონიკიძე დეპოს მუშებთან“.

მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მხატვარი ისევ და ისევ უბრუნდებოდა თბილისს, რომელსაც იგი ზედმიწევნით ეტყობა, უყვარდა მტკვრის ხატვა, განსაკუთრებით მეტეხის ქვემოთ, ან ნარიყალასა და მეტეხს შორის.

სურათში „წულუკიძის დაკრძალვა“ მამამ ხალხის გლოვას ბუნების მოღუშული, უამინდო ფონი შეუსამა.

მხატვარს იტაცებდა დიდი, ბებერი, ნაოჭებიანი, ტოტებგაშლილი კაკლის ან მუხის ხე. მისი ამობურცული, დახეთქილი და ფულურთავი ქერები, დიდი ქვები, ქვაფენილები, ზავსმოციფენი ლოდები.

მამას სარდაფებში უყვარდა ჩახედვა. მას ყოველთვის აღელვებდა სოციალური თემა. გააკეთა კიდევ რამდენიმე უტიუდი სარდაფი. ერთი მათგანი ნაცრისფერ გამაშია გააწყვეტილი. საკმაოდ დახეთქილ კედლის ფონზე, მარცხნივ, პროფილში უის ჰქალარა მოხუცი. მას რუხი ფერის პერანგი და შარვალი აცვია, კალთაში უის ცისფერკაბიანი გოგონა. მოხუცი ღრმად ჩაფიქრებულია, იატაკის ფიქრებზე სწიხია და დახეთქილი. მარჯვნივ ამ უღიმღამო ფონზე სპილენძის თვითმადული დგას. მეორე პატარა სურათი იგივე ბნელი სარდაფის აივანზეა დახატული. აქაც რუხი და ნაცრისფერი გამაა. საკმაოდ შეჭვარტლულ, დაზიანებულ კედელზე მონგრეული ოჯახი მოჩანს. იქვე ზის ნაცრისფერ-ტანსაცმლიანი მოხუცი.

სურათი ნატურიდან არის დახატული, ფერწერულად ძალზე საინტერესოა, ფაქიზ ნიუანსებშია დამუშავებული მოხუცის სახე, ტანი, სინათლის ძუნწი ლაქები, ორივე ეს სურათი მუშეუშვია დაცული.

დაიწყო დიდი სამამულო ომი და მხატვრის შემოქმედებაში გაჩნდა ახალი თემა.

მამამ დაამთავრა „ჭიათურის მუშახტები“ და დაიწყო სურათის „წერილი ფრონტიდან“ ხატვა. ქალი კითხულობს წერილს, იქვე დგას პატარა ბიჭუნა. ამ სურათში მამამ ირაკლის მუდღელ თამარი და მათი პატარა სანდრო გამოიყენა ნატურ-



მოსე თოიძე.

ერველი II ხელს აწერს რუსეთთან შეთანხმებას.



რად, სამამულო ომის პერიოდში დახატა მამამ საკმაოდ დიდი ტილოები: „ყველაფერი ფორნტისთვის“, „პუშკინი თბილისში“.

ომის დროს რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა მრავალი ცნობილი მხატვარი, მათ შორის: შმარინოვი, კობრიკი და პლასტოვი. ისინი მამას ხშირი სტუმრები იყვნენ.

ერთხელ მამამ ჩემი თოხნომეტა წლის ქალიშვილი მამა ქართულ კაბაში გამოაწყო და ხატვა დაიწყო. სწორედ ამ დროს გვეტყუმრნენ რუსი მხატვრები. დანახეს თუ არა მოდილი, მამას სთხოვეს მამას დახატვის ნებართვა. მამამ მოაწყო ყველანი და დაიწყო საინტერესო იგია. მაშინ შმარინოვი ლერმონტოვის „ბელას“ ილუსტრირებას იწყებდა და მამას სახე მოეწონა მთავარი გმირისთვის.

დაახლოებით იმავე დროს მამას ატელიეში ეწვია მის-კოვიდან ჩამოსული აკადემიოსი გრზაბაძი. იგი პეტროგრადის სახმატრო აკადემიაში მამასთან ერთად სწავლობდა. მამამ სინარულით მიიღო თავისი ყრბობის მეგობარი. გრზაბაძმა რამდენიმე დღეში ჩემი პორტრეტი დახატა.

1944 წელს მამამ დაიწყო გამოფენისთვის მზადება. დახატა სურათი „ჩვენები იმარჯვენა“. მუშაობდა თავდაუშოვავად, განუწყვეტილი.

ასალ როსს რომ მივიღებდი, ჯერ მამასთვის უნდა მესტარებინა. მას გუნება შეეცვლებოდა, უნებლი გახსნიებოდა. „მეფე მისი“ კორნეილის როლის განსახიერება დამავალეს. ეს ამბავი პირველად მამას ვახარე.

მასსოვს, მამა „სირანო დე ბერჟერაკის“ პრეზინა დაესწრო და კამყოფილი დავა. მეორე დღეს მიხიბა — „გასაწყურებელი მე-5 აქტი იყო პოეტური, რომ იცოდე, როგორ მასამოვინე ყველამ“. სოლოკო ვირსალაძის მხატვრობას აქებდა.

ჩვეულება დქონდა: რეპეტიციების შემდეგ ერთი საათით მიიწე უნდა შეესვლიყავი მამასთან. ყველაფერს ვუამბობდი, რაც მნიშვნელოვნად მიმარნდა, რაც მალეღვებდა, მახარებდა, დისპუტები მწერალთა კავშირში, თეატრალურ სასოგადოებაში და სხვ.

9 მაისი, გამარჯვების დღე, მამამ ყველასთან ერთად იზიმი.

დღისით „დინამოს“ სტადიონზე მოწყობილ მიტინგზე წავიდით. ასალგარნდებთან ერთად მამაც ტაბუკურად მიაბიჯებდა.

მამას ხშირად უხდებოდა მოსკოვში ჩასვლა. ერთხელ საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის ორგანიზაციის პლენუმზე, 1948 წელს, ძალზე მოუხებელი მიხა ცხაკაია დახატა და პორტრეტი მასვე აჩუქა.

საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისთვის მზადებაში ყველანი ჩავეით. მამა ოცნებობდა: ნეტა, კიდევ ათი წელი მაცხოვრა, რომ ჩვენი ხალხის, ჩვენი ბუნების მრავალფეროვნება აესახა, ნაფიჭრი და განცდილი ტილოზე გადავტანო. სასოწლიყო თარიღთან დაკავშირებით, მამამ სახალხო მხატვრის წოდება მიიღო. 1947 წელს იგი საბჭოთა კავშირის სახმატრო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. იმავე წელს სურათი „კავკასიის დაცვა“ დახატა და გამოფენაზეც გაიტანა.

დაიწყო სურათ „გამარჯვების სიმღერის“ ხატვა, აგრეთვე ამ სურათისთვის დახატა ლამარა გაბუნია ქართულ საცემლოში, ჩინებული ხელში.

წლების განმავლობაში მამას მოღებრტზე ქონდა სურათი „ქეთვაც წამებული“ და სათანადო განწყობისას უბრუნდებოდა ხოლმე.

როგორცაქ ქეთვაც დედოფლის როლი მივიღე, მამასთან მივიბრინე. მან მომილოცა და ძალზე საყურადღებო რჩევაც მომცა... „ნაზი, ძალზე ქალური გარეგნობის ქალი, შინაგანად ამაყი, უდრევი ხასიათის, დიდი ნებისყოფის ადამიანია. — აი, ასეთია ჩემს წარმოდგენაში შეთვისაინი“.

პორტრეტებს მამა იზვიათად ხატავდა. ხატავდა მხოლოდ მათ, ვინც აინტერესებდა, ნამდვილ მოღვაწეებს, ხალასი ნიჭით დაჯილდოებულთ. ხშირად იტყოდა ხოლმე: „მთავრებულ მოღვაწეს ნათელი გადასდის სახეზე“.

ერთხელ ჩავაცინე: ვის გადასდის ნათელი-მთქი? აფიქრდა და მიპასუხა — ლადი, ნუცა, ვანი. პოეტებში? — აკაკი, ვუჟა, რომელი ერთი გითხარა. ყველა ხალასი ნიჭით დაჯილდოებულ უკანასკნელ წვეთ სისხლს თავის საქმეს ახმარს და ამიტომ არის, რომ შუბლზე აწერია მისი მოღვაწეობის ფსი.

სისადღე უყვარდა ყველაფერი. გადამტებული ყველაფერი სძულდა.

თავისი სიცოცხლის მანიძილზე, მხატვართა სხვადასხვა: თაობასთან მეგობრობდა. მხატვრები მისთვის ყოველთვის სასურველი იყვნენ.

1950 წელს მამა თბილისში, მამადავითის მარცხენა კალთაზე, ატელიეს იმეზება. საუფლუში მე ბათუმში ვიყავი თეატრად ერთად საგასტროლოდ წასული. როდესაც ჩამოვედი, მამას ვუამბე თეატრის წარმატებებზე, მას კი ეჩქარებოდა თურმე, უნდოდა სახელოსო ეჩვენებინა. პატარა, ოროთახიანი სახლი, აინეთა და სათავსოების, ყვავილებში იყო ჩაფლული. ეხო შემოემოხებდა. მამას ბავშვივით ახარებდა ყველაფერი. მაგრამ მთავარი წინ იყო — აივანზე გამიყვანა და გამომცდელად შემომხედა, ელოდა, როგორ გახიხარები თბილისის ხედის დანახვისას. მართლაც, აქედან ზდარკულად ლამაზი ჩანდა თბილისი. სავარძელში ჩამსვა და მიხიბა: „აქ რომ ამოვდივარ და ჩემს თბილისს გადავხედავ, ჩემზე ზედნიერი არავინ მეგულება. ეს ზედნიერება სიბერეში მიიწე ვიგემა“.

ამ სახელოსონო მუშაობდნენ, აგრეთვე, ასალგარნდა მხატვრები: დავით გაბიტაშვილი, გურამ გელოვანი, გიორგი ჯაში, მიხეილ კობახიძე და ჩვენი პატარა გივი თოიძე.

ატელიეში ყოველთვის გაცხოველებული მუშაობა იყო. მამამ აქ დახატა დიმიტრი არაკიშვილი, თამარ ციციშვილი, იოსებ იმედაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, მიხეილ ტაუჯრელი, ჩემი და — ნინო, მბა — ვიკი. აქვე მუშაობდნენ ხან მისი შვილები, ხან — მოწაფეები, ხოლო ყველაფერის სულისჩამდგმელი, დაუშრეტელი ენერგიის წყარო ამ ატელიეს პატრონი იყო.





მის ტილოებს, რომლებსაც მხანველები დიდი ინტერესით ეცნობიან, ხშირად ნახავთ გამოფენებზე. ნაყოფიერ შემოქმედებით ძიებებში უკვე ნახევარმა საუკუნემ განვლო და ამ ხნის მანძილზე რობერტ სტურუამ ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, მოიპოვა საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება და სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა.

იგი ოცნებებით დატვირთული მოვიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. აქ გაეცნო საღებავთა საიდუმლოებას. ახალგაზრდა მხატვარი მწყურფალივით დაეუფა ქართული ბუნების სილამაზეს, ცდილობდა ფერებში თავისებურად აემღერებინა ცხოვრებისეული სიმართლე. რ. სტურუა იმთავითვე თავისუფალი იყო ყოველგვარი ფორმალისტური და სტილიზატორული ხედვისაგან.

შემდეგ მხატვარი მოსკოვში, სურიაკოვში, სურიაკოვის სახელობის სახეითი ხელოვნების ინსტიტუტშია. დაზღურ ფერწერას მიმუშავებდა ფერწერა ცვლის; თანდათან რუფეობა ამ ახალ დარგს. მალე კვლავ თბილისი, კვლავ მშობლიური ქვეყ-

# უკანა-მონუმენტალისტის

## ნაეუუუკათა გაყოფენა

ნაზი რატიშვილი

ნის მინდორ-ველები და კულტურის ძეგლები.


ხელოვნების მუშაკთა სახლში ახლახან მოწყობილმა გამოფენამ ცხადყო, რომ რობერტ სტურუას შემოქმედება მონუმენტური და მრავალფეროვანია. მის მიერ შესრულებულ პლაფონებში ვლინდება ნახა-

ტის, კომპოზიციისა და ფართო ფერწერული ფორმების ფლობა. აი, ქალაქ მახარაძის კულტურის სახლი ქერის მოხატულობის ესკიზი. მასურებელს ხიბლავს ავტორის გულწრფელობა და მხატვრული სიმართლე.

ხელოვანის შემოქმედებას ღრმად აქვს ფეხები გამდგარი ეროვნულ ფოლკლორში. ქართული ზღაპრების სიუჟეტები მისი შთაგონების უშრეტე წყაროა. ექსპოზიცია ტყიბულის კულტურის სასახლის პლაფონის ესკიზები ცხოვრებისეული დამაჯერებლობით აცოცხლებენ ეპიურ გმირებს. ისინი მიწიერ სახეს იღებენ, ძალზე გაადამიანურებულნი არიან როგორც გარეგნული, ისე შინაგანი საწყაროს გადმოცემაში. მხატვარი თანამიმდევრულია თავის შემოქმედებაში. იგი სიკეთისა და სიმართლის მომღერალაა. ხელოვანი შეუზღუდეელია მის მიერ შექმნილ ყოველ ნაწარმოებში. მისი შემოქმედებითი ფანტაზია მდიდარი და მომხიბვლელია, ფერწერულად აღქმული სამყარო კი—ვრცელი და ორიგინალური.

რ. სტურუას პერსონალურ გამოფენაზე





რობერტ სტურუა

„ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის გასეირნება“, „სტუმრად მელიტონ ბარათაშვილთან“. თითოეულ პანოზე მოცემულ ყოველ დეტალს იგი მისთვის ჩვეული სიფაქიზით ამუშავებს; ყოველ ნიუანსს გარკვეულ მხატვრულ დანიშნულებას აძლევს, ამით კი მთლიანობაში სურათს ეფექტურობას ანიჭებს. ამ ორივე კომპოზიციას ახასიათებს ექსპრესიულობა და დინამიურობა. მხატვრის პალიტრა ყოველთვის განწყობილების გამოხატველია და ამჯერადაც ეს ორივე პანო მნახველზე ემოციურად ზემოქმედებს.

მხატვრის ტილოებზე უსვალაა გადმოღვრილი ის ვაკუასური შემართება და სილამაზე, რაც მის შემოქმედებას უფრო ნათელსა და მიმზიდველს ხდის.

რ. სტურუას ნამუშევრებში პარმონიულად ერწყმის ერთმანეთს წარსული და აწმყო, დროთა ფერისცვალება. ჭეშმარიტი ხელოვანი კარგად უნდა იცნობდეს საკუთარი ერის ისტორიას და ეთავაზებოდეს მას. მაგრამ ეს თავყანისცემა არ უნდა

იყოს ბრმა და მონური. რ. სტურუას შემოქმედებაში ერის წარსული თანამედროვეობის პრიზმაში დანახული ისტორიაა. ქართველ წინაპართა დიდებულ სახეებს იგი გვაძლევს ისტორიული სისწორისა და პოეტურობის მხატვრულ სინთეზში. ამ თემაზე შექმნილი კომპოზიციები თავისუფალია ზედაპირული, ილუსტრაციული გადაწყვეტისაგან. ხელოვანი არ ღალატობს საკუთარ შემოქმედებით მანერას და თითოეულ პერსონაჟს უნარჩუნებს კოლორიტულობას. ამ ასპექტში უნდა დავინახოთ „თამარის გასეირნება“, „წინ მომგებნენ ღიმილით“, „ცხვრის წყარო“, „იკივში 1919 წელს“.

„თამარ მეფეს“ მნახველი უთუოდ გაიხსენებს გ. ორბელიანის მოხდენილ ლექსს თამარისადმი:

შენს წმინდა სახეს,  
მშვენიებით სავსეს,  
სახიერებით განსხივებულსა,  
ეუმზერ კრამღვითა,  
თავყანაცმითა,  
ცრემლ-მორთული გემოზვივი  
ფერბოთა“

რალაც ახალი, შემოქმედებითად საინტერესო ძიებანი იგრძნობა პორტრეტებში. ხელოვანი პოეტური ალტაციებით ქმნის ნინო ჭავჭავაძის ცოცხალ, პაეროვნებით სავსე სურათს.

მხატვარი ხან რბილი, ხან ძლიერი მონახებით ასრულებს ამა თუ იმ პიროვნების მხატვრულ პორტრეტს. ამის დასტურად საკმარისია დავასახელოთ: „ვახტანგ ჯაფარიძე“, „მაცვალა სტურუა“, „ქალიშვილის პორტრეტი“, „ირინე ტოროტაძე“, „პორტრეტი ნახშირში“, „ცინკი“, „ბ. ხალათოვის პორტრეტი“... მათში ერთმანეთს ეკიბრება ობიექტის შინაგან განწყობილებათა და ინდივიდუალურ ხასიათთა სხვადასხვაობა, ასევე პორტრეტული მსგავსება და მხატვრული განსოვადება.

რ. სტურუა მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურ ხილვას ამჟღავნებს ქართველ მწერართა პორტრეტებში. ჩვენს წინაშეა თამარის ტრფობით მოჯადობული რუსთაველი, სულხან-საბა, დავით გურამიშვილი...

ფერების პარმონია, ემოციური დინამიურობა და ეროვნული კოლო-



რ. სტურუა. ნ. ჭავჭავაძისა და ა. გრიბოედოვის გასეირნება.

რიტულობა ჩანს მხატვრის მიერ შესრულებულ ქართულ-სეგლენზტ (,,უჟარმა“, ,,სვეტიცხოველი“, ,,ჯვარი“, ,,შიომღვიმე“, ,,უფლისციხე და გოგონა“, ,,სხანური კოშკები“, ,,კვეტყრა“, ,,სატრაპეზო ვარძაში“).

რ. სტურუა დიდი სიყვარულით უმღერის მშობლიურ ქალაქ თბილისსაც, რომლის თემა მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ექსპოზიციაში.

უანრული ხასიათის ნაწარმოებებს უნდა მივაკუთვნოთ ეტიუდები — ,,ლენიკო წიგნს კითხულობს“, ,,იწოდეს მოლოდინითა“, ,,გასინჯვა აბანოში“, ,,კულაშში“, ,,ალი—ჩემი ბავშვობის ოცნება“, ,,ფშაველი გოგონები“, ,,ხევსური გოგონა ყვავილით“.

მხატვრის შემოქმედებითი ტემპერამენტი ვლინდება ცნობილ მწერალთა ნაწარმოებების დასურათბატებაშიც. ცხოვრებისეული სიმართლითა და მხატვრული კონკრეტულობითაა ილუსტრირებული შექსპირის, ილიას, აკაკის, ვ. ბარნოვის, ლ. ასათიანის და სხვათა ქმნილებები.

გამოფენამ ერთხელ კიდევ გვივენა რ. სტურუას, როგორც ხელოვანის შემოქმედებითი შემართება.



რ. სტურუა. სტუმრალ მელიტონ ბარათაშვილთან.





თავისსავე დარბაზში და „სეჩუნაელი კეთილ აღამიანში“ სახელ თავისუფლებას გვაძლევს თვითონ მოუქმებნიან, გვაძლევს მოსავალი „კეთილ აღამიანს“.

რადგან „ეპიკური თეატრი“ ვხსენებთ, აქვე დავუმატო მისი ერთი ძირითადი ნიშანი, — ე. წ. „გაუცხოების მეთოდი“ — რითაც ეპიკური თეატრი უპირისპირდება არისტოტელეს თეატრს. ე. ი. „გარდასახვა“ ცვლის „გაუცხოების მეთოდით“, ანუ დრამაში ისეთი ხერხები შემოაქვს, რომლებიც მაყურებელს დაეგმარებინან ფხვრლად იყოს, გრძობამ არ მოადუნოს მისი აზროვნება.

რამი გამოიხატება „გაუცხოების მეთოდის“ ხერხები? იმაში, რომ მასხიობი არ „გარდაიხასოს“, არ დაკარგოს საკუთარი თავის შფერძმება რლიში, არ ათქვიფოს გმირში, დარჩეს განსასახიერებელი პირის შემფაჟელად, დგლაამატორად და არა სხვა აღამიანად.

ბრეჰტის აზრით, როცა მაყურებელი ილუზიას ეძლევა, მას ავიწყდება მსახიობი, საკუთარი თავიც და სცენაზე ნაჩვენები ამბის პასიური მოქმე ხდება. მაყურებელი პიპნოტიზებულია და განიცდის თანაგრძნობას „მაგიური“ ძალის ზემოქმედებით. ბრეჰტს კი უნრს თანამედროვე დრამა „მაგიური“ ძალით კი არ ახდენებს გავლენას მაყურებელზე და პიპნოზით კი არ ახვევდეს თავის აზრებს, არამედ თვითონ აზროვნებდეს, უდიდებდეს სოციალურ აქტიუობას, ამით აიხსნება, რომ „არისტოტელეს თეატრი“ მითხზვს მხოლოდ მოქმედების ჩვენებას, „ეპიკური თეატრი“ კი მხოლოდ თხრობას.

„ეპიკური თეატრი“ შეიცავს ეპიკური თხრობის მრავალ ელემენტს. ხშირად სცენურ მოქმედებას კომენტარებს უკეთებენ წარწერები, სასიმღერო ინტერმედიები („სონგები“), უშუალოდ მაყურებლისადმი მიმართული მონოლოგები. ბრეჰტი თვლის, რომ სინამდვილის რეაგულფერონად და ღრმად განხილვისათვის შეიძლება ლიტერატურის სხვადასხვა სახეობის: ეპოსის, დრამის, ლირიკის ქარმონიულობა. თეატრი ბრეჰტს წარმოუდგენია სინთეზურ ხელოვნებად.

მაყურებლის სოციალური გააქტიუებისათვის ბრეჰტი მიმართავს „გაუცხოების“ ხერხებს. საექტაკლის გაფორმებაშიც: შეაქვს ძლიერი ვანოთება, პროფექტორებს არ უშალავს მაყურებელს, კრიდება თვალსაჩინო დეკორაციებს, აზათა მაყურებლის მთელი ყურადღების კონცენტრაცია პიუის იდეაზე, გმირთა ხასიათებზე გადალახვას. ამავე მიზნით ბრეჰტი ცდილობს, რომ მაყურებელი არ გაიტაცოს ფაბულაში. გაუცხოების მეთოდა მარტივი ფაბულა, რომელსაც ხშირად მოკლე შინაარსივით გვამცნობს პროლოგი. ბრეჰტი ანტიეპიკურ დრამაშიცაა სესწულობს პროლოგს, გუნდს, ეპილოგს, რომელთა შინაინა მაყურებლისადმი უშუალო მიმართვა, კომენტარების გაკეთება, სცენაზე წარმოსახული ამბის მოცხადება. პროლოგში ხშირად პიუის ძირითადი იდეა მოცემული, ხილი მოქმედება ამ თეზისის ილუსტრაციაა.

ამ ხერხების გამოყენებით „ეპიკური თეატრი“ მაყურებელში კრიტიკულ პოზიციას იწვევს თეატრალური სახატაობისადმი, რომელიც თანამედროვე ცხოვრების გამოშატეველ დიდ პრობლემებს, დიდ აზრებს შეიცავს და, ამავე დროს, ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს მას.

„სეჩუნაელი კეთილ აღამიან“ ყველაზე მეტად გაფორმებულია სცენურ ნაწარმოებებში ბრეჰტის თეორიული პრინციუების განხორციელებისას. პიუის აქვს საკუთარი, ეპილოგი, სურათები შორის არის ინტერმედიები. მასში მართლაცაა „სონგები“ და მაყურებლისადმი მიმართული ჩართულობები, რომლებშიც მითხრობილია კაპიტალისტურ საზოგადოებაში აღამიანთა ურთიერთობის მოუწყობილობაზე. მაგალითად, სიმღერა ღმერთების უმწყობასა და კეთილ აღამი-

# სიკეთის პირობა

## კაპიტალისტურ

## საზოგადოებაში

(ბ. ბრეჰტის „სეჩუნაელი კეთილ აღამიანის“ მიხედვით)

### ლია გუგუნავა

აღამიანი თავისი ბუნებით კეთილია, მაგრამ კერძო საკუთრებაზე დაყრდნობით სამყარო ისეა მოწყობილი, რომ კაცი იძულებულია ბოროტი გახდეს.

როგორ მოიქცეს აღამიანი? შევევს კაპიტალისტურ, ინდივიდუალისტურ სამყაროს, თუ ეს სამყარო შესცვალის სხვა, პროგრესული; აი პრობლემა, რომელიც უნდა გადაჭრას მაყურებელმა.

თვითონ ბრეჰტი, როგორც თეატრალური კრიტიკოსი, თეატრის მთავარ მისიად სამყაროს გარდაქმნისათვის ბრძოლას მიიჩნევს. იგი კ. მარქსის ცნობით ფეოდალური თეზისის თავის მიმართაც ავრცელებს და აყვალბებს: თეატრი თუ აქამდე მხოლოდ ასახავდა სამყაროს, დღეს მისი ამოცანაა დაეგმაროს მას გარდაქმნაში.

თეატრის აქტიური ჩარევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაყურებლის ფსიქოლოგიის გარდაქმნა თეატრალური ხელოვნების შემწეობით ბრეჰტის ნოვატორული ძიების სული და გულია.

მაგრამ საკუთარი თეორიიდან გამომდინარე ბრეჰტი პიუსში „სეჩუნაელი კეთილ აღამიან“ მაყურებელს თავზე არ ახვევს პირად მოსაზრებას. იგი მხოლოდ კითხვას სვამს, პასუხი კი მაყურებელმა უნდა გასცეს.

ბრეჰტის „ეპიკური თეატრის“ თეორიით, დრამამ არ უნდა შემოტოს, არ უნდა დაიმორჩილოს მაყურებელი, რაც დამახასიათებელი იყო „არისტოტელეს თეატრის“ დრამატისათვის, მაყურებელი ისევე თავისუფალი უნდა იყოს თეატრში, როგორც ეპიკური ნაწარმოების კითხვისას: არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ვველაფერი ეს სასახლობაა.

ბრეჰტი საკუთარ თეორიულ პრინციუებს არ ღლატობს



ანგზევ, რომელშიც იდგა გამოსატული ისევ აღგორი-  
ულა, როგორცდა აგებულა თვით პიესა. ღმერთის აღიქ-  
მებიან არა ხეციერ ღვთაებად. არამედ კონკრეტულ მი-  
წიერ არსებებად, რომელთა ხელშია ადამიანთა ბედი, მაგ-  
რამ ისინი არ შორს არიან ხალხისაგან და არ ქმნით მათი  
გულსწრეობა, ან შეიძლება ესმით, მაგრამ მათი სამყარო  
ისეა მოწყობილი, რომ როდესა ძალდებ დახმარება.

პიესის სიუჟეტთან ამგვარი გადაღობა აესებს და ამა-  
ხვილებს იმ ძირითად აზრს, რომელსაც გმირები ავითა-  
რებენ თავიანთი მოქმედებით.

თუმცა ღმერთები სიკეთეს მოითხოვენ ადამიანებისაგან,  
მაგრამ იმაზე არ დაფიქრებულან, რომ კეთილს არა აქვს  
შესაძლებლობა ისეთ სამყაროში ცხოვრებისა, როგორც  
სერუნიანა.

ავტორი სევამს კითხვას: შეიძლება თუ არა კაპიტალის-  
ტურ საზოგადოებაში აღძრანმა კეთილი საქმიანობით იც-  
ხოვრობა? და იძლევა პარადოქსალურ პასუხს: მთავარი  
გმირის — შენ ტეს მცვევებით. ჩინებული გოგონას იქით  
ჩვენ ვგრძობთ თვით ბრჭყბს, შენ ტეს, თავისი ბუნებითა  
და გარემოსთან შეპირისპირებით, ავტორის იღებს გამოშ-  
ნატვლად, მისი სიკეთის მისისი მატარებელია.

ბრჭყბი არ ცდილობს თავისი გმირის ქვლამაზებებს. მთა-  
ვარ მოქმედ პირად გამოპყავს მძებარი შოლა, მაგრამ ამავე  
დროს გვიჩვენებს მის შინაგან სიმწიფებს, უდიდეს სიკე-  
თეს და, რაც მთავარია, იმ გარემოს, რომელსაც ეს ქალი  
რთულ გზაზე დააყენა. შენ ტეს სულ სხვანაირი ცხოვრები-  
ნათვის იყო მოყოლებული, მდებდა კი სხვა არგუნა წოლად.  
ბრჭყბისათვის მთავარია არა ის, თუ რა გზას ადგას მისი  
გმირი, არამედ ის პირობები, რომლებმაც მიიყვანა იგი ამ  
გზამდე.

როგორია გარემო შენ ტეს ირველი? ერთ მხარეს ლა-  
ტაკი, დაბეჩავებული ხალხი, რომელსაც მწერალი სხვადა-  
სხვა მანიერით მხრიდან გვიჩვენებს. ეს ლატაკები ისაარ-  
სებად განიყოფიერებან დაღობილ-დაღობილ ტანისაშობში.  
ისინი ერთმანეთს არ ინდობენ არსებობისათვის ბრძოლის  
გზაზე, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ. მეორე მხარეს  
კი მდიდართა კლასია (დალაქის სახით). საკმაო თანხის  
დაფარვება დალაქს ხელს არ უშლის ითვის უხეში და და-  
სუსტობის. ამით ბრჭყბი ამბობს: ლატაკი მანკიერებამდე  
მიიყვანა სილატაკემ, მდიდრები კი — სიმდიდრემ. სწო-  
რედ იმიტომ არის ის მდიდარი, დაუნდობელი და უსწოლო.  
სხვა გზით სერუნიანი ვერ გამდიდრდები. მაშ, როგორ გა-  
დაურჩა შენ ტეს იმ წუმებს, რომელთაც ჩაფლულინი არიან  
მის გარშემო მყოფნი? რამ უშველა? მხოლოდ და მხოლოდ  
მისმა უშრეტომა სიკეთემ.

პიესის დასაწყისშივე ბრჭყბი უსვამს ხაზს შენ ტეს  
სიკეთეს. ციდან მოვლენილ სამ ღმერთს სერუნიანი ყველა  
მცხოვრებმა უარი უთხრა ღამის გათვასზე. მათ მხოლოდ  
ღარბიანა გოგონამ დაუთმო თავისი ქოხი. სიღარიბეს მასში  
ადამიანური თვისებები არ ჩაუკლავს, არც სიციცხლსადმი  
სწრაფვა შენლენობა. ღმერთების მიერ ნაჩაგრედი ფულით  
თამბაქოს საფარების იყიდის და ჩქარობს სიკეთის დათეს-  
ვას. იმედი აქვს გამართლის ღმერთების მოლოდინი. უზა-  
რია, არმ შეუძლია დაქმნარის ქვრივ ქალ შინს, რომ-  
ლის ბავშვებისთვისაც ბრინჯი მუდამ მზად აქვს, მიუხედა-  
ვად იმისა, რომ შინი მადლობის ნაცვლად უკმეხად ელაპა-  
რაკება შენ ტეს. შენი კარგ სიტყვას იშვიათად იმეტებს  
თორაანთ ქვრივებით. იგი გაუხეშებია ცხოვრებას, მაგ-  
რამ გული კეთილი აქვს. შინისათვის დამახასიათებელია  
კარს უკან ყურის მიგდება, მაგრამ მისი ცნობისმოყვარეობა  
მორტყად არ არის გამოყენებული. იგი ყოველ კრიტიკულ  
მომენტში გვერდში უდგას შენ ტეს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დასაწყისში მან ფულიც

კი მოპარა შენ ტეს, მაგრამ რაც უფრო ხელს იჭრათ: შენ  
ტეს წყალობით, მით უფრო ვლინდება მისი *მადლიერება*  
თვისებები. ბრჭყბისეულ შესვლულსა — ადამიანს  
ქმნის პირობები — თავიდანვე კეთილშობილ ამ ხასიათში.  
შინი ევოლუციის განიცდის და ხალხის თვით შენ ტეს ერთად-  
ერთი მეგობარია და შესაიღუმე სდება.

შენ ტეს მოწყალეებულ უარს არავის ეუბნება. მისი სიკე-  
თითი სარგებლობს თავებულ და მოქნილი ქალი — რასეუ-  
ლიანი იჯახის დასახლისი და დიდი ფუთით ხელში მოაღ-  
გება შენ ტეს კარს, მიუხედავად იმისა, რომ მან ერთ დროს  
უსახლარად დაჩრქობი შენ ტეს სახლთან გააკვლ. დი-  
დასახლისის ხასიათი ერთგვარი „გუჯსებების ხეჩრია“ შენ  
ტეს დადებითი თვისებების გამოსაკვლად. მაგრამ მასაც  
აქვს გამართლება — რა ჩნას, მრავალრიცხოვან მკაცრ  
ხომ უნდა რჩება! მისთვის სულ ერთია, სა ხეჩრით გამო-  
ძებნის საარსებო წყაროს.

იმ დროს, როდესაც დურგალი და სახლის პატრონი თავს  
დატყებდებან შენ ტეს და ერთი თხოვს თარობის გადასა-  
ხადს, მეორე კი სამი თვის წინაშეარ ქირას და რეკომენდა-  
ციას გავლენიანი პირისაგან, შენ ტეს გამოუვალ მდგომარე-  
ობაში ვარსებას, ეშმაკი და უსირობელი ქალი კი უცებ  
იპოვის გამოსავალს (ტყულებს მინათვას), შენ ტეს სრუ-  
ლიად აუღელვებულად კარნახობს, რომ მოვა მისი ბიძაშვი-  
ლი და ყველაფერს მოაკვარებს. შენ ტეს სასოწარკვეთილი.  
ტყულების თქმა არ ეხერხება. თავებულ მაწანწალები აქე-  
თივად ჩასახანან: „ბიძაშვილი“, ბიძაშვილი“ და შენ ტეს  
გამწარებელი შესძახებს კარისაკენ მიმავალ სახლის პატ-  
რონს „მე ერთი ბიძაშვილი მაყავს“, რაზედაც მაწანწალები  
ურცხვად და დაბეჯითებით ემორწმუნებიან. რესულ-  
ტიანი იჯახის წვერები იმიდენად დაჩაჩანაქებულინი  
არიან, რომ ფიქრის უნარიც წართმევით და დასახლისის  
თითოეულ სიტყვას თუთიყუშებებით იმეორებენ. ისინი ვერ  
იცავენ შენ ტეს იმ უსინდესო ადამიანისაგან, რომლებიც  
ისედაც გაჭირვებულ გოგონას კიდევ უფრო ავიწროებენ.  
ბრჭყბი გაიჭრებელი სახით დაწმინდებულს სახლის პატ-  
რონს. ლამაზი მამაკაცების დანახვაზე იგი წუთით იგიწუხებს  
თავის ანგარებიან საქმიანობას, გრძნობა იტყებას, მაგრამ  
მისთვის მთავარია შემოსავლის გაზრდა. მალევე წრის ქა-  
ლის ბრჭყბისა აქვს და ღარიბებს ზიზლით უყურებს.

აი გარემო, რომლითაც შემოსაზღვრულია შენ ტეს. ერთ  
მხარეს — ბრბო, მეორე მხარეს — მოძალადეები. შენ  
ტეს ყოვლდება დაბეჩავებული ადამიანები, მაგრამ ხედავს,  
რომ მისგან იმაზე მეტს მოითხოვენ, რაც შეუძლია. შენ ტეს  
ჩიხში ექცევა იმ გზით, რომელიც სახე იცვალის. მას არა-  
ფინს ჰკავს მფარველი და საკუთარი თავი თვითონვე უნდა  
დაიცავს. მწერალი აქ ალკორიას მიმართავს. ადამიანს  
თავისი არსებობის შესანარჩუნებლად უხდება ბუნების შე-  
ცვლა. შენ ტეს საქმოსანი ვერტლემინს ნიღბას იფარებს და  
მხოლოდ ამ გზით ახერხებს სამყაროს მოგვარებას. ცივი,  
მბრძანებლური ტონით მიჩვენ-მორჩვენავს გათავსებულ  
ხალხს თავისი სავაჭროდანი და პოლიციის ჩარევასაც არ  
მიერიდება.

მაგრამ ნიღბი ყოველთვის ვერ იფარავს კეთილ გოგო-  
ნას. ხშირად მასში სიკეთე სძლევეს პრაქტიკოს ადამიანს.  
ასე ემართება მას სიყვარულის საკითხშიც. მისი სიკეთე აქ  
დიდ გამძლეობას იჩენს.

შენ ტეს პარტი შეშინებელი წააწყდება კარგი შესახედა-  
ობის ახალგაზრდას, რომელსაც თავი თოყის მარყუქში გა-  
უყურია. შენ ტეს გადარჩენს უკნობს და მისდამი თანაგრძ-  
ნობა მასაც გაუღვივებს გრძნობას. ბრჭყბს ფილოსოფიუ-  
რად აქვს დაეპყრობი ამ ორნი განსხვავებულ ადამიანის  
შესხედება. ამავე დროს ეს სცენა უაღრესად პოეტურია. იგი  
მეტად მნიშვნელოვანია შენ ტეს სახის გასახსნელად.





პარკის სცენაში შენ ტეს ამოცანა, როგორმე იხსნას ახალგაზრდა და სრულიად არ აქვს უნარი და სურვილი გაბოროტებული ადამიანისგან მიყენებულ შურისძიებას. იანგ უნის გულუბრყვილობით დაინტერესებს შენ ტე და გაუკულის თავისი განზრახვის სისრულეში მიყვანა. იგი სთხოვს შენ ტეს ხეს შეფაროს, რადგანაც წვიმა იწყება. შენ ტე სწრაფად ასრულებს ამ თხოვნას და თან ბავშვური გულუბრყვილობით ეითხება რატომ გადაწყვიტა თავის ჩამობრძობა. იანგე დარწმუნებულია, რომ შენ ტე ვერაფრის გაივებს და ცდილობს უშუალოდ შეგინავის მდგომარეობა ახსნას. შენ ტე, თავის მხრივ, ფრთაობრივად წერის ამბავს უყვება, რომელიც ბრძალვა შემოდგომით, როდესაც წვიმები გუნდ-გუნდად მიფრინავდნენ და მას ესმოდა ფრინველის შეუსაბურება. დაიძ, შენ ტემ ყველაფერი გაიკო. იანგ უნე შეტყვის ნუ ბრძალვა და თავისი ციხარიანობით მოწმუნებს ცერებლებს, გარეგნული უნებობით ფარავს შინაგან სითბოს.

მწერალი მთლიანად არ ხსნის იანგ უნის მეტად რთულ სხვის და მსახიობსაც ფართო შესაძლებლობა ეძლევა როლის თავისებური გააზრებისათვის. მის სახეობას ყოველთვის არ შეეძაამება მისივე ბუნება. იანგ უნის უნებობას აქვს ქვეტრესტები. გრძობთ, რომ მასში კეთილი ადამიანი იმყოფება. მაგრამ რატომ ფარავს ანას? ანა ტე პასუხს იძლევა პიესის მთლიანი გაანალიზება. შენ ტე სხვათა შორის სიტყვას ჩამოადგებს თავის საუბროზე. სიხარულს ვერ ფარავს იმის გასხენებაზე, რომ იგი ახლა თავისუფალია. თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა რა ბედნიერია. იანგ უნე გაასხენებს, რომ იგი ჩაის სახელი მდიდრად ქრება კაცთან შესაბუნდრად. შენ ტე უყვარს წამოიყვანოს წინაშე მდგომარეობა თავისი მდგომარეობა და ყოველგვარი სიხარული გაუკრება. იანგ უნე დამეცინავდა ეთიხება: „შენ რა გავიგებთ სიყვარულის?“, „ყველაფერი!“ - ნაღვლიანად პასუხობს შენ ტე. „ის კარგი იყო?“, „არა?“. - კვლავ ჩაიჭრე რეჟისორს პასუხის შენ ტე. იანგ უნე უტყვად გულზე მიიყვანს შენ ტეს და ეკითხება: „ეს კარგი?“. შენ ტე გაიხანება და თანხმობის ნიშნად თავს უჭრავს. მას ამ უთით აღარ ამსოფს აღარც ჩაის სახელი და აღარც მისი საუბრო. „უბედვარ ცოტა ყოფილა შენთვის საჭირო“ - განაგრძობს იანგ უნე. ახლა გაასხენდება თავისი მდგომარეობა, ხელს გაუშვებს შენ ტეს და ენერგიულად შესაძებს: „ო, რა ქალია, რა ცოტაა საკმარისი ამითვის!“. იანგ უნის ამ სიტყვებში ისმის ამბოხება ასეთი ცხოვრებისადმი.

მართალია, იანგ უნე ცინიკობა და პესიმიზმი, მისი მიზნისაკენ სწრაფება ვიწრო, პირადული საფუძველი უდევს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მოთხოვნა სამართლიანია. ჯან-ღობით სავსე გაუკაცო, რომელსაც სპეციალობაც აქვს და მიეუღლებაც, რად უნდა ცხოვრობდეს ასე და ატარებდეს „მკვდარი მფრინავის“ სახელს. აქვე იმასაც უხედავ, რომ იგი მიზნის მისაღწევად არავის ინდობს, მაგრამ მანაც ვერ ვამტყუნებთ. შენ ტეს დაიფიქრება პირად უბედურება და ყოველნაირად ცდილობს დაეხმაროს რწმუნადარგულ ადამიანს. ამისათვის იგი მიმართავს ბრძნულ თემებს: უმოქმედობა იგივე ბორბებია; თუ ადამიანი ბრძნვს თვის, იგი უკვე კეთილია და სხვა. მაგრამ ასეთი ხერხით ქვეყანას ვერ გაასწორებ. შენ ტე აქ ბავშვებით უმწეობა. იგი მაყურებლებს მიმართავს შეძრწველებული, რომ ჩვენს ქვეყანაში არ უნდა იყოს არც მალადი ხიდი, არც მოღუშული ამინდი და არც ზამთარი, რადგანაც ისედაც გამწარებულ ხალხს ყოველივე უნ უბიძგებს უსიციველო დღეების მოხიბლისაკენ.

საცოდავა იანგ უნეც, რომელიც თავის თავში გრძობს ძალას, ნივს, მისწრაფებას რაღაც მომობეშდოს და არა აქვს ამის საშუალება. მაგრამ შენ ტე იანგ უნეზე უფრო

ძლიერია. მას აქვს რწმენა, სხვისი მცირედი დახმარება მას სიხარულს ანიჭებს. იანგე კი ამ სიხარულსაც მოკლებულია. მას მხოლოდ პირადი კეთილდღეობა აინტერესებს. იგი იმდენად გამწარებულია, რომ სიყვარულისთვისაც არ სცავლია და სასიყვარულო ქველს მხოლოდ ანგარებით აბამს, რადგანაც სხვა გზა ვერ გამოიხატა.

ამ სცენაში შესანიშნავად არის გადატანილი ბრეტკის შემოქმედების ერთი სადავო საკითხი. ბრეტკის ლაკონიურობა უფოეთი თეორეტიკოსის სახაში მისაც ემტკაცებინა, თითქოს იგი პიესებში უარყოფს ყოველგვარ ემოციას და მხოლოდ რაციონალურ მხარეს აეთიარებს. ეს მეორე უკიდურესობაა. ბრეტკი უარყოფს ადამიანის მომდუნებელ სენქმენტუალურ გრძობებს. როგორც ვთქვით, იგი ყოველგვარი საშუალებებით ცდილობს ადამიანის სოციალურ გააქტურებას. მას სწავს სალი, ძლიერი სიყვარული, რომელიც ადამიანს აქტიურობისაკენ ეწევა და არა სასოწარკვეთილებისაკენ. ძლიერი გრძობა კი თავის გამოსაღვეს გზას აიპოვის. სწორედ ამ გზას აეთიარებს ბრეტკი, როდესაც შენ ტეს სიყვარულს გამოსატვის ლაკონიურ საშუალებებს უძეობს. კეთილ გოგონას უნდა შეეყვარებოდა ახალგაზრდა, რომელსაც იგი უგრძობობდა. იანგ უნე კი არ გაუტყრდებოდა თავებზე დაებეთა შენ ტესათვის, მით უმეტეს, როდესაც ისეთი „სუსტი“ მხარე - სიყვარე გამოქმენა.

პარკის სცენას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თავისთავად შეუდი ადამიანი არ არსებობს, მის უარყოფითობას განაპირობებს ობიექტური პირობები. მწერალმა ჩაგვაფიქრა ორი ადამიანის ბედზე და ორივე შეგვაკოდა.

იანგ უნის დედა აცნობებს შენ ტეს, რომ მის შვილს გამოუჩნდა საშუალება, კვლავ მფრინავი გახდეს. შენ ტე კი ეწევა სიხარულისაკენ.

ქალბატონი იანგე სანიტრესო სხევა. იგი ქვეინი და მიხერსებულაა, იცის როგორ მიუდგეს შენ ტეს, როგორ გააბას ქველში თავისი სარეკლობისათვის. იგი აღუჩინა ტინითა და შემოდებელი სიტყვებით აქვებს შეყვარებულ გოგონას. მის დასხმაროს ნიჭიერ ახალგაზრდას საქმის წინსვლაში. შენ ტე პოეტურ აღმფრენას განიცდის, სავსებით ემაყოფილა იმით, რომ შეეძლოა დაესმაროს საყვარელ ადამიანს; შენ ტე დაუფიქრებლად გადამკრის ნასესხებ ფულს და თვითონ წყეისკენ რომ არა ჰქონდეს თვალები აპყრობილი, დაინახავდა ქალბატონ იანგის დამინავ ღიმილს.

ქალბატონი იანგის სახე ბრეტკისებულ დედათა იმ ტიპების ერთ-ერთი ვარიანტია, რომელიც შვილის ბედნიერებისათვის არ ერიდებათ უშმაკობას და სხვის უბედურებაში თავიანთ სარეგობებს ემეხენ: ცხოვრების სიღუჭრებში მათ დააკაროს პრაქტიკულობა და მოქონლობა. ცხოვრებასთან შესაგუებლად მათ სწორედ ეს გზა გამოიხატეს. დედობრივი გრძობა ამართლებს სხვებისადმი უსამართლო მოქვებას. მართალია, ბრეტკს უნდა ამ ბუნებრივი მოთხოვნისათვის თავისი გზაც კარგი ჰქონდეს ადამიანებს, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ასე ცხოვრებში კარგი გზით კარგი არ კითდება. ბრეტკი კვლავ გვისაბოუტებს გმირის მოქმედების ძირეულ მიზეზებს. ამიტომაც ქალბატონი იანგე კი არ გვესმის, არამედ გვეცოდება. და რა უფრო მეტად აღწევს ქალბატონი იანგე თავისი ოსტატობის შედეგს, რაც უფრო მეტად სჯერა მისი შენ ტეს, მით უფრო მეტად მქვანდება შენ ტეს სიწოფელი და ხალხისადმი ნდობა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქ გმირთა დასასათებაში „გაუხეხვების“ ხერხია გამოყენებული. ერთი სახაითება მხოლოდ მეორესთან გაუმრში. ორივე ქალი ზეიმობს იანგ უნის მომავლის მოწყობას, მაგრამ ჩვენ უფრო ვახარებთ შენ ტეს სიხარული, რომელიც კეთილს მხოლოდ სიკეთით



აღწევს და იანჯ ზუნის სამსახურშიც წინასწარ კარგ გან-  
ხარებას ხედავს.

ახლა შენ ტე იანჯ ზუნის საშველად შუი ტას ნილაბს  
მიმართავს, მაგრამ აქ შენ ტეს ელის ახალი, უგვიარო შე-  
მიბრუნებაა. იანჯ ზუნი მის გატაცებას ლახვარს ჩასცემს  
თავისი უთინდობით. იგი შუი ტას ქველ შენ ტეს გაუმ-  
სილეს თავის განზრახვას: ფული დასცემულს და გააბრუნებს.  
შუი ტას ნილაბი ვერ ფარავს შენ ტეს სულიერ მდგომარეო-  
ბას და ჩვენ გვეგვამის მისი სულიის ძეგრი. გარეგნული  
სიცილი და სიმძიმე მის საშუალებას აძლევს, ბოლომდე  
გახსნას იანჯ ზუნის განზრახვა. შუი ტას ნილაბით შენ ტე  
ახინტებს უარო უთინას მას ქორწინებაზე, მაგრამ გულიდან  
ვეღარ ამოიღებს მისდამი სიყვარულს.

ამის შემდეგ შენ ტეს ირგვლივ ტრიალს იწყებს დალაქი  
— ბატონო შუი ტე და გვლავ ახალი საინტერესო სახე შემო-  
დის პიესაში. მწერალი დაუნდობლად ამჩნევს ამ მიდღარ  
ადამიანს, რომელიც ვანეს ერთადერთ მამრინად ხელს  
მომატარებს იმის გამო, რომ მან, დატაკმა, მის სადალაქო-  
ში შეხვდა შესვლას. შუი ტეს დანიებში სძულს, მაგრამ რო-  
დესაც შენ ტე მოეწონება, მისი გულის მოსახება ქველ-  
მომტარებასაც კი იწყებს. ბატონი შუი ტე ფულით ცდი-  
ლობს ბედნიერების ყიდვას. იგი მოხერხებულად სარგებ-  
ლობს შენ ტეს გართულოვანი მდგომარეობით და საკუთარ  
ეკონისტურ სურვილს ახორციელებს. ყველაფერი რიცხავს.  
შუი ტა თანახმაა. ბატონი შუი ტე უკვირ ზეიმობს გაბარჯე-  
ბას, საზურგით მიჰყავს შენ ტე ჯვრის დასაწვრად, მაგრამ  
ამ დროს საკამარისა გამოჩნდება იანჯ ზუნი, რომ შენ ტე  
მასთან გაჩნდეს. დალაქი კომიკურ მდგომარეობაში ვარდებ-  
ა. იგი ფიქრობდა, რომ იანჯ ზუნის სახით ძლიერი იარა-  
ღი ეპყრა ხელი, მაგრამ ერთ წუთში მიჩაშლა გვეხვს.

შენ ტე ბრძად არ არის შეყავრებული. მან იცის, რომ  
იანჯი ცუდი ადამიანია და სწორედ ეს იზიდავს, რადგან  
ასეთი ადამიანის შევლაა საჭირო. მას უნდა კეთილი  
გრძნობა გადაეღობს იანჯში. ქორწილის სიუ შენ ტე ღე-  
ლავს: „ნეტავი მიყოს ძალა, რომ მასში სიკეთე გავადი-  
ძო...“ ამით აიხსნება შენ ტეს „სისუსტე“ იანჯ ზუნის წი-  
ნაზე, რომელსაც იგი სულელ და უთავმოყვარეო ადამიანად  
მიიჩნია. იმდენად დიდია შენ ტეს სიყვარული, რომ მასში  
ივარდება საკუთარი „მე“, მისი ერთადერთი მიზანია წამო-  
აყიწოს დაეჭვული ადამიანი. ეს კეთილი განზრახვა ძალას  
აძლევს შენ ტეს, რომ ქორწილის სცენაში თავმოყვარული  
იყოს და იანჯ ზუნისა და მისი დღის სიმდაბლე აიკონოს.  
შენ ტე ნათლად ხედავს იანჯ ზუნისა და მისი დღის ფეს-  
ფულს შუი ტას მილოდინში. მან იცის, რომ იანჯ ზუნს მხო-  
ლოდ ფული აინტერესებს. ამიტომაც შენიშნავს შენ ტე  
კულის ტკივილს: „ის, ვისაც იგი უყვარს, აქ არის, მაგრამ  
მას ჩემი მისამართი სჭირდება“. გრძნობს, რომ ძალა არ  
ეყოდა მისთან საბრძოლველად. ბოლოს იანჯ ზუნისა და  
მისი დღეც ტოვებენ მას.

დამთავრდა ყველაფერი. სასიძო ქორწილიდან გაიქცა.  
მივლი უბანი ალაპარაკდა შენ ტესზე, მაგრამ შენ ტე რაც  
უფრო დაეჭვებს ხედავს იანჯ ზუნს, მით უფრო უძლიერ-  
დება მისდამი სიბრალული, დახმარების სურვილი. ამავა  
შუი ტე ფუს ყოველგვარი ცდა — ხელმოკრულ ისარგებლოს შენ  
ტეს მდგომარეობით და დაინტერესოს იგი არა ანგარიშით,  
არამედ მალაული იფალოებით. იგი საქველმოქმედოდ დიდ-  
ძალ თანხას აძლევს შენ ტეს და სამაგიეროს არ ითხოვს.  
შენ ტემ დაკარგა ზუნის შვილის იმედი, მაგრამ მას ახალი  
სასწრაფო გაუჩნდა. ეს არის ახალი ადამიანი, რომელიც  
მის სხეულში იწყებს სიცოცხლის და იანჯ ზუნს ერთგულს.

შინი გონებშეშლდული ქალია. მისი ბედნიერება განს-

ხავადება შენ ტეს ბედნიერებისაგან. მისი აზრით, დიდი  
უბედურებაა, რომ შენ ტე შუი ტეს უსაგან შემთავაზებულ  
ასეთ დიდ თანხას კარგავს. ადამიანისათვის ეს მხოლოდ  
ფულს მოაქვს ბედნიერება. თუმცა შენ ტეს განალოება არ  
მიიღია, მაგრამ მისი ფართო ბუნება სასწრდის აძლევს გო-  
ნებასაც. ბრეტის აზრით, სიკეთე არ შეიძლება იყოს ჭკვი-  
ანური.

ახლა შენ ტეს მიზანია ვალადარინოს პატარა იანჯი,  
რომელიც ვერ არ დაბადებულა, მაგრამ მასაც იგივე მო-  
ვლის, რაც მის მამას: სიღუპებში და დაცემა. ამიტომ შენ ტე  
იქცევა ძე ვეგვად, რომელიც იწერება არ ზოგავს შეილზე  
სწრაფისათვის. იგი თავის თავში ჩაალავს შენ ტეს, გახსნის  
თამბაქოს ქარხანას და დიდ საწარმოს ხელმძღვანელობს  
შუი ტას ნილაბის ქვეშ. თავს მოუყრის ყველა უსახლარის  
და მისივე შობის მათაც სასწრებო საშუალებას მოაპოვებ-  
ბინებს. იმ ხალხს, რომელსაც შენ ტეს სიკეთე ვერ უშვე-  
ლა, შუი ტას მკაცრმა მოპყრობამ არყო. ამოქვემდინარე  
შეგებოლი ადამიანები. იანჯ ზუნი ადამიანად იქცა. შუი ტა  
— მეგანზიზგილი მოქმედი, ცივი, უგულო, ანგარიშობი  
ბუნებისა სხე, მხოლოდ ნილაბი და კარა შეიძლება ნილაბს  
შინაგანს შევეცვალოთ? შუი ტე ბურჟუას გარეგნულ ფო-  
რმას სასიკეთოდ იყვებ. მის მიღმა ხომ შენ ტეს. განზრახ-  
ვა იგივე, მხოლოდ სიკეთის მეთოდია შეცვლილი. შენ ტეს  
სიტყვები სასამართლოს წინაშე ამის აწვარა დადასტურე-  
ბა: „რაც ჩავიდრედ დანაშაული, მხოლოდ მოყვასთა დასა-  
მარტობად, ჩემი შვილის და სიყვარულის გადასარჩენად...“

გაჭირვებაში მყოფი ადამიანი კი არ უნდა მოადუნო,  
არამედ გააჭირვებო, თუნდაც ამისათვის მკაცრი ზომების  
ნიღბა დატვირთო. სიკეთის ჩასადენად ზოგჯერ ბრძოლაა  
საჭირო. ქვიტქსტად ეს აზრი უღელს პიესას.

შენ ტეს სიყვარულს აქვს სასწრაფო. როდესაც დაინახა,  
რომ სცემის დახმარებაში მისი გათლვა გამოიწვია, მასაც  
დასტურდა თავის დაცვა, რისთვისაც მიმართა საკუთარი  
ბუნების შეცვლას, რადგანაც სენუნილი შექმნილია შენს  
თავსაც არც და სცემის მიმართაც კეთილი იყო. და თუ ყვე-  
ლაზე კეთილ ადამიანსაც აღმოაჩნდა საზურგარი, მას რაღა  
უნდა ითქვას იმაზე, ვისაც სიყვარული იმედი აქვს და  
პატარა სიმძლევე საკამარისია ბორბტად იქცეს. ისე უნ-  
და მოვაწვიტო ცხოვრება, რომ ადამიანში მცირე სიკეთე  
ამოვატეცავით — ასეთია საბოლოო დასკვნა, რომელიც  
პიესიდან გამოშინდარიობს.

მწერლის მივლი სიმბათია შენ ტეს მხარეზეა, ოღონდ  
სენუნილი იგი ვერ ხედავს სიკეთის განხორციელების სიძა-  
ღელობას. ბრეტტი მშრალი მორალისტი არ არის. იგი  
ადამიანის შესაძლებლობას მატერიალურ პირობებზე უფარ-  
დება. მისი აზრით, მატერიალური პირობები ქმნიან ად-  
მიანს. მას უნდა კეთილს კეთილი გზები გამოუვებებონ და  
ამ მოთხოვნაში მწერალი, რა თქმა უნდა, კულისხმობს  
მთლიანად გაიტაცებისტური საკმარის შეცვლას. ამის აწ-  
კარა საბუთია პროლოგი, სდაც ბრეტტი პირდაპირ აყე-  
ნებს სამყაროს გარდაქმნის საკითხს.

მხოლოდ სამყაროს შეცვლა გახსნის შესაძლებელს კეთილ  
საქმესაც კეთილი გზა ჰქონდეს — ასევე მწერალი.

დიდი ჰუმანისტი და პედაგოგი ბრეტტი არც ერთ გმირს არ  
ამტყუნებს. იგი არ ფარავს თავისი გმირის მანკიერ მხა-  
რეებს და ამავე დროს თვითონვე გამოდის მათ დამცველად.  
მას სამსახურზე დასაშვებია არა ადამიანური თვისებები,  
არამედ თვითონ ცხოვრება. აქ არ არის „ბედნიერებიდან  
უბედურებაში გადასვლა გმირთა შეცდომის გამო“. მათი  
უბედურების მიზეზი ცხოვრების მოუწყობლობაა.

# „არშინ მალ ალანის“ პრემიერა

ვანდა ხახუტაშვილი

პროფსინულ მუსიკას აზერბაიჯანში XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საძირკველი. მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელია უზეირ ჰაჯიბეგოვი (1885-1948 წწ.), რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ეროვნული მუსიკალური კომედიის ფორმირებაში.

ჰაჯიბეგოვს დიდი წარმატება მოუტანა ოპერეტამ „არშინ მალ ალანს“. ამ ნაწარმოებში იგი მოგვევლინა არა მარტო კომპოზიტორად, არამედ ლირებტოს ავტორადაც.

„არშინ მალ ალანს“ 1913 წელს დაიწერა აზერბაიჯანული ყოფის ამსახველ სიუჟეტზე და იმავე წელს დაიდგა ბაქოში. მომდევნო სამი წლის განმავლობაში კი იგი 200-ჯერ წარმოადგინეს ქართულ, რუსულ, სომხურ თეატრებში და მის შემდეგ სცენიდან არ ჩამოსულა. ლირებტო თარგმნილია ოცდაათ ენაზე, მათ შორის — არაბულ, სპარსულ, გერმანულ, ფრანგულ, ჩინურ, ინგლისურ და სხვა ენებზე. მან მოიარა მსოფლიოს სცენები: დაიდგა ლონდონში, პარიზში, ნიუ-იორკში, ბერლინში, პეკინში, კაიროში...

„არშინ მალ ალანს“ თავისი ტრადიციები აქვს თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კო-

მედიის თეატრშიც. იგი პირველად 1940 წელს აქლერდა და დიდხანს დარჩა რეპერტუარში. 1953-54 წლების სეზონში განხორციელდა ოპერეტის ხელახალი დადგმა, რომელიც კვლავ მხურვალედ მიიღო ქართველმა მაყურებელმა.

და აი, მიმდინარე სეზონში თეატრმა წარმოადგინა „არშინ მალ ალანის“ ახალი დადგმა, რომელიც დიდ საიუბილეო თარღს — საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს მძღვანა. ლირებტოს ქართული ტექსტი ეკუთვნის მიხეილ თარხნიშვილს, სპექტაკლი დადგა თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა ვარლამ ნიკოლაძემ, დადგმის ხელმძღვანელია თეატრის მთავარი რეჟისორი, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თეიმურაზ აბაშიძე.

მაინც რითაა საინტერესო ეს ნაწარმოები? იმიო, რომ იგი მასველი სატირაა აზერბაიჯანულ ყოფაცხოვრებაში ადრე გაბატონებული დრო-მოჭმული ადათ-წყებების მიმართ.

ასე მაგალითად, ქალს უფლება არ ჰქონდა ჩადრის გარეშე გამოჩენილიყ მამაკაცთან. ცოლ-ქმარი ერთ-მანეთს მხოლოდ ქორწინების დამეცნობოდნენ. ორივენი დრტინვით ელოდნენ ბედის წყალობას. აკი ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს კიდევ: „დგახარ და ელოდები, გული გეღვევა, არ იცი, კარებს ვინ შემოგიღებს — კაცი თუ ცხენი“...

სწორედ ამ მაინჯარ ადათის წინააღმდეგ გაბედულად გაილაშქრა კომპოზიტორმა. მაგრამ „არშინ მალ ალანის“ მხოლოდ პროტესტი როდია ქალის უუფლებობის წინააღმდეგ მიმართული. ამიტომაც ეს ნაწარმოები ჰუმანიზმის, თავისუფლების, სიყვარულის ოდად იქცა.

ოპერეტა ლირიკულ-კომედიურ პლანშია გადაწყვეტილი. იგი დინამურად ვითარდება. ავტორი ოსტატურად ეღობს კლასიკური ოპერეტის მაღალ ტრადიციებს. მთავარი კი მაინც ისაა, რომ მოელი მუსიკა აგებულია აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ტრადიციებზე. კომპოზიტორმა მიაღწია ხალხური და კლასიკური მუსიკალური აზროვნების ორიგინალურ სინთესს.

„არშინ მალ ალანის“ გამოირჩევა მდიდარი მელიოდური ბუნებით, მკვეთრი მუსიკალური დასასიათე-



სცენა სპექტაკლიდან „არშინ მალ ალანს“. ასქერი — ა. ნეზიროვი (მარცხნივ). ჯაპან-ხანუმი — ე. ჩოხელი, სულთან-ბეგი — ბ. პეტრიაშვილი.



სულთან-ბეგი — ბ. ბეგალიშვილი.

ასია — ნ. შინდიაშვილი (მარცხენა),  
თული — ე. ალიევა, გულჩორა —  
ი. ბოქოიძე.



ბით, მკაფიო დრამატურგიული აზროვნებით. იგი მადლიან მასალას იძლევა სცენური ხორცშესხმისათვის. ახალგაზრდა რეჟისორმა ვარლამ ნიკოლაძემ ძირითადად სწორად გახსნა ნაწარმოების დედააზრი, გმირთა სახეები და ხასიათები, შექმნა საინტერესო მიზანსცენები.

მოსამსახურე გოგოს — თულის ულიმდამო ცხოვრებას რეჟისორი წარმოგვიდგენს ფერადი ბალიშების ბუზღუნ-ბუზღუნით აწყობა-ჩამოწყობაში.

კარგად არის ჩაფიქრებული ასქერისა და გულჩორას სიყვარულის გამხელის სცენა: გრძელი თეთრი აბრეშუმის ნაჭრის ერთი ბოლო ასქერს უჭირავს, მეორე — გულჩორას. „ნეტავ მამაშენს თორმეტი ქალიშვილი ჰყავდეს, — ეუბნება ყმაწვილი, — ერთს აღას მიათხოვებდა, მეორეს — მოლას, მესამეს — მდიდარ სოფდაგარს, და ა. შ... ნაბოლარას კი ალბათ ჩემთვის გაიმეტებდა“ — ამ საუბარში ასქერი თავისუფან მიიზიდავს სატრფის ნაჭრის მოქაჩვით.

სულთან-ბეგის გახსნისათვის საინტერესო მტრხვია წელგაკავებული ბეგის რკინის ღერძზე აკვრა, რაც

სპექტაკლი რამდენჯერმე შეირდგება და ყოველთვის მზიარულ რეაქციას იწვევს მაყურებელში.

თითქოს ბედნიერია ასქერი, ფულიც აქვს და სახელიც, მაგრამ მანინც სევდას შეუპყრია, საგონებელში ჩავარდნილა — როგორ იხსოვოს ცოლი უნახავად? საზრინაი სულიერი მანი კეთილ რჩევას აძლევს მეგობარს: „არ არსებობს ისეთი ციხე, კაცის გონებას რომ არ გაეღოს“ — ამბობს იგი და ასქერს ურჩევს ღარიბი მეწვრილმანის ტანსაცმით ეძიოს საცოლვე. მეწვრილმანეს ქალი არ მოერიდება და ამ გზით მიაგნებს საბედოს. ასქერს იმედი მიეცემა. ასე გადაიქცევა მდიდარი ბეგი ღარიბ მეწვრილმანედ.

ერთი ნახვით შეუყვარდებათ ერთმანეთი არშინ მალ აღანს და სულთან-ბეგის ტურფა ასულ გულჩორას. მაგრამ არშინ მალ აღანის გარეგნული პორტრეტი კი ნაკლებ დამაჯერებელს ხდის ამ სცენას. იგი ზედმეტად გასაცოდავებულია. ჭრულა დაკონილი მარჯოთა და თავზე წაკრული ძონძით გლახას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მეწვრილმანეს. ერთი შეხედვით მისი მიწონება შეუძლებელიცაა.

მეუხდავად ამისა, მსახიობ ა. გოლორძისას ასქერი მომხიბლველია. სასიამოვნოდ ჟღერს მისი ხმა. იგი წრფელია სევდაშიც და სიხარულშიც.

გულჩორამ არ იცის, რომ ასქერი და არშინ მალ აღანი ერთი და იგივე ადამიანია. მას ღარიბი არშინ მალჩი უყვარს. ასქერს სურს ქალის ერთგულებაში დარწმუნდეს და სიმართლეს უმაღლავს. სპექტაკლი კი ეს მომენტი ერთგვარად გაფერმკრთალებულია.

ასქერის როლის მეორე შემსრულებელი — მსახიობი ე. ჩხენკელი კარგი ხმითა და ტემპერამენტით ხიბლავს მაყურებელს.

ასქერის საინტერესო სახე შექმნა აკრეთვე მსახიობმა ა. ნებთერძემ.

გამომსახველად არის დასატული ბედნიერებისაკენ მსწრაფი გულჩორა. მისთვის დამახასიათებელია



გრძობის სიწმინდე და ერთგულება. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ე. გურაშვილის გულმორა ლირიკულია.

მსახიობი კარგად ფლობს ვოკალურ აპარატს. მისი სიმღერა გამოსახველი და ფაქიზია.

მსახიობ ი. ბოჭოიძის გულმორა გეზობლავს უშუალოებით, სიწმინდით. მას სასიამოვნო ტემბრის ხმა და მკაფიო დიქცია აქვს, მაგრამ მსახიობმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს პლასტიკურ მხარეს, რაც ესოდენ საჭიროა საოპერეტო სცენისათვის.

სულთან-ბეგის შემსრულებელი მსახიობი ბ. ბეგალიშვილი ყურადღებას იპყრობს სახოვანებით, სახასიათო პლასტიკური შტრიხებით, იმპროვიზაციის უნარით. იგი მკვეთრად ხატავს სულთან-ბეგის ფსიქოლოგიური განწყობილების ცვალებადობას, რასაც აღძრავს მასში ქალიშვილის მოულოდნელი გათხოვება. ბ. ბეგალიშვილის გმირი დიდხანს ამას სივრცედა მნახველს.

სულთან-ბეგის მეორე შემსრულებელმა ნ. პეტრიაშვილმა აგრეთვე საინტერესოდ გახსნა როლი.

სულეიმანს მისთვის ჩვეული მგზნებარებით ასრულებს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. სელაშვილი. მომზიბლელი, საზრიანი, სიცოცხლით სავსე და მგობრის მოყვარული—ასეთია მისი გმირი.

თავისებურია სულეიმანი ზ. კახიანის შესრულებით.

ასის როლს თავისი ვოკალური და სცენური მონაცემებით კარგად მოერგო მსახიობი ნ. მინდიაშვილი. მშვენიერია მისი ცეკვა, რომელსაც მსახიობი ოსტატობით ასრულებს და მოწონებს ტაშსაც იმსახურებს.

ამვე როლში წარმატებით თამაშა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. მეგრეკლაძემ.

კოლორიტულია თ. კოდანოვას ჯაპან-ხანუმი. მსახიობი იუმორისტულად წარმართავს სულთან-ბეგთან „არშოიობის“ სცენებს.



ველი — ა. დამიანი, ასქტი — ა. ვაგორიშვილი (მარჯვნივ)

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ე. ჩოხელმა ეს როლი ჩვეული ოსტატობით განასახიერა. შესრულების სიმართლითა და სახის იუმორისტული გააზრებით იგი მაცურებლის გულწრფელ სიცილს იწვევს.

თელის როლს სახოვანად ასრულებს მსახიობი ლ. ჩიხალაშვილი. იგი მოახლე გოგოს მრავალფეროვან იერსახეს ქმნის.

ალანოშნავია აგრეთვე ც. ალიევა თელის როლში. იგი პლასტიკური გამომსახველობით აკლენს ამ პერსონაჟის ხასიახს და განწყობილებებს. განსაკუთრებით მოსაწონია იგი სახუმარო დუეტის სცენაში.

ახალგაზრდა მსახიობები ა. დამიანი და ე. ნიკოლაძე ძირითადად ერთნაირად ხსნიან ველის სახასიათო როლს. უკეთესი იქნებოდა ამ პერსონაჟის უფრო მკვეთრად დახასიათება, მით უმეტეს ამის საშუალებას იძლევა თვით ნაწარმოები.

სპექტაკლში ცეკვები დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა გივი ოდიკაძემ. მასში არ მონაწილეობს თეატრის საბალეტო

დასი. ამიტომაც მსახიობებს მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრათ: ისინი ერთმანეთს უთავსებენ ვოკალურ-სცენურსა და ქორეოგრაფიულ საშუალებებს. მართლაც, სპექტაკლში ყველა შემსრულებელი სიმღერის გარდა ცეკვითაც ხსნის თავისი გმირის ხასიახს და განწყობილებას. რა თქმა უნდა, ამას მსახიობები ერთნაირი წარმატებით ვერ აწარმოებენ. სასურველია სპექტაკლის პლასტიკური მხარის დახვეწასრულყოფა.

სპექტაკლს ღირიჟირობს გიორგი კახიანი. ორკესტრი მსუბუქად ეღერს და მოქმედების დინამიზაციის მიზანს ემსახურება.

სპექტაკლი გააფორმა მხატვარმა თამაზ ხუციშვილმა. მან ლაკონური, სახოვანი დეკორაციებით შექმნა სათანადო ატმოსფერო. დეკორაცია სულ ორჯერ იცვლება (პირველ და მეორე მოქმედებაში). სცენა რამდენადმე გადატვირთულია კიბეებით, რაც ზოგჯერ ძაბავს მსახიობების მოძრაობას.

საერთოდ კი სპექტაკლი ხალხით აგებეს მაცურებლეს, რაც ახალი დადგმის წარმატებულ მეტყველებს.



პაატა გუგუშვილი

# საყურადღებო ორბოკეული სოციალოგიური საკითხაზე

ბეკირი ხასია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII და XXIV ყრილობების მასალებში დიდი ადგილი აქვს დათმობილ საზოგადოებრივ მეცნიერებაში ახალი მიმართულებების — მარქსისტული სოციოლოგიის საკითხებს. მათში ნაჩვენებია მეცნიერების ამ დარგის როლი კომუნისტების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის შექმნობაში. გამოჩენილი სამჭოთა ეკონომისტისა და სოციოლოგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ პაატა გუგუშვილის „სოციოლოგიური ეტიუდების“ ორი ტომი, რომლებიც 1970-71 წლებში გამოვიდა, შეიცავს სოციოლოგიის ზოგადთეორიული და კონკრეტულ-პრაქტიკული საკითხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებსა და სტატიებს.

ორტომეულის ავტორი სოციოლოგია და ეკონომისტთა მსოფლიო კონგრესების (იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ბულგარეთსა და სხვ) აქტიური მონაწილეა. იგი საფუძვლიანად იცნობს უახლეს მარქსისტულ და ბურჟუაზიულ სოციოლოგიურ ლიტერატურას. მისი „სოციოლოგიური ეტიუდები“, ფართო დიაპაზონისა და დიდი ერუდიციის ავტორის შემოქმედების ნაყოფია და ინტერესით იკითხება. მათში რიგ სოციოლოგიურ მოვლენათა შესახებ სამჭოთა ლიტერატურაში პირველადაა საუბარი.

„სოციოლოგიური ეტიუდების“ ორტომეული შეიცავს პროფ. პ. გუგუშვილის მიერ ოთხი ათეული წლის განმავლობაში შექმნილ ნაწერებს სოციოლოგიის ზოგად და კონკრეტულ პრობლემებზე, ამასთანავე გამოქვეყნებულია პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, დემოგრაფიის, პოლიგრაფიის, საზოგადოებრივი აზრის, საყოველთაო ენის, მეცნიერული ტერმინოლოგიის, ქართული მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსთა სოციოლოგიური შეხედულებები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

პირველი ტომის ბოლოსტყვეობაში ვკითხულობთ: „ადრე გამოქვეყნებული ნაწერები აქ იბეჭდება შეცვლილ და გადამუშავებულ სახით. მეცნიერული დებულებები და პრობოლოგიური ჩარჩოები, ცხადია, არსებითად უცვლელი დარჩა, და, ამ მხრივ, ეტიუდები შესაბამისი დარგის ქართული მეცნიერული ცნობიერების განვითარების საფუძვრებსაც მიაჩნებენა“.

ამ ტომში დიდი ადგილი უჭირავს გამოკვლევას „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისათვის“, რომელიც პირველად 1933 წელს გამოქვეყნდა და წამოყენებულ ორიგინალურ შეხედულებათა გამო თავის დროზე ფართო დისკუსია გამოიწვია. სასიამოვნოა, რომ ავტორის ამ შეხედულებათა უდიდესი ნაწილი ამჟამად ასახულია თვით სახელმძღვანელოებშიც.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა, ამ პრობლემებზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისა და მათ წინამორბედთა შეხედულებების გამოქვეყნება თანამედროვე სოციოლოგიის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის ნომერ პირველი საკითხია და, ცხადია, ამიტომაც საესკივით გამართლებულად მიგვაჩნია პ. გუგუშვილის ამ ნაშრომის მეთრედ გამოცემა.

ამ წიგნში ავტორმა პირველმა სცადა კრიტიკული განხილვის გზით საფუძვლიანად გადმოეცა და მარქსისტული პოზიციებიდან შეფასებია გ. ჰეგელის ისტორიოსოფია, კერძოდ, მისი სპეციალური თხზულება „ლექციები მსოფლიო ისტორიის ფილოსოფიაზე“.

ჰეგელის ეს შრომა ფიშინ (1933 წელს) რუსულად არ იყო თარგმნილი, პროფ. პ. გუგუშვილი კი პირველი იყო სამჭოთა მეცნიერებს შორის, რომელმაც ანუ ვერცხლად განიხილა ჰეგელის ისტორიოსოფია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისათვის“ დაწერილია არა სახელმძღვანელოს, არამედ პოლემიკური ნაშრომის სახით და მასში საფუძვლიანად არის გამოქვეყნებული ისეთი პრობლემები, რომლებიც დავის ობიექტს წარმოადგენდნენ მარქსისტულ ლიტერატურაში. ამით აჩვენება, რომ ფორმაციების რიგ სხვა საკითხებზე ავტორი მხოლოდ ზოგადი ხასიათის მსჯელობით კმაყოფილდება.

ამავე ტომში ვერცხლად არის მიმოხილული თანამედრო-



ვე ბურჟუაზიული სოციალიზმის ავტორი დაწერილებით ამაშებს დასავლეთის სოციალიზმის რამდენიმე უახლეს მთავარ მიმართულებას და ანალიზებს ვრცელ უცხოურ ლიტერატურას, რასაც პროფ. პ. გუგუშვილის წყალობით, პირველად გავცნო საბჭოთა მეცნიერული.

აქვე მითაყვებოდა გამოკვლევები უტოპიური სოციალიზმის ისეთ წარმომადგენლებზე, როგორც აყენენ ტომის მორი და ტომაზო კამპანელა. ავტორმა ქართველ მეცნიერებს აქვე გააცნო მათთვის მანამდე უცნობი ფრანგი სოციალიზმი ეტიკენ დე ლა ბოესი. ამ ნაწილში განსაკუთრებით საყურადღებოდ მივაგანია პროფ. პ. გუგუშვილის მოსაზრებანი ქართულ ფოლკლორში შემონახული უტოპიური სოციალიზმის იდეების შესახებ, რაც, სამწუხაროდ; ვერჯერობით შეუსწავლელი საკითხია და, შეიძლება ითქვას, ავტორმა პირველი და მნიშვნელოვანი კვალი გაავლო.

მეცნიერული ლოგიკის, ღრმა თეორიული ანალიზის და ურთულეს პრობლემებზე შეფასების შემდეგ წიგნი წარმოდგენილია მოგზაურის მთავრადიდეებითაა.

აქვე ავტორი თითქმის არსად დღაცაღობს თავის გეგმს. მოგზაურის მთავრადიდეებში (რობილიც ეძება იტალიას, თურქეთს, ინგლისს თუ საფრანგეთს) იგი მოგვითხრობს მიმოსვლისა და საერთოდ კომუნიკაციების ძეგლებზე, ძველი, ახალი და უახლესი ხელოვნების ძეგლებზე, ქალაქებსა და სოფლებზე, ფაბრიკა-ქარხნებზე, კლასობრივ-პოლიტიკურ ბრძოლებსა თუ სახელმწიფოებრივი მმართველობის აპარატზე და საყურადღებოა, რომ ავტორი ყველგან გვეგვიტანება სოციალიზმად, ეკონომიკტად. იგი სწორედ ამ ასპექტებში წარმოდგენს მსჯელობის საგანად აღებული ყოველ მოვლენას.

მაგალითად, ნარკვევებში „ფრანგულ მიწაზე“, და „ინგლისური მთავრადიდეები“, იგი მოგვითხრობს უპირატესად მრეწველობის, აგრარულ ურთიერთობათა, საერთოდ სასოფლოებრივი მატერიალური წარმოების, გაცვლის, ავტორობის, საკრედიტო და წესებულებათა, ბირჟების, პოლიტიკური პარტიების შესახებ. მეტად საინტერესო პარაგრაფებია: პრეზიდენტის არჩევნები, ამერიკანა-სა-ცა და ანტიამერიკანიზმი, ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური დოქტრინები, ინდიკატური გვეგვიტანება და სხვ.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია ავტორის პირადი კონტაქტები, შეხვედრები, საურები, მიმოწერა სასოფლოებრივი გამოჩენილ მეცნიერთან, სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან.

ნაშრომში ავტორი ყველგან ეძება ძველი თუ ახალი ქართული კულტურის კვალს. ამ მხრივ ნიშანდობლივია პარაგრაფი „კოლხეთი და არგონავტები ბირმინგემის უნივერსიტეტში“, ანდა კალიფორნიიდან (აშშ) მიღებული ლონდონელი პროფესორის დ. ლანგის წერილის ნაწყობი.

.....ჩვენ ვიწყებთ ამ წლის მუშაობას კალიფორნიის უნივერსიტეტში, რათა აქ ჩამოვყავლინოთ ქართული გამოკვლევების ცენტრი; — აუე რომ, ქართველ სასოფლოებრიობას შეუძლია იცოდეს, რომ ღონეს არ ვსოფავთ, რათა ქართული კულტურა განვიგრძოს ატლანტიკის ორსავე მხარეს და ახლა კი წყნარი ოკეანის ნაპირებზეცადა.

ან კიდევ შეხვედრები და საუბარი პარიზში მცხოვრებ ქართველებთან. მაგალითად, ქ-ნ ნინო სალიასთან და პროფ. კალისტრატე სალიასთან — ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური ჟურნალის „Bedi Kartlisa“-ს რედაქტორ-გამომცემლებთან.

გტიუდების მეორე ტომი იხსნება სოციალიზმით VI მსოფლიო კონგრესის მუშაობის ძირითადი მომენტებით

გამუშეებით. ავტორი აქაც დამაჯერებლად უჩვენებს, რა უნდა ქუხუხილი სოციალიზმის წინააღმდეგ გამოსული მარქსისტებისა, განსაკუთრებით სამჭოურ, სოციალიზმთა პოციციების საფუძვლიანობასა და სამართლიანობას.


პროფ. პ. გუგუშვილი წერს: „სოციალიტურ ქვეყნებში სოციალიზმის სწრაფი და ფართო განვითარების შესახებ მეცხვერდებლად მარქსისტ სოციალიზმის გამოხატობი. პირველად სხდომასზე მოსწინელი საბჭოთა დელეგაციის მეთაურის აკად. პ. ნ. ფედოსევის მოხსენებით — „მშვიდობის სტრატეგია ატომურ ეპოქაში“, — როგორც ერთ-ნაად აღინიშნა თვით კონგრესის მუშაობის და პრესის ფურცლებზეცადა, სოციალიზმთა VI მსოფლიო კონგრესზე დაიწყო დისკუსია აგრესიული ომების შესახებ, რომლებ-სავეწამოებში იმპერიალიტური ძალები.

აკად. პ. ნ. ფედოსევა მისხსენების დასაწყისშივე განაცხადა, რომ მსოფლიო გლობალიზური სამშინოების წინა-შე დგას და ასეთ ვითარებაში მშვიდობის სოციალიზმურ პრობლემას პირველხარისხიანი მნიშვნელობა ენიჭება. მარქსისტული სოციალიზმის დიდი დამახებრება ისაა, რომ სასოფლოებრივი განვითარების თანამედროვე სტადიაზე მან ახსნა სამხედრო შეტაკებათა არა მხოლოდ სიღრმისეული სოციალური მიზეზები, არამედ დაგვიანა იმის თაიდან აცილების სოციალური ძალებიც“ (ტ. II, გვ. 37).

ასევე საყურადღებოა საბჭოთა სოციალიზმური ასოციაციების პრესულიტის პროფ. გ. ოსიპოვის და სხვა მარქსისტ-სოციალიზმთა მოხსენებები და გამოსვლები.

ავტორი დასაუთებულად აკრიტიკებს თანამედროვე ბურჟუაზიული სოციალიზმის უახლეს აბოლიტეტურ თეორიას, როგორცაა, მაგალითად, აერთიანი ინტელექტუალური სასოფლოების“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახალხო კაპიტალიზმი“, კონკრეტუროცისა და სხვ., რომელთა წარმომადგენლები თავიანთი იდეების პოპულარიზაციას ეწეოდნენ კონგრესზე.

პ. გუგუშვილი დეტალურად იხილავს უახლეს ბურჟუაზიული სოციალიზმში დამკვიდრებული კონკრეტული ემპირიული კვლევა-ძიების მეთოდებს. სოციალურ მოვლენათა შესწავლისათვის მასალის მოპოვების გაერცლებულ ხერხებს: ანკეტებისა და ინტერვიუს გამოყენების სხვადასხვა წესს, რომელთა ცოდნა და კრიტიკული გამოყენება საჭიროა საბჭოთა სოციალიზმისათვის.







ავტორი წერს, რომ „დასავლურმა სოციოლოგიამ ბევრი რამ გააკეთა გამოკვლევის მეთოდების შემუშავებისათვის. ამასთანავე, ცხადია, რომ ბურჟუაზიული სოციოლოგები, როგორც სოციალური ინჟინერები, უმრავლეს შემთხვევაში ასრულებენ თავიანთ სახელმწიფოს, მონოპოლიტიკას, კორპორაციების, მსხვილი ფირმების დავალებებს, რომელთა მიზანია გარკვეული პრაქტიკული შედეგების მიღწევა: მოგების გადღობვა, პრესტიჟის ამაღლება, გაუღლის მოპოვნება და განმტკიცება. ამიტომ სოციოლოგების მიერ მიცემული რეკომენდაციები დაწერილობით შესწავლილ და გათვალისწინებულ მოვლებთან უსტკ ანალიზსა და განხილვებთან უნდა ემყარებოდეს“.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ „როგორც არ უნდა იყოს, დასავლურმა სოციოლოგიამ გარკვეულ წარმატებებს მიიღწია სოციოლოგიური მუშაობის, კერძოდ, ტექნიკური მხარის, სახელმძღვანელო, გამოსაკითხი ანექტების (კითხვათაგან) შედგენის სისრულასა და სიზუსტის თვალსაზრისით, ისინი მოწადინებულნი არიან მაქსიმალურად ამომ შემკვეთობის (სახელმწიფოს, კორპორაციის), იუველიერის (კაპიტალისტის) მიზნებშით დაობნაობის გამოკვლევას ტექნიკური დეტალები და წარადინონ პრაქტიკული შედეგების მხრე მოგებთან რეკომენდაციები, როგორც განათლებმა სოციოლოგიურ გაწვეული დანახარჯებისა.

პროფესიულ და თვითმოქმედ ანსამბლებს როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო მასშტაბით. ამავე დროს ასრულებს რესპუბლიკის თეატრების დაკვეთებს სხვადასხვა დადგმისათვის. ამ ცოტა ხნის წინ გასწილი ფილანთონის სცენას ამხვევებს ორიგინალურ, თანამედროვე სტილში გადაწყვეტილი ფარდა, რომელიც ამავე კომბინატშია დამზადებული.

კომბინატის ექვსი სამაქრო, ქართული ეროვნული ტანსაცმლის, ქართული ხალხური მუსიკალური საკრავების, ხის სუვენიერების, სპეცინვენტარის, ფოტოსი და დროშების, ქალაქის სხვადასხვა რაიონშია მოთავსებული, მაგრამ ვანო ყოველდღე მიდის ამ სამაქროებში, თვალს ადევნებს დამზადებული პროდუქციის ხარისხს. ვანო განსაკუთრებით ხშირად სტუმარია ქართული ეროვნული ტანსაცმლის შემკვრავი სამაქროსი. საუესხო გემოვნება, თაისინობა, ორგანიზებული და ადმინისტრაციული ნიჭი ეხმარება მის მუშაობაში. ვანო ზრუნავს არ აკლებს მშობლიურ სოფელს ნიჩბის. კომბინატის დამკვეთთა შორის ვხვდები ნიჩბისელთა განაცხადი. ახალაშენებული კომბინატის მათ „ნიჩბისელი ვანო მერაბიშვილის კომბინატში“ დაუშვადეს სცენის მორთულობა, სავარძლები და სხვა.

ვანო მერაბიშვილი, — წარსულში კარგი მოცეკვავი და ახლა უკვე წარმატებით მუყავით ხელმძღვანელი, — ძველებური გატაცებით ენახაურება თავის მშობლიურ ანსამბლს, მისაგან ასლი ტანსაცმლით, რომლის ესკიზებს, როგორც წარსულში, ახლაც ნატიფი გემოვნების მსატყარი სოლოკო ვირსალაძე ამზადებს. სამკერვალო სამაქროს უფროს ლარისა ფურცვანიძესთან, მამაკაცთა ტანსაცმლის მოდელიერ არსენ მათიაშვილთან, ქალთა მოდელიერ თამარ ნოვიკოლოვასთან და სხვებთან ერთად ხშირად ნახავთ ვანოს სამაქროებში, საკახეთში. იგი ანსამბლის აწყობას და მომავლის შემოქმედებითი წარმატებებით ტკბება და სურს, ამ სასიამოვნო მისიას თავისი ხელიც დაატყოს. სურითა და მოწოდებით ხელოვანი წარმოებაშიც ხელოვან-ხელმძღვანელად რჩება და ეს ახარებს მასაც და მის ახლავარდა კოლეგებსაც, რომლებსაც დღე მიხანაბნი და გარეგნული ექვით გააქეთ უცხოეთში ქართული ეროვნული ცეკვის უმზით და ლაზათი.



# გუშა-მსახიობი ნიკო ბოცნიძე

გრიგოლ ბუზნიკაშვილი

იშვიათად თუ ვინმეს ასხლოს ნიკო გოცირიძის სცენური სახეები, რადგან უკვე ოც წელზე მეტია, რაც ის გარდაიცვალა, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ ათეულ წელს სცენაზე იშვიათად გამოდიოდა მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო. ნიკო გოცირიძის სასცენო მოღვაწეობის შესახებ მეფრი არაფერი გამოქვეყნებულა. 1924 წელს გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის მიერ დაწერილი მისი ბიოგრაფია. 1944 წელს დაიბეჭდა თვით ნიკო გოცირიძის მეჭურბე, ხოლო 1951 წელს პატარა წერილი მიუძღვნა მას ალექსანდრე ბურთიკაშვილმა თავის წიგნში „სცენის ოსტატები“. გარდა ამისა, პრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია გოცირიძის საიუბილეო თარიღების გამო. ეს იყო და ეს. მართებული იქნებოდა, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ნიკო გოცირიძის ხსოვნას, დაიწეროს და დაიბეჭდოს ვრცელი შრომა მისი სამსახიობო შემოქმედების შესახებ. ხოლო, ვიდრე საფუძელიანი ნაწარმოები შეიქმნება, ვებედავთ ამ პატარა ნარკვევის გამოქვეყნებას, რომლის მიზანს შეადგენს მხოლოდ მოაგონოს დღევანდელ თაობას ამ უღაფოდ ნიჭიერი სცენის ოსტატის მოღვაწეობა.

ნიკოლოზ სიმონის ძე გოცირიძე წარმოშობით რაჭველი იყო. მისი პაპა ქართლში გადმოსახლებულა, ხოლო მამა კი თბილისში ცხოვრობდა, ხელობით სკეფიკი იყო. სიმონს ცოლად შეუთხოვეს ვატიკინი თითბერძინის ქალი, რომლისგანც ცამეტი შვილი ჰყოლია, მაგრამ ბოლოს მხო-

ლოდ ნიკო და მისი უფროსი ძმა სანდრო შერჩენია. სხვანი ბავშვობაში სხვადასხვა დროს დაბოცილან.

თვით ნიკო დაბადებულა 1872 წლის 16 აგვისტოს. პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ იგი თბილისის სახელოსნო სასწავლებელში მიაბარეს. სწავლას გული ვერ დაუდო, რის გამო მამამ სასწავლებლიდან გამოიყვანა და აბრების მხატვარს მიაბარა შვედრად. ნიკოს ხატვა ეხერხებოდა, ეს ხელობა კარგად შეუსწავლია და 1893 წელს მღებავ მუშად დაუწყია მუშაობა რკინიგზის სახელოსნოში. დებავდა სამეზაფრო ვაგონებს.

როგორც მოწინავე მუშა, ნიკო გოცირიძე მონაწილეობდა მუშათა არალეგალურ რევოლუციურ მოძრაობაში, ხატავდა წითელ დროშებს რევოლუციური ორგანიზაციებისათვის, მონაწილეობდა წარმოდგენებში რევოლუციური ორგანიზაციებისა და დაპატიმრებულ რევოლუციონერთა ოჯახების სასარგებლოდ.

ნიკო გოცირიძის ცხოვრების მთავარი მიზანი მღებავის პროფესია არ გახლდათ. თავის მემუარებში იგი წერდა: „...ვაგონების ღებვა ჩემი საარსებო წყარო იყო. ჩემი სული და გული კი ისევ თეატრისკენ ისწრაფოდა. აუტანელმა შრომამ მთელი 28 წლის განმავლობაში მე მაინც ვერ გამტეხა და ჩემ საყვარელ სცენას ვერ ჩამომამორა...“ თეატრალური ხელოვნებით იგი ბავშვობიდანვე იყო გატაცებული. როცა წამოიზარდა, მის გატაცებას ხელი შეუწყო

უფროსმა ძმამ, სანდრომ, რომელიც ასევე თეატრის მოყვარული იყო და ქართულ თეატრში ეპიზოდური როლებიც ასრულებდა. ამავე დროს, როგორც მომღერალი, — იგი მონაწილეობას იღებდა ლაიო ალიანშვილის და შემდგომ იოსებ რატილის გუნდებში. მონაწილე ნიუ, სანდროს დაპყავდა თეატრს და უსიტყვო როლებს ათამაშებდა.

უფროსი ძმის წაქეზებითა და დამხმარებით ნიუ გოცირიძე, როგორც კარგი ხმისა და სმენის მქონე, რატოლის გუნდში შევიდა. მონაწილეობა მიიღო მის გასართობებში ჩრდილო კავკასიის ქალაქებში 1895 წელს. შემდეგ აქტიური მონაწილეობა მიიღო სანდრო კავსაძის გუნდის შემქმნელს და ერთნაირად ამინისტრატორობაც კი იკისრა.

1893 წელს თბილისში, ავჭალის ქუჩაზე, ავჭალის აუდიტორიაში წოდებულ შენობაში, საძირკველი ჩაყვარა თბილისის ქართულ სახალხო თეატრს. ეს იყო მუშებისაგან შემდგარი სცენისმოყვარეთა წრე, რომლის მიზანს შეადგენდა წარმოდგენების გამართვა მუშებისათვის. თეატრის დაარსება მუშათა მოძრაობის აღმავლობის ერთ-ერთი შედეგი იყო. ვარდა მუშების გათვითცნობიერებაში, ამ თეატრმა თავი არსებობის ათუთელ წლებში მანძილზე არა ერთი ნიჭიერი სცენის ოსტატი გამოუხარდა ქართულ პროფესიულ თეატრს. სახალხო თეატრში — ეს ერთგვარი წყარო იყო, საიდანაც მსახიობებით საზრდობდა ქართული პროფესიული თეატრი.

სახალხო თეატრმა შესძინა ქართულ საბჭოთა თეატრს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნიუ გოცირიძე, რომელმაც ჯერ ავჭალის აუდიტორიაში და შემდეგ, სახალხო სახლში განუწყვეტლივ ოცდაათი წელი იმსოღეწა და ამ თეატრის მთავარ შემოქმედებით ძალას წარმოადგენდა. იოსებ გრინაშვილი თავის წიგნაკში ნიუ გოცირიძესუ სამართლიანად წერდა, რომ, „თუ სახალხო თეატრი არსებობს და არ განქარდა — ეს მისწერება იმ მიერე მუშათა გუნდის ლაბან სიყვარულს, რომელთა რგოლში ნიუ გოცირიძე ყოველთვის წახსაგულ ბრლიანტად იმღეწებენს“.

ნიუ გოცირიძემ ავჭალის აუდიტორიის სახალხო თეატრში 1897 წელს დაიწყო მოღვაწეობა. წრის თავაკები დანიტგრუნენ ახალგაზრდა მუშით, რომელიც დემობი მუშობისათან ერთად ასეთი ხალისით მუშაობდა ქართულ პროფესიულ დასში და თავიანთ წრის წევრად მიიწვიეს. ნიუ გოცირიძე სამოწენებით დათანხმდა მიწვევას, თავი დაანება პროფესიულ თეატრს და ავჭალის აუდიტორიის სახალხო თეატრს შეეკვლა. „ჩემი დებიუტი ავჭალის აუდიტორიაში ა. ცავარალს, რაც გინახავს, ველორ ნახავ“ — ში იყო, — წერს ნიუ გოცირიძე მოგონებაში, — და რამდენადაც მახსოვს, და როგორც მაშინ მეგონებოდნენ, ერთსულეანბ მიზონება დავიმსახურე, ამ დღიდან მოყოლებული, თითქმის არ დადგმულა ისეთი პიესა, რომ მონაწილეობა არ მიმეღო. დემობი სამუშაოს მოგონებოლი თუ არა, შინ გბრუნდებოდი, ვისადილებდი და საღამოს რეპეტიციაზე მივედიო...“.

პირველ ხანებში ნიუ გოცირიძე ყოველგვარ როლს ასრულებდა როგორც დრამატულსა და გმირულს, ასევე კომედიურს, მაგრამ მისი სასცენო ოსტატობა თანდათან დაიხვეწა და ის კომედიური როლების შეუდარებელი შემსრულებელი შექნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნიუ გოცირიძე რუსთაველის თეატრში გადავიდა სამუშაოდ. „ქართული თეატრის მსევერნი არა ერთხელ მეპატიყებოდნენ გადასვენოყავი მათთან პროფესიულ მსახიობად, — წერს ნიუ გოცირიძე თავის მოგონებაში, — მაგრამ მე ყოველთვის უარით ვასუზობიდი. ასე გაგრძელდა ჩემი მუშაობა 1921 წლამდე. ოქტომბრის დღამა დეველუკამ წაშალა ის სულდე, რაც აღმართული იყო ძველ ქართულ თეატრსა და სახალხო თეატრებს შორის, ახლა დიდი თეატ-

რიც ხალხისათვის იყო განკუთვნილი, და ამიტომ სიამოვნებით მიველ რუსთაველის თეატრის ამინისტრაციის წინადადება დამწვიე ამ თეატრში მუშაობას, როგორც ერთი ფესიულ მსახიობს. გამოევიხთვე რკინიგზის დგობს, ჩემს ახმტრის (დადგენილებით მე სამუშაოდან განათავისუფლებული ვიყავი ადგილის შესანება), გამოევიხთვე ჩემს სახალხო სახლს, თუმცა მასთან კავშირი არც შემდეგ გამოწყვეტა, და დავიწყე მუშაობა ქართულ დრამატულ თეატრში“.

სახალხო თეატრში 1921 წლამდე ნიუ გოცირიძემ მუშაობა 90 რომი. ამ როლებში დიდი ადგილი ეჭირა თბილისურ ტიპებს. თბილისის ვაჭარ ხელოსნების გამოსახება ნიუ გოცირიძე განთქმული იყო და თითქმის უტოლდებოდა ამ როლების უნიჭიერეს მშმსრულებელს ვასო აბაშიძეს. დაბადებულს თბილისში, ხელოსნის ოჯახში, გაზრდილს წსწრდე იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობდა და საქმიანობდა თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა ძირითადი ფენა, ზღმდებენით ჰქონდა შეთვისებული მათი ბუნება, ხასიათი, ჩვეულებანი, მათი თავისებური კოლორიტული მეტყველება.

ცვაარინივე იყო ნიუ გოცირიძე ავოფას როლში (ა. ცავარალის „ხანუკა“). შეიძლება თქვას, რომ მის მიერ შექმნილ სცენურ სახეებს შორის აკოფა ავჭალელ უკეთეს იყო. ნიუ გოცირიძე წარმოგიდგენდა ახალგაზრდა, სიცოცხლის სავსე, მზიარულ, ფიხურე გონების, მისწრებული სიტყვის კაცს. ბრწყინვალე იყო მისი სუნება ხანუკასთან ერთად, როდესაც ცდლობს ბებიერი ხანუკა ახალგაზრდა, გაასთხოვარ ქალად უწენის მოხუც თავადს ფანტიამუსს.

რეჟოვლიამდელ პერიოდში შემთხვევა მქონდა სცენაზე მეთამაშე ნიუ გოცირიძესთან ერთად ეს იყო 1918 წელი. გმუშაობდი ნაბლოდების რკინიგზელთა დრამატულ წრეში. ჩემი აბლაუა იმერული მსახურის კომედიური როლები იყო, მაგრამ მეტივლად რევისორის თანამეწოდ გემუშაობდი (რევისორი მაქრო ბერიშვილი იყო).

მოგაშადათ დასადგმულად რაფეილ ერისთავის ვოდვილი „ჯად დაბოცნენ, რსეუ იქირწივნს“. ვოდვილის ერთ-ერთი მთავარი გმირის თხვე შატპოტოტვის როლის შემსრულებლად ნიუ გოცირიძე იყო მიწვეული. წარმოდგენის წინა საღამოს ერთი რეპეტიცია მისი მონაწილეობით გავიარეთ. პრემიერის საღამოს ყველა მონაწილე გამოცხადდა. ნიუ გოცირიძეც უსტახდა დანიშნულ დროზე, შეიდა სათხუე მოვლად. არ გამოცხადდა მხოლოდ სცენისმოყვარე ვასო ჯუღუშაშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა აბლოდების როლის შესრულება. გაგვაგებინეს, რომ ის უცხრე ავად გამხდარიყო და დიდი სიცხიანი ლოჯიერი იწვა. საჭირო შეიქნა მისი შეცვლა, მაგრამ სამწუხაროდ შესაფერო სცენისმოყვარე არავინ იყო. ბოლოს რევისორმა მერევილმა წინადადება მიმეცა მე გამოეხლებოყავი აბლოდის როლში, თვითონ კი იქიარ ჩემს მაგიერ წარმოდგენის წყყანა.

აბლოდის ვოდვილის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, იგი ხელოვნურად შექმნილი ინტერესი ღერძია. როლის შესრულებას კარგი ოსტატობა ესაჭიროება, რასაც მე მოკლებული ვიყავი. ვიცოდი, რომ როლს ვერ დადგევედი, მით უმეტეს ასე უკეთეს და მოულოდნელად, და ამიტომ ბევრი ვწვეწვე ბერიშვილს, გამანათავისუფლე როლიდან და როგორც გამოეცდილობა და პროფესიონალმა მსახიობმა, შენ თვითონ მასრულე-მეოტი. მან თამაში არ ისურვა — ხან ერთხელ წრის წარმოდგენებში არ გამოდიოდა. იძულებული ვიყავი ისევ მე ჩამეყვანა აბლოდის ტანსაცმელი და მოეშაადეპულიყავი. წარმოდგენის დაწყებამდე ხანყვარი საათი დარჩა და ამ მოკლე დროში როლი გადაეკითხე. ნიუ გოცირიძე, ყურთმაჯეიან კაბაში გამოწყობილი, თავზე



მაღლა „წიკაიანი“ ქედით, მშვიდად იჯდა კულისებში და წარმოადგინა დაწყებას ელოდა. ბერძენელმა მობრძობით უთხრა, რომ კუდუშაშვილი, რომელთანაც ნიკომ გუშინ რეპერტიკა გაიარა, ავად გახდა და მის მაგივრად ეს ახალგაზრდა თამაშებსონ. ნიკო გოციერიძემ ამ დრომდე შეხმოლოდ სცენაზე მყავდა ნახაზი და პირდაპირ არ ვიციზობდი. მობრძობით მივუახლოვდი. შევატყე, რომ ამ ესანაოვანს მონახვის შეეცალა, მაგრამ არავინ უთქვამს.

დაიწყო წარბეზება და დიწყო ჩემი ტახტავა. ხალხით გატყევილი დარბაზი და ნიკო გოციერიძის უცაყოფილო სახე ჩემზე ძალიან მოქმედებდა. სცენაზე ძლივს დავდილიდი, თითქმის ვეფხვებ ფეფონიან ტვირთში მძინდა მომბეჭული, აპოლონი იმ მკვიცრისთვის ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. ხმავე წამერთავა და აღარ ვიციდი რას ვუღუღუღებდი. ეგონათ როლი არ ვიციდი და სუფოლორმა პიზონიდან უმატა ჩურჩულს. კულისებიდან ბერიშვილი თავის მხრივ რაღაცას მერჩურელობდა და ხელგეობს მანიშნებდა მიზანს სცენებს. ამან სულ ამარა. ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, რომ შესაძლებელი იყო თავებდის წყველით სცენიდან გავექცეულიყავი და სასცენო კარიერისათვის კონსერვით დამეხებებინა თავი. მაგრამ ჩემი მხსნელი ისევ ნიკო გოციერიძე აღმოჩნდა. სცენაზე დილალოს დროს წამერჩურელო: „ნუ ტვირთი, მე აქ არა, მომყვი“. მერე კიდევ: „მიზეზ, რომი ნუ დაუბევი, ხმასალო...“ კულისებში, ყოველი გამოსვლის წინ, მომავალ მიზანსცენებს მიხსნიდა, მაჩრივებდა, თუ როგორ უნდა შემოქმედდა. ასე გაივალავით მიმგრინ როლს. ვიდრეცელი მთავრდებოდა ჩემი პატარა მონლოტი, რომლის ნაწილი გაუკლესილი იყო. ნიკომ მობრინა ლეკვისათვის თავი დამეხებებინა და მონლოტი მოკლედ მომჭერა, თან ხმამალოდა და რიხინადა. ფარდა დაეჭრა, დარბაზში ტახტი იგრიალა, მაგრამ, ცხადა, ეს ტახტი მე არ შეეუფოვებოდა... ვიდრე დიდერეშილი და დამარტებელი. ყველანი ნიკოს შემოებევივნენ, მაღლობას უხსავდებდნენ წარმოდგენაში უსასყიდლოდ მონაწილეობისათვის. მე განსაკუთრებით ვიყავი მისი მადლობელი, რადან ძალიან დამეხმარა თამაშის დროს, მაგრამ ვერ გავედი მისვლა და მაღლობის თქმა. ბოლოს თვითონ შემინხა, მობინახლოვდა, გამიღობა და მითხრა: „ყოჩაღ, რომ ასე ეცადე როლი არ გააყვეუბებინა... ეს მე მაშინ ქებად შეჩვენა და გულზე მომეჭრა. მაგრამ რომ დაეფიქროდი, დაურწმუნდი, რომ ეს ირინია იყო... ვერაფერი ყოჩნადასა როლი არ გააუჭუჭო.“

ნიკო გოციერიძეს ქართულ პიესებში მუხრანულითა კიდევ: ბერდოსანიძე (შ. დადიანის „გუმბინდობა“), გრანმატაგონი (შ. დადიანის „შენი ჭირიჭი“), ჯარხალაძე (ვ. გუზნიას „აღლემი“), გრუშინსკი (ტ. რამიშვილის „მეზობლები“) და სხვ. შეგჩრდებთ გრუშინსკის როლზე. ტრფინო რამიშვილის „მეზობლები“ მისი პირველი დიდგემისთანავე (1905 წლის გაზაფხულს) გაითქვა სახელი თავისი რეჟოლუციური შინაარსით. მართალია, პიესაში უშუალოდ არ არის ლაპარაკი რეჟოლუციისა, მაგრამ ქარაგმული სიტყვებიდან მაყურებელი კარავდ ერკვეოდა პიესის დედაგაზრდი. პიესა სახალხო თეატრის მსახურად ნაწარმოებად იქცა. ამან პოპულარობა მოიპოვა არა მარტო თავისი რეჟოლუციური შინაარსით, არამედ იმით, რომ მოხუცი რუსი ეგვიპტის გრუშინსკის როლს თამაშნებდა ასრულებდა ნიკო გოციერიძე. ამ როლის ეს თამაშობდა არა მარტო აჭალოს აუდიტორიაში და შემდეგ სახალხო სახლში, არამედ პროვინციულ სახალხო თეატრებსა და დრამატულ წრეებში. ნიკო გოციერიძემ ამ როლი წარმოვიდგებოდა, როგორც პატოსანი, უმწიკლო, კაცობრივად ადამიანი, რეჟოლუციის თანამგრძობი და ხელის შემწყობი. სცენაზე ვაქცილისთანავე გვიპყრობდა და გვიტაცებდა მისი ცხოვრებისეული სიმართლე და ბუნებრიობა.

არაქართულ პიესებშიც მრავალი მნიშვნელოვანი როლი

შეასრულა ნიკო გოციერიძემ. ესელო თვალწინ მიდგას მისი სტუდენტის ონუერი, ლიონიდ ახდრევეის პიესაში „დღეის ჩვენი ცხოვრებისა“ — სეკეტიკოსი და იუმორით მსახურებდა ეს არ იყო მთავარი როლი, მაგრამ შესრულებით უტოლოდებოდა თავის მთავარ გმირებს. ნიკო გოციერიძემ კოსტიუმების როლი შეასრულა მ. გორკის პიესაში „ფსევდო“, რომელიც ქართული თეატრის პროფესიონალ-მსახიობებმა დადგეს 1908 წელს და ამ როლის შესასრულებლად საგანგებოდ ნიკო გოციერიძე მოიწვიეს.

რუსულ რეპერტუარში ნიკო გოციერიძის მიერ ნათამაშევი როლებიდან მასსოვს მეფის დიდი მოხელის გრუტო-რუდოსის როლი ი. პობაბევის ბუგინადაში „ბიანი სოვეტების სიზმარი“. ეს მოხელე სასმარებლად დაბრუნების შემდეგ თავს მოატყუებს და სიზმარში ნახავს თითქოს რუსეთში მისდა რეჟოლუცია, რომელსაც თვითონვე მიემხრო და წარმოთქვამს ცეცხლოვან სიტყვას ცარიზმის წინააღმდეგ. როცა გამოედივება, დიდხანს ვერ ერკვევა მართლა მოხდა თუ არა რეჟოლუცია. ნიკო გოციერიძემ ტიპური ბიუროკრატი წარმოვლავსა. იგი ევექტურად გამოხდებდა გმირის გარდაქმნას რეჟოლუციონერად და შემდეგ ისევ მეფის მოხელედ. ეს ერთსადაცხადებინა პიესა ხშირად იდგებოდა სახალხო სახლის სცენაზე, რადან პოლიტიკურად მწვავე საკითხს ეხებოდა. ნიკო გოციერიძე მუდამ იმსახურებდა მაყურებლის მიქნარებ ტანს.

რუსულ პიესებში ნიკო გოციერიძეს, გარდა ამისა, კიდევ ნათამაშებია აქვს მოკეი (ი. პლატონის „ხალხი“), ოსიპი (ვ. შორტაპოპოვის „ცხოვრების გარეშე“), რასპლუვი (ა. სუხოვო-კობილინის „კრეჭინსკის ქორილი“), ბესი (ა. სუხმთაშვილის „ალაგოი“) და სხვ.

უცხოურ ნაწარმოებებშიც იჩნდა ნიკო გოციერიძე თავისი ხიზსა და ოსტატობას. მე შინახავს მისი ორგანი მონლოტის კომედიანი „ტარტუფი“. გულმოდგინდო, კეთილი, ყველას დამკრეფი — ასეთი იყო ნიკო გოციერიძის ორგანი. ტარტუფი (ამ როლს თამაშობდა მსახიობი გველიან გველიანოვი), მოეჩვენება რა იგი მას მორწმუნე ფანატიკოსად, მოხერხებულად ატყუებს ორგანს და იქნაღდ მიიყვანდა, რომ ქონების წართმეგას უქდის. შესანიშნავად წარმოადგენდნენ გოციერიძე და გველიანოვი სცენას, სადაც ტარტუფი ოსტატურად აჯერებს ორგანს თავის მორალურ სიწმინდში. ნიკო გოციერიძის ორგანის მნახველი ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ ეს ის გოციერიძე იყო, რომელიც წინა დღეებში აჯოვდა და მარტორუას როლებს თამაშობდა.

ნიკო გოციერიძე არსებობდა თავისი საკუთარი შრომით და გამოხედვებით აღწევდა მისი მოქმედებით მწვერვალს, ხოლო 1911 წლიდან მის სასამხირო მოღვაწეობაზე დიდი გავლენა იქონია რეჟისორმა ალექსანდრე ვუწუნავამ. ის მიწვეული იყო სახალხო სახლთან არსებულ ქართული წარმოდგენების მმართველი რუსი რეჟისორად და სამი სათეატრო სეზონის განმავლობაში ხელმძღვანელობდა წრეს. ვუწუნავამ დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებულ სარეჟისორო სკოლა და ქართულ სცენაზე ნერვად ამ მოწინავე თეატრის შემოქმედებით მონიჭებდა. ნიკო გოციერიძე გულმოდგინედ ასრულებდა რეჟისორ ალექსანდრე ვუწუნავას ყოველ მითითებას და მისი რეჟისორის დროს შექმნა ბევრი სცენური სახე — ისეთი, როგორც ორგანი („ტარტუფი“), ოსიპი („რევიზორი“), საქო („მსხვერპლი“), კრუტოუსდოვი („ბიანი სოვეტების სიზმარი“) და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია ნიკო გოციერიძის მოღვაწეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დარგი, გოციერიძე მუდამ გამოდიოდა საღამო-კომედიტებზე ა. ცაგარლის, ა. ახნაზარის და სხვა იუმორისტული სცენების კითხვით თბილისის მოქალაქეთა ცხოვრებიდან.

გოციერიძე თავის სასცენო მოღვაწეობას მარტო სახალ-



ნიკო გოცირიძე — გუბურა („მზის დაბნელება საქართველოში“).

ხო სახლით არ საზღვრავდა. მას ხშირად იწვევდნენ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად თბილისის სხვა სახალხო თეატრებშიც (ავლაბრის, ხარფუხის, ვერის, ნაძალადევის), ხშირი სტუმარი იყო პროფესიის დრამატულ წრეებისაც. „ნიკოს ხალისიანი ტემპერამენტი პროფესიის სცენაზედაც შეიჭრა, — წერს ოსებ გრინაშვილი, — თუ სადმე არსებობდა რკინიგზის მუშათა თეატრი, ან სახალხო აუდიტორია, ნიკო ყველგან ძვირფასი სტუმარი იყო. შეიძლება თამაშად ითქვას, რომ არ ყოფილა არც ერთი შექცეულიმყოფი საღამო, რომ ნიკოს მართლიანი „სცენებით“ არ დაემუხებინათ იგი. არ არის საქართველოში ისეთი ქალაქი, თუ დაბა (ქუთაისი, გორი, ფოთი, ხაშური, შორაპანი, ზესტაფონი, თელავი და სხვ.), სადაც ნიკო არ ყოფილიყო მივლინებული და იქაური პატარა სცენიდან ესთეტიკური განცდანი არ დაეთქა... ყოველივე ეს ხდებოდა უპირობოდ და ჩვენს ნიკოს ვერც კი წარმოედგინა, რომ თავისი მალაქი მოწოდება ფულით აუნაზღაურებოდა.“ ხშირად გზის ფულსაც კი თვითონ იხდიდა, ან კიდევ, როგორც რკინიგზელი, თავისი კუთვნილი უფასო ბილეთით მოგზაურობდა. რამდენჯერ მოხმდარა, რომ წარმოდგენის შემდეგ მესივე მატარებელი წამოსულა, მატარებელში უძილო დამე გაუტარებია და დილით თბილისში სადგურიდან პირდაპირ წასულა სამუშაოდ. უსახილოდ წოლად წოლად რეკისორობდა აჭალის აუდიტორიას და შემდეგ კი ოსურ დრამატულ წრეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნიკო გოცირიძე პროფესიულ სცენაზე გადავიდა. რუსთაველის თეატრში მისვლისთანავე მან ითამაშა სოვდარარ მდომანისის როლი ნ. შიუკაშვილის დრამაში „სული“ (დადგმა მ. ჭორელისა და მ. ჭიაურელის).

საქეკალოში „ცხვრის წყარო“, რომელიც 1922 წლის 22 ნოემბერს კოტე მარჯანიშვილმა დადგა და რომლიდანაც იწყება ქართული თეატრის განახლების ისტორია, ნიკო გოცირიძე ასრულებდა მეორე რეჟისორის ეპიზოდურ როლს. მაგრამ ქართული თეატრის რეფორმატორმა კოტე მარჯანიშვილმა მალე შენიშნა გოცირიძის შემოქმედებით შესაძლებლობა და მეორე თავის დადგმაში უკვე მთელი სისრულით უჩვენა მაყურებელს ნიკოს ნიჭი და უნარი. ეს მეორე საქეკალო გახლდათ „მზის დაბნელება საქართველოში“, რომელიც დიდმა რეკისორმა 1923 წლის 2 იანვარს — ქართული თეატრის საზეიმო დღეს დადგა. ნიკო გოცირიძე თამაშობდა ვაჟარ გუერქას მთავარ როლს.

1923 წელს ნიკო გოცირიძემ შეასრულა მოხუცი მეფონის როლი ჯ. სინგის პიესაში „გმირი“ და დოქტორის როლი ხ. ბენავენტეს კომედიაში „ინტერესთა თამაში“. ეს უკანასკნელი კოტე მარჯანიშვილმა დადგა იტალიური კლასიკური ნიღბების თეატრის ფორმის გამოყენებით, ხაზი გაუსვა კომედიაში ჩაქოვილ ირინიულ შეხედულებას ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრებაზე და მწვევე სატირულ სიმართლემდე აიყვანა. ნიკო გოცირიძე შესანიშნავად დაეფულა ნიღბების თეატრის ფორმებს და რუსულ ანსამბლში შეასრულა დოქტორის საინტერესო როლი.

1924 წელს ნიკო გოცირიძემ ითამაშა უურდნის მთავარი როლი მოლიერის კომედიაში „გაზნაურებული მდაბიო“ და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. მოლიერის ამ პერსონაჟში მსახიობმა უჩვენა თავისი ბუნებრივი კომიზმის მთელი სიძლიერე.

1925 წელს ნიკო გოცირიძემ ითამაშა პეტრუხას როლი ნ. ახაიას კომედიაში „დეზერტირაცა“ და პოლინუსის როლი უ. შექპირის ტრაგედიაში „ამლეტა“.

1924 წლის 30 მარტს ნიკო გოცირიძეს რუსთაველის თეატრში გადაუხადეს სასიყვრო მოღვაწეობის 30 წლისთავი. საიუბილეო საღამოს სტეფანდავნელ კოტე მარჯანიშვილმა.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით იუბილარს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ანატოლი წოდება მიენიჭა. ეს იყო მესამე წოდება სახალხო არტისტისა, მინიჭებული საბჭოთა ხელისუფლების წლებში (პირველი მიენიჭა 1922 წელს ვასო აბაშიძეს, და მეორე — 1923 წელს ვასო სარაჯიშვილს).

ასე ღირსეულად დაფასა მშრომელმა სალხმა და მისმა ხელისუფლებამ ნიკო გოცირიძის უხვგარო მოღვაწეობა სახალხო სცენაზე.

რევოლუციამდელ პერიოდშიც სახალხო სახლში ორჯერ აღინიშნა ნიკო გოცირიძის მოღვაწეობა საღებულო საღამო-ბენეფიქტით, 1911 და 1916 წელს, მაგრამ ეს საღამოები არ იყო ისეთი, როგორც 1924 წელს მოეწყო.

იოსებ გრინაშვილის მიერ დაწერილი ნიკო გოცირიძის ბიოგრაფიაში, რომელიც იუბილემ დადგინებ გამოიწვია, მოთავსებული იყო ერთი მეტად საკულისხმო წერილი, რომლის გადმოთქმვაც ამ წერილში საქირთვე ვიხილთ. ეს გახლავთ კოტე მარჯანიშვილის აზრი ნიკო გოცირიძეზე. იოსებ გრინაშვილი წერს: „ჩვენ მივმართეთ ცნობილ რეკისორს კოტე მარჯანიშვილს, რომ თავისი აზრი გამოეთქვა ნიკო გოცირიძის შესახებ. მოგვყავს მისი წერილი ოდნავი კუპურებით: „ტვირფასო სოსო! თქვენა მთხოვე ნიკო გოცირიძის შესახებ ვთქვა რამდენიმე სიტყვა. მე არ შემიძლიან დავაფასო ნიკოს ნიჭის სიძლიერე, რადგან ღირებულებანი არ ვადუნება დამოუკიდებლად და ისტორიკოს თავის დროზე გამოუხატავს მას შესაფერ საზომს... მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი: როდესაც კი არ უნდა აიკონის თეატრის ფარდა, წარც კინდა სამუშაოდ და მიძინე აკორდითაც არ დაიწყოს რამდენღაცა, სამკარისთა კულისებიდან მიოხმას ნიკოს ხმა, ან სცენის სიღრმეში გამოჩნდეს მისი ფო-



გურა და ხელად დარბაზში მჯდომ მასურებელთა ტურებზე გამყოფილების დიმილი ათამაშდება. ნიკო მთელი თავისი არსებითი გამსჭვალულია ვერტფრედლებული „სცენური მომხიბვლელითი... ჩემი მხედრულებით წარმოდგენისათვის ეს თვისება ხშირად უფრო საჭიროა, ვიდრე განსაკუთრებული მათალბიტიერება... აი, ეს „მომხიბვლელთა“ ისეთი თვისებაა ნიკოს, რომ მიუხედავად ბანაკებად დაყოფისა ხელოვნებაში, დამოუკიდებლად მასურებელთა და მსახიობთა პასაჟისა, ნიკო მუდამ ყველასათვის თავისი იქნება... ძველი და ახალი, ახალგაზრდული და დროშობული — ყოველივე ის, რაც ახლა ყველას გავლევებს, ან ხელს ვეგვიძის, — უსათუოდ ერთნაირი ძალით ნიკოს თავის ბანაკისკენ მწევა... ორივე ბანაკი დავგიმტკიცებს, რომ ნიკო გოცირიძე მათია! მამ რაშია დღედარსო? სულ უბრალო. საქმე ის არის, რომ ნიკომ წერტილი არ დასულა თავის მოღვაწეობას, ხელში არ განიბანა. არა! აღზრდილი ძველ თეატრში, — ნიკო არ შეერბა, იგი მარად ძიებაშია, წინ მისწრაფვის, იგი განვითარების პოტენციაშია. განისილეთ მისი შემოქმედება, დაწყებული „მზის დაბნელებიდან“ და „ინტერესთა თამაშიდან“... „გაანაურებელ მდამიმიდამ“, ტიპური თბილისელიდან ზუსტ ევროპელამდე, და თქვენ მიხედვით, თუ რა შორს გადაიხადა წინ ნიკომ. ძველის დაძველები ნუ შეუხდებიან იმ ფიქრით, რომ ისინი არ არიან ახალი თაობის მამამთავარი. ნიკო გოცირიძემ შინაურნა ჩამოხადებლობითი მემკვიდრეობა და ახალ, თანამედროვე ფორმებით შემოსა... ნიკო ხილია ძველსა და ახლის შორის და მით უფრო ღირებულია, რომ ხალხის წიაღიდან მოგვეღვიძროს... ეს მავალით ამტკიცებს, რომ ჩვენი ხალხის პოტენცია ძლიერია და მალე იქიდან მოვლენ ახალი კულტურის ნამდვილი შემქმნელი. პირადად ჩემთვის დიდ სიხარულს წარმოადგენს ნიკო გოცირიძისთან მუშაობა. როცა მუშაობის დროს, ზოგჯერ ძიებით ქანცაწყვეტილი, არ ვიცე სად ვეძიო, სათი მივსწრაფო, როცა ხევის-სოფლა მიჩლუნდება, — მაშინ გამამხნეველია და მაძიებელი თვლები ნიკო გოცირიძისა თითქოს მიმოქრებიან: „წინ, შეუდგე, შეუდგე, შეუდგე!“ გამაღობთ, ჩემი ძვირფასო ნიკო! წინ, მაგრამ შენთან ერთად“. (ისებე გრიშაშვილის კუბურების გარდა, წერილი შვეასწორეთ და დაგაზუსტეთ უსული ტექსტის მიხედვით, რომელიც დაბეჭდილია რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მიერ შედგენილ და 1958 წელს გამოცემულ კრებულში „კოტე მარჯანიშვილი. მოგონებები, წერილები, მისწერებები“).

როგორც ვხედავთ, ამ წერილს ნათლად ეტყობა იმ პოლემიკის გაგებება, რომელიც 1924 წელს აღმოცენდა ძველ მსახიობთა და კორპორაციის „დღურუკის“ შორის. წერილი მეტად საკულისმზოა იმ მხრივ, რომ ნიკო გოცირიძე, ეტყობა ამ საკითხში შორს მდგარა იმ ძველ მსახიობთაგან, რომლებიც კოტე მარჯანიშვილის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ და მალე თეატრიდან წაიკიდნენ კიდეც. ნიკო გოცირიძეს სჯერდა მარჯანიშვილის, როგორც ნიჭიერი შემოქმედის. თავის მხრივ კოტე მარჯანიშვილი უდიდესად აფასებდა ნიკო გოცირიძის სასცენო ნიჭსა და ოსტატობას, რაც ცხადად არის გამოთქმული ამ საინტერესო წერილში. კოტე მარჯანიშვილის რუსთაველის თეატრიდან წასვლის შემდეგ ნიკო გოცირიძემ 1926 წელს შესარულა ერთი როლი. ეს გახლდათ არმაჯ მინაიჩი ნ. შიუკაშვილის კომედიამი „ამერიკელი ძია“.

„ამერიკელი ძიას“ დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე გამართლებული იყო იმით, რომ თეატრს მუდმივი დახმარება არ ეძლეოდა, საკუთარი შემოსავლით უნდა ეცხოვრა და ამიტომ ეძებდა შემოსავლიან პიესებს. ეს იყო თეატრის პირველი სესონი სანდრო ამბეტიკის ხელმძღვანელობით. მასურებელი ჯერ არ ეტანებოდა თეატრს. ამ მდგომარეობაში „ამერიკელი ძია“ თეატრს ძალიან დაეხმარა და მთელი ცხოვრებით თეატრი არსებითად ამ სპექტაკლის შემოსავლით სჭირებდა.

„ამერიკელი ძიას“ წარმატება გადაწყვიტა მსახიობთა შესანიშნავმა თამაშმა. ნიკო გოცირიძე — მეღუქმ არმაჯ მინაიჩი, ნატალია ჯავახიშვილი — მისი მეუღლე ზანდუხტე, აკაკი ვასაძე — ლუწის ბიჭი კომპალა, სანდრო თორჭოლიანი — კვაჭი, შავა ღამბაშიძე — ცრუ ამერიკელი, მიხეილ სარაული — კომპალას ბიძა და სხვანი შესანიშნავად დაეუფლნენ ძველი ყოფა-ცხოვრების ტიპებს.

განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო ნიკო გოცირიძე. არმაჯ მინაიჩის როლი მეტად რთულია. მის ირგვლივ ტრიალებს კომედიის მთელი ხსართი. ნიკო გოცირიძე შესანიშნავად ანახიერებდა როლს. მისი ბუნებრივი თამაში აცოცხლებდა კომედიას.

1928 წელს კოტე მარჯანიშვილმა მეორე სახელმწიფო თეატრი შექმნა ქუთაისში. ნიკო გოცირიძე აპირებდა ამ თეატრში გადასვლას, მაგრამ მოხუცებულობის გამო თავის მუდმივ საცხოვრებელს ვერ მოშორდა. 1930 წელს კი, როდესაც კოტე მარჯანიშვილი თავის თეატრით თბილისში გადმოსახლდა, გოცირიძე მაცდევ გადავიდა მასთან.

ნიკო გოცირიძემ მარჯანიშვილის თეატრში ათი როლი ითამაშა. ერთი მათგანი იყო გურუკა ზ. ანტონოვის „მზის დაბნელებამი“. კომედია კოტე მარჯანიშვილმა თავის თეატრში განაახლა 1923 წელს რუსთაველის თეატრში განხორციელებული დადგმის მიხედვით.

მარჯანიშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში, 1930-1933 წლებში ნიკო გოცირიძემ, გარდა გურუკის, კიდევ ხუთი როლი ითამაშა, სახელდობრ: მიღველი (გ. მარჯანიშვილის ინსცენირება „არსენის ლეკსი“), კასარა (ი. ოლუშას „სამი ბღენძი“), იმავუშა (ნ. პოგოდინის „ფოლადის პოემა“), იმია (გ. ბაზაზის „მუხრანე ალაშარკდენი“), ბოგოაოლენსკი (ი. მიკიტენკოს „ანათი ვარსკვლავნი“), პროფესორი ზახაროვი (ა. აფინოგენოვის „მომი“).

კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ ნიკო გოცირიძემ კიდევ რამდენიმე ახალი როლი შესარულა. მისი უკანასკნელი ახალი როლი იყო გრიგოლელი ნ. შვეარციის კომედიამი „უბრალო გოგონა“ (1938 წ.).

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდად აფასებდა ნიკო გოცირიძის ღვაწლს სასცენო სარბიულზე. 1929-1931 წლებში ის არჩეული იყო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის საბჭოს წევრად. 1934 წელს მას გადაუხადეს მოღვაწეობის 40 წლის იუბილე.

1936 წელს ნიკო გოცირიძე მონაწილეობას იღებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში გაგზავნილ დელეგაციამი, რომელიც საკავშირო მთავრობის მილით კრებულ იქნა. 1948 წელს, ნიკო გოცირიძეს გაუმარტობ დაბადებულნი 75 წლისთავის აღსანიშნავი უბილე. ამ საუბრილო საღამოზე ნიკო გოცირიძემ უკანასკნელად ითამაშა „მზის დაბნელებამი“ პირველი მოქმედების ერთი სცენა. შესარულა გურუკის როლი. ერთი წლის შემდეგ, 1949 წლის 23 ივლისს ის გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ასე დასრულდა შესანიშნავი ადამიანის ცხოვრება, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული მშობლიურ თეატრში და ნახევარი საუკუნე ემსახურა საუკუნეო საქმეს.







სანამ ბავშვი არსებობს, თოჯინაც იარსებებს.

თოჯინა ზღაპარია ბავშვისათვის. თოჯინების თეატრი — გაცოცხლებული სიზმარი...

აი ბუთხუზა, ლოყებდაწითლებული ბიჭი, რომელსაც პირი შოკოლადით მოუთხუნიდა და ასლა დედისკო უკავრდებოდა.

ან, თუნდაც ის გოგონა, მესამე რიგში რომ ზის — უსარმაზარი ბავშვითა და საცრისოდენა თვალებით, ფრჩხილებს რომ იკვნივს.

იქნებ ამ ტყუბებს იცნობთ, მუქი კოსტიუმები რომ აცვიათ, აფუფული ყელსასხვევი რომ უკეთათ და თმა რომ ერთი საგარეცხლით დაუფარცხნათ. სხედან და რაღაცის მოლოდინში ერთმანეთს მიჰკვირან.

ცელქი, წითური ბიჭუნა იატაკს ვერ წვდება ფეხით და იაგრისება. აუცილებლად მიწვდება!

პატარა დარბაზი, სცენა, სადაც თოჯინები ცოცხლდებიან... ამდენი გულბურჯილო და გაოცებულთ სახე, ამდენი უმწიკვლო, სიცოცხლით სავსე და გახარებული თვალი.

და ეს თეატრია, ნამდვილი თეატრი, მართალი და წმინდა თეატრი. აქ ყველაფერი უშუალო და, ამავე დროს, ამაღლებული, რომანტიკული უნდა იყოს, ისეთი, როგორც ვაჟას შვლის ნუკრია.

ძნელია თოჯინების თეატრში მუშაობა და კიდევ უფრო ძნელი მის სპექტაკლებზე წერა.

აქ მთელი გამაზა ფერებისა — ვარდისფერიდან შინდისფერამდე, ცისფერიდან ლურჯამდე.

ყველაზე ბოროტი არსება მგელია — გაქცეული, მოუხეშავი, მარტოხელა და ოდნავ სიმპათიურიც; ან დევი — ბრიყვი და სასაცილო.

ყველაზე ეშმაკი მელიაა — ფუმფულაკუდიანი და გაქნილი.

ამ ოთახში დედამიწე ქერაკულულებიანი ბავშვის წარმოსახვით ბრუნავს...

კვლავაც ცოცხლობენ თოჯინები და გაჭიმულ თოჯნე მოქანავე ჯამბაზები.

თოჯინების თეატრი — 71

როგორ არის თბილისის თოჯინე-

# თოჯინას სიყვარულით

## ზურაბ ჭუბაბრია

ბის თეატრი, ჩვენი ძველი ნაცნობი, რა მიზნები აქვს, რას აპირებს?

ვესაუბრებთ თეატრის დირექტორს — თ. ჯანელიძეს და სალიტერატურო ნაწილის გამგეს ჯ. ქარჩხაძეს.

აი, რა გამოიტყვას:

1971 წელს თოჯინების თეატრში დადგა შემდეგი სპექტაკლები: „ლმასი“ (გ. კუბანსკის პიესა, თარგმანა ნ. გურაბანიძემ, დადგეს ა. ჩხიკვაძემ და ჯ. მაჭარაძემ); „ლალის ვარსკვლავი“ (მ. ნარიშკინის პიესა, დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გრ. ლალიძემ); „ჯადოსნური თაგმული“ (გ. გუბარევიის მოთხრობის ინსცენირება, რომელიც ნ. გურაბანიძეს ეკუთვნის, დადგა გ. სარიშვილიძემ); „სინათლის ჩიტო“ ამ უკანასკნელზე შეფერვდით, რათა ნაწილობრივ მაინც შეინახოთ თოჯინების თეატრის დღევანდელი იერი.

ბიესა ვ. გოგოლაშვილმა დაწერა, დადგა ა. ჩხიკვაძემ, მუსიკა ეკუთვნის თ. ხატიაშვილს. როლებში: პაპა მიხო — ი. შახელი (დამსახურებული არტისტი) და ს. ბოკერია; კახა ბიჭი — ე. ბერიშვილი, ე. გოგიანიშვილი; ფერია — ნ. ერიაშვილი, ლ. მირიანაშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი) და ლ. შაყულაშვილი; მეფე — ქ. ძაძამია; თონა — ნ. ერიაშვილი და ლ. შაყულაშვილი; სარალი — ბ. კუტალაძე; ვეზირი — ი. შახელი და ს. ბოკერია; მასხარა — ჯ. მაჭარაძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი); ერთთავიანი დევი — ქ. ძაძამია; ორთავიანი დევი — ბ. კუტალაძე; სამთავიანი დევი — ჯ. მაჭარაძე.

ისწნება ფარად... არა! ფარდა კი არა — ფანდარა ზღაპრული სამყაროსი, ჯადოსნური, მკვეთრი ჩარჩოთი შემოვლებული და იღუმალი.

ბოროტება — დევები — ერთთავიანი, ორთავიანი და სამთავიანი — ბრიყვი დევები.

დაკუნთული სამთავიანი დევი — უფროსია, დინჯი და დარბაისელი. ორთავიანი — ბრაზიანია და ყოყულოჩანია.

ყველაზე ტრაბახა და სასაცილო ერთთავიანია — თავისფერი, შშიშარა, გადმოფლასული წითელი ტურეზი და თევზბიჭვით გადმოვიდებული ყურბით.

„ჯუნგლის კანონი“ მეფობს მათთან — სამთავიანი ორთავიანს უფროსობს, ორგვინ ერთად კი პატარა ერთთავიანს ურტყამენ თავში. შეგვეცოდებათ ეს მოსულელო ერთთავიანი. ბავშვებსაც ცნობებით, თანაც იცინიან. ალბათ არასდროს დაავიწყდებთ.

რა ჩაიდინეს დევებმა?

სოფელს მიპარეს სინათლის ჩიტი, მფრინავი ხალიჩა და ჯადოსნური სუფრა.

მოსუცი პაპა მიხო, ვეღარ მოზიდავს ხოლმე ძველებურად შვილს, თორემ სვირს უჩვენებდა დევებს.

წვიდნენ დევები, გაიტაცეს ნადავლი. მაჭარამ გამოიწვია პატარა მწვემსი — კახა ბიჭი, მამაცი და საზრიანი.



დევებს მე დავედევნები და გატაცებულს წავართმევო

პაპა მიხი შვილდს უწვიდს, მაგრამ გზა რომ არ იცის ბიჭმა?

პაპა დაეხმარება — სალამურს ააქვრებებს. სალამურის ხმაზე ცის-ფერ-ვარდისფერი ფერია გამოჩნდება და კახა ბიჭს ასწავლის, თუ როგორ მივიდეს ბაბაჯა დევებითან.

ქართული ხალხური ზღაპრების სა-ამო სურნელება დააყვება სპექტაკლს.

გაუცინარი ხელმწიფის სამეფო. აქ გადის დევებისაკენ მიმავალი გზა.

გაუცინარი მეფის ასული თონა — მისი უმტირალესობა.

ცრმელად იღვრება თონა.

რას არ აკეთებს მასხრად ქვეყლი ხელმწიფე თონას გასაცინებლად. არაფერი გამოდის.

სარდალი, ვეზირი და მასხარა ცდილობენ, როგორმე გააცინონ თონა, მაგრამ ამაოდ.

ასეცა — მხედართმთავრები არასდროს გამოირჩეოდნენ იუშორის გრძნობით (არც ნაზირ-ვეზირებით და არც დაქორავებული მასხარებით...)

მწყენის ბიჭი მოდის.

„თუ მკურნალია, გაროხვით!“ — ბრძანებს თონა, მეფის ასული.

„თუ უფლისწულია, კიბეზე დაგორეთ!“

„მწყენსი შემოვიდეს!“

თონამდე მისაღწევად ქრთამის გაღება დასჭირდა კახა ბიჭს — საჩუქრის ნახევარი სარდალმა გამოსტყუა, მეორე ნახევარი — ვეზირმა. მასხარამ დაავიანა და ხელცარიელი დარჩა.

თონა სინათლის ჩიტის ფრთით გააცინა კახა ბიჭმა.

ნახევარი სამეფო მიზოძებიაო! — გასცა ხელმწიფემ წყალობა.

ასი როზეგი მარჯეთაო, — ითხოვა კახა ბიჭმა და მასხარას გასახარად ასივე გაუნაწილა სარდალსა და ვეზირს.

ასწავლეს დევებისაკენ მიმავალი გზა.

თონა — გაუცინარი ხელმწიფის ასული გააკვა თავის მამაც მეგობარს — კახა ბიჭს.

დევებს ნადავლი ვერ გაეყოთ — ჩხუბობდნენ. ერთთავიანი, როგორც ყოველთვის, ვალახული დარჩა. ამ დროს გამოჩნდნენ თონა და კახა ბიჭი. ისინი დევებმა გამოქაბულში დაამწყვდევს, მაგრამ მალე გამოუშვეს. „დავეხმარეთო, — ბავშვებს შესთხოვეს, — ვერ გაგვიანწილებიაო ერთმანეთში სინათლის ჩიტი, მფრინავი ხალიჩა და ჯადოსნური სუფრა“.

კახა ბიჭმა დევები გასროლილი ისრის მოსაძებნად გაგზავნა.

გაიქცნენ დევები — ყველაზე სწრაფის ჯადო-სუფრა დარჩებოდა.

გაიცინეს კახა ბიჭმა და თონამ, დასდნენ მფრინავ ხალიჩაზე და გაფრინდნენ, თან გაიყოლეს ჯადო-სუფრა და სინათლის ჩიტი. სოფელს დაუბრუნეს მიტაცებული დოვლათი.

ნათელმა გაიმარჯვა ბნელზე, თეთრმა — შავზე, სიციფემ — ბოროტეაზე...

ასე უნდა ყოფილიყო.

ასეც იქნება ყოველთვის...

სპექტაკლს ბევრი ღირსება აშშვენებს.

შესანიშნავია მსატრობა — ფერადოვანი, ხალისიანი და მიმზადდევლი.

თოჯინების გარეწობა საოცრად შეესაბამება მოქმედი პირების ხასიათს (განსაკუთრებით ერთთავიანი დევისა);

თოჯინები მართლაც რომ ცოცხლებიან სცენაზე, მათი მოძრაობები ზუსტია და დახვეწილი. მაგალითად, ვეზირი, რომელსაც ცერემონიისტერივით გრაციოზული მოძრაობები აქვს.

„სინათლის ჩიტი“ მეტად დინამირის სპექტაკლია; ამას ისიც ადასტურებს, რომ ბავშვები გაფაციკვებით, შეუნღებლები ყურადღებით შესცქერაინ თოჯინებს.

არის ზოგიერთი ხარვეზიც.

სასურველია, რომ კახა ბიჭი უფრო სიმაპითური იყოს და ხმაც ნაკლებად გამყვანი ჰქონდეს. კახა ბიჭი და თონა დევებს, მათთან „სტუმრობისას“, გამოკანებს სთავაზობენ, რომელიც დევები ვერ ხსნიან. ის სცე-

ნა გაჭიანურებულად გვეჩვენება. (დასაშუალო რბაში ბავშვები ახმაურდნენ); შეიძლება ამის მიზეზი თვით გამოცანების შერჩევაც იყოს. ასეა თუ ისე, ნაკლი აუცილებლად და, რაც მთავარია, ადვილად გამოსასწორებელია.

სპექტაკლი მუსიკალურადაც ჩინებულადაა გაფორმებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია დევების თემა — გროტესკული, ემზაკური და მხიარული; კარგია მათი სიმღერაც — ქართული ხალხური მუსიკის პანგები თანამედროვე ვაზური რიტმით.

საერთოდ „სინათლის ჩიტი“ თოჯინების თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის უდავო გამარჯვებაა, მხიარული, გამოკვეთილი, იუმორით დატვირთული სპექტაკლია.

### მოკმაპალი

პატარა თეატრს დიდი გემები აქვს.

განზრახულია „პირიშვის“ დადგმა. ფრანგბაუშის მოთხრობის ინსცენირება ეკუთვნის ს. ჭეიშვილს. რეჟისორია ლ. პაქსაშვილი, მსატყარი რ. კიკნაძე.

ასლო მომავლი ვნსაათ პოპესკუს პიესას „მშის სხივი“ (რეჟისორი გ. სარჩიმელიძე);

გერენტისა და გურვირის „ბატის ჭუკს“ დადგამს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შოთა ცუცქერიძე.

პიონერული ორგანიზაციის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად ტარდება სრულად საკავშირო დათავადიერება. თოჯინების თეატრი ვერადგება თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლით „ბაჩიტას ოინები“ (შ. მხეიძისა და ირ. ავალიანის პიესა, გ. სარჩიმელიძის დადგმა) და სპეციალურად ამ თარიღისადმი მიძღვნილი პიესით „ფიჭუკას სკოლა“ (ავტორია ლანდაუ, დადგამს შ. ცუცქერიძე); შეიძლება ამით დავემთავრებინა, მაგრამ...

თოჯინების თეატრში მოზრდილებიც უნდა მივდიოდეთ. ცოტა ხნით მაინც დაბრუნდება ბავშვობა, ვადამალული სიხალისე.

# ყველა დაღიბილი პაიტიბი დახსრჯალია



ქართლოს კასრბე.

გიგი ბარამიძე,  
გიგი ბოჯუკუა



„მინი, ვიდი, ვიცი!“ — უღიუს კეისრის მიერ ჯერ კიდევ ძველი წელთაღიგების პირველ საუკუნეში ნათქვამი ეს სიტყვები, რომლითაც მან მიმართა სენატს პონტის მეფე ფარნაკზე იოლი გამარჯვების შემდეგ, თამამად შეუძლია გაიმეოროს საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული, ამჟამად უკვე აკადემიური, ანსამბლის ყველა წევრმა.

მართლაც, სადაც კი არ მივიდა ეს ანსამბლი, მსოფლიოს რომელიც კუთხვც კი არ ნახა, ყველგან გაიმარჯვა, მაგრამ არა სიცოცხლის მომასწრაფებელი საბრძოლო იარაღით, არამედ სამწიფილობო ვიზიტებით, დიდი, თვითმყოფადი, ფანტასტიკური ხელოვნებით, რომელიც ვირტუოზულ ცეკვებში გამოიხატა. თუმცა ეს გამარჯვება იოლად არ მიღწეულა. იგი კოლოსალური შრომისა და დაუღალავი წვრთნის შედეგია, რომლისთვისაც თავიანთი ბრწყინვალე ნიჭი, მდიდარი ცოდნა-გამოცდილება და უმრეტელო ენერჯია არ დაიშურეს ანსამბლის ხელმძღვანელებმა — სარ კავშირის სახალხო არტისტებმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატებმა ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა.

მათ მიერ წამოწყებულ დიდ, პროვინულ საკმეს თავის დროზე მხარი აუბეს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ჭეშმარიტმა ოსტატებმა, რომელთა შორის იყვნენ: ამჟამად რსფსრ და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი სოლოი გირსალაძე (მის მიერ შექმნილმა ქართულმა კოსტუმებმა განაცვიფრა მთელი მსოფლიო), საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, ტ. შევენიუსის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დიმიტრი ალექ-

სიძე (რომელმაც რეჟისორულად დახვეწა ქორეოგრაფიული სცენები), კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე (იგი მუსიკალურ ნაწილს ხელმძღვანელობდა), ანსამბლის პირველი მოცეკვავეები: ვ. ყუფარაძე, ვ. მერაბიშვილი, ა. შადური, თ. ციციშვილი, ი. თაყაიშვილი, გ. სურვილაძე, ვ. კალანდაძე, შ. ჩახავა, მ. მასისურაძე, ი. ზედაძიძე, ი. რატანი, შემდგომ კი — გ. სიმონიშვილი, გ. გოჯორაშვილი, შ. გარუჩავა, ო. მხეიძე, მ. სავიციკი, გ. ჯიბლაძე, ა. სალუქაშვილი, ა. ანთიმე და სხვები; და, რასაკვირველია, თვით ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, რომელთა „ქართული“ დღემდე რჩება საწმენარლებლო ეტალონად.

ასე აიგია ფები ამ სახელოვანმა ანსამბლმა 1945 წელს და მეთხვდი საუკუნის მანძილზე ტრიუმფით მოიარა მთელი მსოფლიო.

სწორედ ანსამბლის 25 წლისთავზე მიიღეს ქართველმა ვეითხველებმა ქართლოს კასრბის თითქმის ხუთასგვერდიანი წიგნი „ტრეუმფით მსოფლიოს გზებზე“ (გამომცემლობა „ხელოვნება“, 1971 წ., რედაქტორი გ. ნატროშვილი, მხატვარი თ. სამსონაძე), რომელიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული, აკადემიური ანსამბლის მატანხედ.

სუხიშვილ-რამიშვილის სახელოვანტემულ ანსამბლზე ბევრი დაწერილა და თქმულა. იმდენად ბევრი, რომ თითქმის წარმოუდგენელიც კია მის შესახებ ახალი ცნობების მოწოდება. მიუხედავად ამისა, ქართული ესტრადისა და კინოს მსახიობმა, ოუმორისტმა და ჟურნალისტმა ქართლოს კასრბემ მოძებნა საინტერესო მხატვრული საშუალებ-





ბები იმისათვის, რომ ვრცლად, ყოვლისმომცველად წარმოვადგინო ანსამბლის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება მისი დარასტრუქტურებული მუხრანისა და იუბილედურ წიგნ-დაწერილის თხრობითი მიმზღველობის, სათავგადასავლო რომანის სიმსუბუქით, მაგრამ, ამავე დროს მკვლევარისათვის დამახასიათებელი მეცნიერული სისუბტით. იგი შეუნტელელო ინტერესით იციხებდა და არწმუნებდა მეათვის, რომ მის ავტორს მუდამ მდიდრო კავშირი ჰქონია ამ ანსამბლის ცხოვრებასთან. დიდი შრომა გაუწევია ქ. კასრაძეს თითოეული კონცერტისათვის საგაზეო თუ საკურნალო სტატეგიის, წიგნების, რეცეპტების, გამოძახებულების, ან ზეპირი გამოხატულებების შედგენვის, წაკითხვის, დამუშავებისა და სისტემაში მოყვანისათვის, ისეც მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. ამასთან, იმავე მასალების თუნდაც მეიოროდენი ნაწილის შეტანაც კი წიგნში მათი აბსოლუტური იდენტურობის გამო (ყველაზე აღფრთოვანება გამოხატული), თითოეულ გასტროლზე ცალკე საუბარი ავტორს აშკარად აყენებდა ერთგვარი მონოტონობის საშიშროების წინაშე. და ეს ზოგან ტყუობა კიდევ წიგნს, მაგრამ, საერთო ჯამში, ქ. კასრაძემ თავი დააღწია ერთფეროვნებას, ვინაიდან მისი მოქმედების სფერო ერთი ფართი იყო. მას, რასაკვირველია, ძირითადად უნდა მიეთხოვა ანსამბლის ხელმძღვანელებისა და წევრების, ჭეშმარიტი ხელოვნების — ქართულ ქორეოგრაფიაში მიმწეწელოვანი ეტაპის შესახებ, მაგრამ ავტორი ამით არ დაკმაყოფილდა. ვერწოდებულნი დიდიროდეს გადახვევები მის სახით, ქ. კასრაძემ დიდეს ცოდნითა და ტაქტიკით წარმოვადგინა საესტრუქტორო ქვეყნების არა მარტო ხელოვნება, არამედ ისტორია, კოსმოპოია, გეოგრაფია, პოლიტიკა, კულტურა, ენა, საბორტ... საკმაოდ გაბოზსხველად დაგვიხატა ამავე ქვეყნების გამოჩინული ხელოვანთა, სახელმწიფო მოღვაწეთა, უბრალო ხალხის ცხოვრება. და ყოველივე ეს ორგანიზალად უკავშირდა ანსამბლის ცხოველი მახისციების უკეთ აღქმას, მისი ტრეოფის სახიფათო ჩვენებას.

თავისთავად ცხადია, მეტად ძნელი იყო ამის გაკეთება, რადგან საქართველოს (და თურქე მსოფლიოსაც) არასოდეს ყოფილა ისეთი ბრწყინვალე ქორეოგრაფიული კოლექტივი, როგორცაა საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული, აკადემიური ანსამბლი, რომელმაც ფეხის წევრებს შეთარაშა სამყაროს ხუთივე კონტინენტში, მისი სამასზე მეტი ქალაქი, უშუალოდ წარუდგა ოც მილიონზე მეტყურებულს (ტელევიზიით ერთ მილიარდზე მეტს), ჩაატარა ორი ათასზე მეტი კონცერტი და ყველაზე თან სდევდა ტრეოფში, სენსაციი, ყვაივლების ზღვა, აღტაცება. ხალხი ყველაზე გაოცებული და გაოგნებული იყო.

წიგნის პირველი თავი („ავტორისაგან“), რომელშიც მოთხრობილია მსოფლიოს მერვე საოცრებაზე — ქართულ ცეკვაზე, მხოლოდ წინასიტყვაობა რიგია, არამედ მშვენიერი გამოხატულება და თავიდანვე გვარწმუნებს მისი ავტორის ფართო ერუდიციამ. მას ღრმად შეუწავლია ხელოვნების ეს დარგი.

სარეცენზიო წიგნში, ხელოვნების მშვენიერების გარკვევის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ქორეოგრაფიული ხელოვნების, კერძოდ კი ქართული ცეკვის ეს-ეთეტიკა, რომელმაც თავისი უმაღლესი გამოხატულება პირველ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულს, აკადემიური ანსამბლის სახით, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ისტორიის რეალურ დადასტურებას. აქ ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს თვით ანსამბლის მიერ გახვეული შემოქმედებითი გზის სახელოვანი ისტორია და მისაყვ ცეკვების ასახული ქართული ხალხის ტრეოფული ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ანსამბლის არსებობის თხემეტიკა წლის თავზე სწორედ ამ ორი ისტო-

რიის განუყოფელი კავშირის შესახებ მოგვითხრობდნენ, მხოლოდ ხილმძღვანელები ილიკო სუბიშვილი და ნინო...

„ანსამბლის შექმნის აზრი დაგვებადა ვერ კიდევ 1935 წელს. ლობღონის ხალხური ცეკვის მსოფლიო ფესტივალზე ქართულ მოცეკვავეთა წარმატებამ, ამ დღესასწაულზე სხვადასხვა ქვეყნის ცეკვების უდიდესმა მრავალფეროვნებას მიდგნა და გავივტაცა, რომ გადავწყვიტოთ შევექმნა ქართული ცეკვის ანსამბლი...“

განაღდა ერთსულოვანი მუშაობა, რამაც გავივტელა სინდელთა დაღვრა. ჩვენ მიზნად დავისახეთ არა მარტო გადავებებან სცენაზე ხალხში გავრცელებული ცეკვები, არამედ მივიწყებულოც, ამასთან ხალხურ საფუძველზე შევექმნა ახალი ცეკვები. შევადგეით ფოლკლორის ღრმა შესწავლას, დადიოდით მსატრეული თვითმოქმედების ოლიმპიადებზე; პარალელურად ვემბედიით შემსრულებების მომავალი კოლექტივისათვის. კარგად გვეხსოვდა, რომ სცენის განწინით ამ შეიღებულ ხალხური ცეკვების გადატანა სცენაზე ხელუხლებლად; დამდგმელისაგან ისინი მიითხოვდნენ ფოლკლორულ მასალას და რეჟისორულ დამუშავებას შორის პარინიის მონახვის უნარს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სცენაზე საწინებელი ცეკვების თეატრალიზება საჭირო...“<sup>1</sup>

ასეც მიხდა, და ქართული კასრაძის მთელი წიგნი იმაზე მეტყველებს, რომ მშობლიური ხალხის წიაღიდან აღმოცენებული ქართული ცეკვები ი. სუბიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით მართლაც თეატრალიზებულ, კლასიკური ბალების სიმპლემდე აყვანილი ხელოვნებად მოკვლინა მსოფლიოს. თავის მხრივ, ეს ხელოვნება ქართული ხალხის ესთეტიკური მრწამსის თავისუფლო ისტორიაა. უცხოური პრესის ერთი გამომხატურებისა არ იყოს, ვინც ამ ხელოვნებას ეცნობა, ისეთი შიანგვილიება რჩება, თითქოს „ბუნება და ისტორია შეთანხმებულან, რომ საქართველო პოეზიის ქვეყნად ექციათ; ათინატელონი მწერგალები, უსიერო ტყვენი, მზემინეული ველ-მინდორნი, კამკამა ნაკადულები კვილიმზოვანებას აღრქევენ ირგვლივ და პოეტურ ფიქრებს იწვევენ დაღამინა. საუკუნეთა მანძილზე იცავდა საქართველო ამ მშვენიერებას უცხოელ დამპყრობთაგან და ამ უცხოეთს ბრძოლაში იწოთობდა ყოვლისმომცველი ვაჟკაციური მამულიშობლობა. ამ ვაჟკაციობამ კი თავისი ასახვა პირველ ხალხურ ლექსებსა და ბალადებში, სიმღერებსა და ცეკვებში“.

აი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ესთეტიკის გასაღები. ჩვენი ეპოქის ხალხური ცეკვების უმაღლესი ფორმები შეიძლება მართლაც მშვენიერებითად გამოძიწინარებონ პირველყოფილი ცეკვების პრიმიტიული ფორმებიდან, მაგრამ რამდენი საუკუნე, ნიჭი და ენერჯია დასაქორავდა იმს, რომ შექმნილიყო ხალხისათვის აბსოლუტური ქორეოგრაფიის უკასიკური ხელოვნება. ქართული ცეკვამ თავისი შინაარსობრივი სიღრმითა და დახვეწილი ფორმით დიდი ხანია უკავიყო ყველა დასავლელი გროსიენისა და ზორგაფების მტკიცებანი იმის შესახებ, თითქოს ყოველი ხალხური ცეკვის საფუძველზე გარე სამყაროსადმი ბრძმა, სტაქიური მიებაჟა წარმოდგენებს. თვით ისტორიამ ცხადყო, რომ მსოფლიოს მოწინავე ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან ერთად ქართული ცეკვაჟ თავისი უძველესი პერიოდთანვე ექვემდებარება ცნობილ საზოგადოებრივ

<sup>1</sup> საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, 15 წელი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, თბილისი, 1961 წ., გვ. 4-5.



მიზნებს. მშვენიერი ბუნება, მშვენიერი გარე სამყარო მისთვის მხოლოდ საშუალებაა ამ მიზნების განსაკუთრებად.

ქ. კარაიშვილის წიგნი ვარკვეულ წარმოდგენას იძლევა სწორედ იმის შესახებაც, რომ ესთეტიკას, როგორც მეცნიერებას, ქართული ციკლების სახით განუსაზღვრელი მასალა გააჩნია მშვენიერების შესახებთან. თითოეული ციკვა თავადაა დამადასტურებელი იმისა, თუ ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებში აღძრული მშვენიერების განცდა რა დიდად განსხვავდება მხოლოდ სტიქურ-უტოპიკურულ მოთხრობებზე დამყარებული ბიოლოგიური სიამოვნებისაგან. ადამიანთა სულიერი გამდიდრება-ამაღლებინა წარადგინა ქვეყნული შინაარსი და ფორმა, თავისი მომხილველი ერთიანობით, მშვენიერების ესთეტიკურ კატეგორიაზე ამაღლებულა და ამაშია მისი უდიდესი სარგებლობისა. ქორეოგრაფიული ხელოვნება ამ შემთხვევაში, როგორც ესთეტიკური საგნის იმიტირები ბუნება, ამისაველი ხდება სწორი ესთეტიკური განცდისათვის. ადამიანი, როგორც კონსტრუქტუ-ისტორიული, პრაქტიკულ-მოქმედი არსება, ანსამბლის ხელოვნებაში ჭეშმარიტებას, სიკეთესა და მშვენიერებას მათი გაიგივებით კი არა, არამედ ერთიანობის საფუძველზე აღიქვამს. ვ. წ. „ესთეტიკური ტრიადის“ ეს სამივე წევრი მისთვის ადვილად მისაწვდომი ხდება. ამგვარად, ქართული ციკვის ერთგული, ხალხური ბუნება ინტენსივობაშია ფართო გაგებას ექვემდებარება და, თავისი ღრმა პუნაქური საფუძვლებით, ადამიანის გამაქეთილშობილებელ სულიერ ძვრებს ემსახურება.

ამიტომ, არავითარ გადაჭარბებას არა უნდა ადვილი, როცა ქართლის კაცაძე ქართული ციკვის შესახებ ამბობს: „ამ თავისებურ სულიერ ფენომენს — მსოფლიოს ყველა ციკვას შორის, უდიდესი მნიშვნელობა ახლავს, რაოდენ წესი, უცნაური ჯაღი-თილისიმიტი ატყვევებს მაყურებელს, უღივიბს მათ სიხარულს, აღტკვევს, სუფლავს, სამიჯნური გზებისა. ერთიანად მოქმედებს როგორც დაბალი განვითარების ადამიანზე, ისე მაღალკულტურულ დონეზე მგვარ, ციცილიზებული მაყურებელზე“ (1). ცხადია, ყოველივე ამაში დამდგმელბითან ერთად თვით მოცუვავევებას უიოვსი მნიშვნელობა ენიჭებათ. მათი ემოციური ძალა, მუსიკალიზა, პლასტიკურობა, ვირტუოზულობა, სინატივე უთუოდ აღაფრთოვანებდა ქართული თეატრის რეფორმატორებს კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო აბმეტელს, რომელმაც, თეატრალური ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, ქართული ციკვა ერის ესთეტიკური ზრდა-განვითარების უმაღლეს ფორმად მიანდათ. ს. აბმეტელი ხომ ხშირად მიმართავდა ციკვას, როგორც ქართული ტიპის, სპეციფიკური ერთგული ფსიქოლოგის, ფილოსოფიურ-პოეტური აზრის, ინტელექტისა და გრძნობის, ზოგადასაკითხი ერთი იდეალის შესახებმდე გამოსატყულებას. აქი თავის დროზე გულისტკივილითაც აღნიშნავდა, რომ „ქართულმა სცენამ ვერ შესძლო ქართული ადამიანის სხეულის მოძრაობის შესწავლა, ამ მოძრაობის ძირითადი რიტმის განხილვა-გამოცნობა და ქართული ელფერი თოცული პლასტიკის შემქნა სცენაზე. მერე ეს მონდა ჩვენში, საქართველოში, სადაც ქართულ კაცზე ლამაზ მოსიარულეს, ბუნებრივი პროპორციებით შემკულ მოძრაობის მქონეს ჯერ-ჯერობით ბადელი არ ჰყავს დედამიწის ზურგზე, ქართული დადის დასაწყობოდ, ფეხს სდგამს გაბედულად, და არა ჩლუნვად, მოწებულად... მივილი კორუსტა გადააქვს თავისუფლად, სწორად, ოდნავის რხევით...“ (2) თითქოს აბმეტელს ამ მითითებით უსარგებლბა ანსამბლის მივლ შემადგენლობას.

დიდი რეგისორის ოცნების განსხორციელება სწორედ მანში შესძლო. ანსამბლის დამდგმელ რეგისორს დიმიტრი ალექსიძესაც უდმედევენი გაუთვალისწინებია ყოველივე ეს. აქი მსოფლიომაც ერისულოვნად აღიარა, რომ ქართული ციკვა მართ, ფეხებით ჯაღდქობდა“ როდია, რომ იგი ამადლებული და რელიგეფურია, სრულყოფილი ქორეოგრაფული ფორმადაც აყვებით, სადაც „პროფილის მოძრაობა ბუნებრივად ესთეტიკურ კანონებს უმორჩილებს, ღერწმინებით ახთანია ქართველის მოძრაობა წმინდა რიტმული მუსიკა“ (აბმეტელი).

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ თუნდაც ციკვა „ქართული“. რაოდენ გვეგაზომიერი მოძრაობა, ქარბონული აზრი და პლასტიკა გააჩნია მას. მაგრამ უპირველესად იმის შესახებ, რომ ანსამბლმა სამართლიანად დაუბრუნა ამ ციკვას თავისი კუთვნილი სახელწოდება. დიდი ხნის განმავლობაში რატომაც მას „ლექსური“ ერქვა. ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ ილია ზურაბიშვილმა ჯერ კიდევ თავის წიგნში „ხალხის შემოქმედი გენია“ შესანიშნავად დაადასტურა, რომ ამ ციკვას არაფერი აქვს საერთო ლექსურთან, რომ იგი წმინდა ქართული ერთგული წარმოებისაა. სხემეულ წიგნში ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ საერთოდ ძნელია ისეთი ციკვის დასახელება, რომლის ნებ-თით თუ უნებლიე გამოახილასაც სხვადასხვა ერის ამა თუ იმ ციკვასი არ გამოიცნობდნ. მართლაცდა, „პოლონისში“ მსგავს განსახიერებას ხვედრით სჯავრს „შამარისში“, ბგერა რაიმე უკრიანულ „ოთავას“ მოგვაგონებს ჩვენი თბილისური „ბაღდადური“, მაგრამ ევევი არ არის — თითოეული ეს ციკვა თავისუფლად და ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა ისევე, როგორც ერთმანეთი ხალხის შიგნით პოლონური „კრაკოვიასი“ და სკანდინავიის ხალხის ერთ-ერთი ციკვა, იმავე პოლონელების „მასურკა“ და უნერული „ჩარადში“ და ა. შ. ხშირად თანამგებნი ციკვერული თავისუფლად და დამოუკიდებლად წარმოიქმნებიან ხოლმე ისევე, როგორც მთარული სიუჟეტის მქონე ზღაპარი, ლექვინა თუ თქმულება სხვადასხვა შორეულ ხალხში.

ამიტომაც, ციკვა „ქართული“ (ქართველებისა და ლეკების ტერიტორიალური სიხალგის მიუხედავად) სრულად განსხვავდება თავისი შინაარსით ლეკების ციკვებისაგან. ჯერ ერთი, ლეკების ამ ციკვას ორი ვაჟი ასრულებს, „ქართულიში“ კი — ქალ-ვაჟი. მეორეც, ლეკების ციკვა თავი-და-ბოლოდ მხოლოდ ფეხის გასმბა, მასში ყველაფერი ფეხის ტემპივის სრულყოფაა. ციკვა „ქართულიში“ კი ფეხის ტემპიკა მხოლოდ მშინარე საშუალებად თავისი პოეტური და გააწრებელი დანაშინა განსახორციელებლად. მისი შინაარსი ქალ-ვაჟის ამადლებული სიყვარულის გამომხატველი ლამაზი, მონდინილი სწრაფავა. იგი ძიმნია რაინდული შემართებისა. მის მკაფიო სიუჟეტის ხასს გააჩნია თავისი ექსპოზიცია, კვანძი, განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა და დასასრული, რომლის დიდაა ზრია, როგორც ე. ზურაბიშვილი შენიშნავს, „სიყვარული ავგამაღლებს“. აქ ქალური კვლამოსილება და ვაჟკაცის ციკვებელი ენება საცავარ თანხმობაშია. ტრფობით ფრთა-შესხმული ვაჟის ლტოლვა ქალისაყენ, ქალის დამატყვევებელი სიკვლეუცმ, კვლამოსილება პოეტური ელფერით მოსავეს სახის მუტყველობას, სხეულის პლასტიკურობითა და ვაჟკაცის რეაქციით საყენ მოძრაობას. როგორც შემსრულებელს, ისე მათ მზახვლებლაც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას გერის ამადლებული სიყვარულის ეს ღუმეტი, ყოველთვის კეთილშობილური მოგრალობის გამომხატველი რიტმული მოძრაობები, ნარანარი სვლა და სხეულის სკულპტურულად. მართლაც რომ ძნელია სიტყვებით „ქართულის“ მთელი სიმშვენიერის გადმოცემა. იგი ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების კანონიერი სიამაყეა. იამზე დოლაბერიძისა და

2 აღქმანდრე აბმეტელი, წერილები, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1964 წ., გვ. 60.



ფრიდონ სულაბერიძის ვირტუოზული შესრულებითაც ამ ცეკვას ღირსეულად დაუბრუნდა ის პოეზია, რაც მას ხალხმა უხსოვარი დროიდან დანახოდა. და ასეთი სახოვანია განა მარტო „ქართული“? თავისი მომხიბვლელობა გაანინა ყოველ ცეკვას. გაასრულელი, უწყობი მოძრაობებით, ფესტიკულაციით, მიმიკით, განხვევებით, სახეთა კონტრასტული ხასიათდებითაა ქორეოგრაფიული კომპოზიციები: „ქართული სუიტა“, „მუსამბანი“, „საკოლმურეური ცეკვა“, „საქვეაო ტერიულები“ — „ორი მონადირე“, „რა ღამაში ხარ, ქალაუ“, „ყარაზოხელი“, „წყაროსთან“, ცეკვები — „სამაია“, „ხორბული“, „შეჯიბრი“, „პანტომიმური ცეკვა-პაროდია“, „ლელო“... და საერთოდ, არ არის ცეკვა, რომელსაც მხატვრული სახეებით არ იყოს გადმოცემული რეალური ხალხის გრძობები და აზრები. ქართული ქორეოგრაფია ასრულებს განსხვავებულ სექტორებში მოვლვობა მსოფლიოს სამკაცლით დადებით, მუსიკალური და მხატვრული გაფორმებით, საშემსრულებლო ტექნიკით.

უცხოელებმა შესძლეს ღრმად გაეცნოთ და მიმოიხილათ მთელი ვერობა და დანახათ „აღმოსავლეთიც, თავისი ვაღმურეობელი, ზღაბრული ფერადლებით“. სწორედ ქართულმა ცეკვებმა შესძლეს თავიანთი საქმისაგან მოედინათ ისეთი „გულცივი და კონსერვატორული ხალხი, რეორიცი ინტელისის არისტოკრატია“, „სრულიად გასლები მიმიქ და ყინულოვანი ფინეთი“, სწორედ ქართულმა ცეკვებმა ათქმულა პარიზულეს: „ქართული ანსამბლის კონცერტი“ — ეს არის ჩვენი ეპოქის დელსაწული, ფოლკლორის უდიდესი გამარჯვება მარიონეტებისა და „ჩა-ჩა-ჩა-ს“ ცეკვებსა...“ მილანის სანტა-მარია დელა გრაციას უმწვენიერეს ტაბარში მიტარაოსილო ღვთის მსახურსაც კი ვერ დაუფრავს: „თქვენი ცეკვები ისეთი ამაღლებული, სანეტარო და წმინდა, რომ შეიძლება ვატყავთ, რომის პაპთანაც იცეკვოთ“. ერთი სიტყვით, ანსამბლის საქმერად აღიარება ყველა დადებითი ეპითეტი მსოფლიოს მრავალ ენაზე.

ქართლოს კასრადის წიგნში ყოველივე ეს დამაჯერებლად და დემოკრატიულად აღწერილი და ამაშია თვით ამ წიგნის ესთეტიკური ღირებულებაც.

აგორი წიგნის პირველ თავებში მოგვითხრობს ილიკო სუხიშვილის ბავშვობაზე, იმაზე, თუ მეჯვრისხეველმა ბიჭუნამ როგორ შედგა ფეხი დიდი ხელოვნების პირველ საფეხურზე, როგორ ამაღლდა კიბე-კიბე აღმა საარტულით და როგორ გაუთქვა სახელი ქართულ ცეკვას მიუღს მსოფლიოში. ქ. კასრამე ლირიკულ ფერებში გვიხატავს წინოსა და ილიკოს პირველ შეხვედრებს, მათს ერთობელს მონაწილეობას ახალფსავდემლო ქართულ ბალეტში (რაც ნაწილობრივადაც ცნობილია ფართო მკითხველისათვის), პირველ გამარჯვებებს, ანსამბლის შექმნის ისტორიას, დაუღალავ შრომასა და გამარჯვებათა უწყვეტი ნაკადით მოპოვებულ უდიდეს სიამოვნებას.

ქ. კასრადის ამ ფუნდამენტურ ნაშრომში ყურადღების იქცევა მახვილი პოლიტიკური აღღო. კერძოდ, იმ ტემპარიტების ნათლად ჩვენება, რომ კულტურული კონტაქტები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან ახლოობებს აღიამენებს, ერთმანეთისაგან სამშვიდობოდ განაწილებს მათ. ეს მისიაც ბრწყინვალედ შეასრულა ანსამბლმა, რომელმაც ვაკაცილოზობილა საბჭოთა ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი კლასები თუ წრეები. და ხელოვნების უდიდესი მიზანიც ეს არის.

როდელი (1969 წელს) ანსამბლმა მიუნხენში პირველი კონცერტიდან შემოსული მილანი თანხა დაგრძობილ. ბუნებით სწეულ ბავშვთათვის გაიღო, დასავლეთ გერმანიის ხალხთა აღტაცებას სასურველი არ ჰქონდა. „ქალა-

ქის მოსახლეობა მოაწყდა, რათა ენახათ ეს კეთილი-ღამის ანები, — წერს ქ. კასრადი, — თვალყურმობანი ქალები და მამაკაცები მაღლობს უხდიდნენ მოვეცავებებს... და უმხრად გვიტყობენ:

— გვიტყობთ, რატომაა, რომ ამდენი ხნის განსავლო-ბაში საბჭოთა ადამიანები ასე ცუდად გვემცეოდნენ, ჩვენ, გერმანელები?!

მსიხობების სახტად დარჩნენ:

— ეინ ამბობს, ეისი კალამი წერის ამას?..

...პირიქით, საბჭოთა კავშირი მისწრაფვის, რათა დასავლეთ გერმანიამ — გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მშვიდობის და მეგობრობის გზა გაიზნახოს მასთან ერთად...

ურწმუნოების ბურუსი იფანტება...“

ბევრ ქვეყანაში სწორედ ქართული ანსამბლით გაიცნეს საქართველო, მისი ხელოვნება და სრულიად სხვა წირომდგენა შექმნილ საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე. ამერიკულ გავითი „კრისინ საიანს მონიტორი“ წერილის სათაურზე აღნიშნავდა ანსამბლის სოლიტ რუსულენ ენუტიტზე, რომელიც ტელევიზიით გამეორდა ინგლისურ ენაზე: „ღამაში საბჭოთა ქალიშვილი ნამსხვრევებად აქცევს ჩვენს წარმოდგენას საბჭოთა მშრომელი ქალის შესახებ“. ახალ ხელოვნაში საბჭოთა კონცერტის გამო გაზეთი „ნიუ ზილენდ ჰერალდი“ წერდა: „ამ საღამომ დაამტკიცა, რომ ხელოვნება არღვევს ყოველგვარ საერთაშორისო ბარიერს“. ბელგიელებმა ასე მიმართეს ქართულ მოცეკვავეებს: „ადამიანებს ერთმანეთთან ტყვიად და სიკვდილი კი არ უნდა მიჰქონდეთ, არამედ პური და სილამაზე. თქვენი ქვეყანა ყველას მაგალითის აძლავს ამ მხრივ“. და ასე დაჯერულელები. ამით კიდევ ერთხელ გავსვა ხაზი იმას, რომ ხელოვნება არის ადამიანთა გაერთიანების ერთ-ერთი მშლავრი საშუალება.

წიგნში ფართო ადგილი აქვს დათმობილი ანსამბლის მხადგენას მსოფლიოს გზებზე გასავლელად, იმ დაუღალავ შრომას, რომელმაც მისი თითოეული წევრი ვირტუოზულ შესრულებლად აქცია, ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის გადმოსრულ გამოტოვებულობას, რომლის შედეგადაც კონცერტების სანახაობითი მხარე ხელოვნების უმაღლეს დონეზე ავიდა. ყოველივე ამის დამაჯერებლად და საქმის კიდებით გადმოცემის შემდეგ იმისთვის სრულებითაც არ ღლის ტუქების ცალკეებით ერთმანეთის მსგავსი უცხოელების აღტაცებულ ნათქვამთა ხშირი ციტირება. თუნდაც ორი ისეთის, პოლიულდში გამოსვლამდე და მის შემდეგ რომ წერდა კონცერტის და იგივე გაზეთი „დემ-შინ რეჯისტრი“:

„ეინცერთამდე: „ამ შტატის მოქალაქეთი თეთლებიან გულცივი, თავშეკავებულ ხალხად, რომლებიც არ ამქლავებენ თავიანთ გრძობობებს. ყველამ იცის, რომ ამ ქალაქის მცხოვრებლები უბრალო თავის დაწვევით გამოსატყვენ ყველაზე ღიად ადფრთოვანებას. ნელი, დარბასილური, ჩუნი ტაშით ვეგებებიან ისინი აღმფრთოვანებულ სანახაობას...“

კონცერტის შემდეგ: „არასოდეს არავის არ სმენია ამ დარბასში ისეთი გუნდები და გრიალი. არასოდეს, არასოდეს დემ-შინის აუდიტორიას არ უბრავეუნებია ფეხები. არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ წამომხვარა საზოგადოება ფეხზე თავისი სავარდლებიდან... გუნდებში დემდე!... აუდიტორია შერყავ, როცა ქართველი გოგონები გა-მოცურდნენ სცენაზე.“

ბოლოს მაყურებლები აივანზე და სრულიად დაკარგეს კონცერტლი საკუთარი თვისადმი, როდესაც დაიწყო მამაკაცთა მხედრული ცეკვები...“

შეუძლებელია, აუღლებლად წაიკითხო ეს და სხვა





მსგავსი სიტყვები და მადლიერების გრძობით არ განიმსჯელო ადრესატებისადმი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართულ საბჭოთურ ხელოვნებას.

წიგნის შესავალში მწერალმა და კრიტიკოსმა გ. ნატროშვილმა ამომწურავი, დადებითი შეფასება მისცა ქ. კასრას ნაშრომს, რომელსაც უთუოდ უნდა დავუბრუნდეთ მიუხედავად ამისა, გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც. აქა-იქ შეიმჩნევა ფაქტობრივი უზუსტობანი. მართალია, ავტორი გზადაგზა მოკლედ მოგვითხრობს ანსამბლის წევრებზე, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ ანსამბლის წამყვან სოლისტებს, მუსიკოსებსა თუ სხვა მუსიკებს ცალკე თავები მიეძღვნებოდა (თუნდაც იმ სასაიმოფო, მაგრამ ერთფეროვანი ციტატების ხარჯზე, რომლებსაც ხშირად ვაწყდებით). მსოფლიოს შორეულ ქვეყნებში „მეჯვრისხევის მთვარის“ რეჟერენული განსენება ძალზე კოლორიტულია, მაგრამ იგი-რეს ვერ ვიტყვიეთ ამიეროვრული ხასიათის ერთფეროვრულ დაბოლოებებზე ქვეთავებში — „ნახავდის“, „მშვიდ-

ბით“, „შეხვედრამდე“ (ბულგარეთო, ინგლისო და ს. შ.) თუ მათი დაწერა აუცილებელი იყო, ჯობდა იმავე ქვეყნის ენაზე. მსატკარს მშვენიერად გაუფორმებია წიგნი, სამაგიეროდ, ილუსტრაციისათვის დამზადებული კლიშეები არ არის მალაღობარისხოვანი. წიგნი ლალი ქართულითაა დაწერილი, მაგრამ აქა-იქ მაინც გაპარულა ენობრივ-სტილისტური ლაფსუსები.

დაახ, ბევრი თქმულა და დაწერილა ამ სახელოვან ანსამბლზე, მაგრამ ქ. კასრასის ეს წიგნი გვირგვინია აქამდე მონათხრობ-დაბეჭდილობისა.

ინდოლისი გასული „ფრი-პრეს ჯორ ნელი“ წერდა ქართველ მოცეკვავეებზე: „და თუ ვინმე, ვისაც აქვს თვალები, რომ ხედავდეს, ყურები, რომ ესმოდეს, არ დაესწრება ამ წარმოდგენას, იგი ბევრს დაკარგავს“. ჩვენ დავამატებთ: ვინც ამ წიგნს არ წაიკითხავს, უთუოდ ისიც ბევრს დაკარგავს.

1934 წლის 20 სექტემბერს, რუსთაველის თეატრში მორიგ პრემიერად მიდიდოდა — გ. მატერაშვილის „დუშმანი“. ერთ-ერთ მთავარ როლს — მეწისქვილე ბერუს ასრუ-

ნ. პოლოდინის „თოფიანი კაცია“. დ. ხუციშვილი — ქარისკაცი შადრინი.



ლებდა ამავე თეატრის სტუდიის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა მსახიობი დავით ხუციშვილი.

სექტატკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. წარმოდგენის შემდეგ თეატრის ხელმძღვანელი, გამოჩენილი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელის სცენაზე ავიდა, მიესალმა ახალგაზრდა მსახიობს და წარმატება უსურვა.

— ბარბატა, დათუნი! კარგი იყავ... თუ ასე განაგრძობ მუშაობას, შენგან კარგი მსახიობი გამოვა.

დიდმა რეჟისორმა ასე დაულოცა მემოქმედებითი გზა პროფესიული თეატრის სცენაზე ახალ ფესადგმულ მსახიობს.

სანდრო ახმეტელის ეს გამამხნევებელი სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა გულში, — იფორებს დ. ხუციშვილი, — და შემდეგ უვცდილობდი მათ გამართობას.

ასეთმა გულთბილმა დამოკიდებულებამ ახალგაზრდა მსახიობი ამავე დროს ჩააფიქრა იმაზე, თუ მომავალში როგორი პასუხისმგებლობით უნდა მოვიდებოდა ხელოვანისათვის ამ მიმომ და საპატიო ამოცანის შესრულებას. დავითი ხომ იმაზე ოცნებობდა, რომ პროფესიული მსახიობი გამბდარიყო! ამის საშუალება კი უკ-

ვე მიეცა. ამიერიდან მასზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ წარმართავდა საკუთარ შემოქმედებით მუშაობას.

დ. ხუციშვილიმა თეატრი პატარაობიდანვე შეიყვარა; ჯერ კიდევ ამბროლაურის 7-წლიან სკოლაში სწავლისას იგი აქტიურად მონაწილეობდა სკოლის თვითმოქმედი დრამატული წრის წარმოდგენებში, რომელიც წარმატებით იმართებოდა როგორც სკოლაში, ისე ახლომხლო სოფლებში.

1925 წლიდან დ. ხუციშვილი თბილისში ჩამოდის და სამრწველო ეკონომიურ ტექნიკუმში აგრძელებს სწავლას. ტექნიკუმში დრამატული წრე არ იყო, ამიტომ მან მიხ. კახიანის სახელობის ქართულ მუშათა ფაკულტეტის დრამატულ წრეს მიაშურა, რომელსაც იმხანად პიერ კობახიძე ხელმძღვანელობდა. დ. ხუციშვილიმა ამ წრეში პირველად განასახიერა გეგმეკორი შ. დადიანის პიესაში „გამამჭორი“, შემდეგ კი ერთ-ერთი მთავარი როლი ი. კვციანი პიესაში „№ 21 ჯვრით“. დავითმა ეს როლი შესანიშნავად შესასრულა.

1928 წელს, სამრწველო ეკონომიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, დ. ხუციშვილი თბილისის სა-

# ქართლი უეპოქედი



დავით ხუციშვილი.

ნიკო კეკელიძე

ხელშეწილი უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა, მაგრამ მუდამ ოცნებობდა პროფესიულ თეატრზე. მალე ეს ოცნებაც აუსრულდა. იმავე კ. კობახიძის რჩევით და ხუციშვილი რუსთაველის თეატრის სტუდიის მსმენელი ხდება. სტუდიაში მისი მასწავლებლები და აღმზრდელები იყვნენ თეთი თეატრის ხელმძღვანელი ს. ახმეტელი, აკ. ვასაძე, შ. აღსაბაძე, გ. საჩინოელიძე და სხვები.

სტუდიის დამთავრებისთანავე და ხუციშვილი რუსთაველის სახელობის თეატრში ჩაირიცხეს მსახიობად. ასე შეუხსრულდა დავითს დიდი ხნის ოცნება — იგი პროფესიული თეატრის მსახიობი გახდა. ეს სწორედ ის პერიოდი, როცა და ხუციშვილი სპექტაკლ „დუმმანიში“ პირველად გამოვიდა მეწისქვილე ბერუს როლში და სანდრო ამბეტელმა გზა დაუღოცა.

შემდეგ და ხუციშვილს ს. შანშიაშვილის „არსენაში“ ონისე ბაბას როლი დაკარგეს. შილერის „ყაჩაღებში“ — სტუდენტის, შვეიცარიის, გერმანიისა და დანიელის როლები და მრავალი სხვა. რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის 35 წლის მანძილზე და ხუციშვილის შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანი-

შნავია: იაგორი (გ. მიდინის „სამშობლო“), ჯარისკაცი შჩადრინი (ნ. პოლოდინის „თოფიანი კაცი“), საბა ბერი და შემდეგ ანანია (ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“), გოგია დიაკვანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), ხომენკო (ვ. დარასელის „კიკიძე“), თედო გათენაშვილი (ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“), ფრიდონი (ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებული“), ბეჟან-ალა (ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“), ამბაკო (გრ. ბერძენიშვილის „ლერწამი ქარში“) და სხვა. და ხუციშვილის მიერ განსახიერებული სახეები ყოველთვის ხსიათდებოდა ღრმა აზრით, ძლიერი განცდით, სახოვანებითა და სიმართლით.

აი რას წერდა გაზეთ „კომუნისტში“ 1938 წელს ცნობილი კრიტიკოსი ბ. ჟღენტე, და ხუციშვილის მიერ გ. მიდინის „სამშობლოში“ მოხუცი იაგორის შესრულების გამო: „ოსტატობით ანსახიერებს მოხუცი იაგორის როლს მსახიობი და ხუციშვილი. მსახიობმა შესილთ შეეკმინა ის მძაფრი სულიერი დრამის გადმოცემი სახე, რომლითაც იაგორის როლი ხსიათდებოდა. ამ როლის შესრულებით და ხუციშვილი ფართო დიპლომატიისა და მძლავრი პოტენციის შემოქმედებით ძალად გვევლინება.“

და ხუციშვილის მიერ ოსტატობით გამოკვეთილი სცენური სახეები ყოველთვის მაღალ შეფასებას იწაბურებდა.

იმავგე „კომუნისტის“ 1938 წლის იანვარში რეცენზენტი ბიძინა აბულაძე წერდა: „პიესა „თოფიანი კაცის“ შთაფარი გმირის იგავე შჩადრინის როლი ძლიერ რთული და ძნელი დასაძლევია არა მარტო ქართველი მსახიობისათვის, არამედ შჩადრინის თანამგამულეთათვისაც. ამ შემთხვევაში და ხუციშვილს პროტოტიპი ქართულ სცენაზე არ ჰყოლია. მას უნდა ეთამაშა გლეხის როლი, ვ. ი. წარწოდგინა ისეთი გლეხი, რომლის შეგნება ძალზე დაბალია, მაგრამ მსოფლიო ომის საშინელებანი უღიძობენ მას შინაგან რწმენას მუშათა კლასის ბელადებისადმი... ზედმეტია იმის მტაცება, — დაასკვნის რეცენზენტი, — რომ მსახიობისათვის ეს ძნელი დასაძლევია როლი, მაგრამ და ხუციშვილმა ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადასჭრა. თამაშის პუნქტირობითა და უბრალოებით მან მიადგინა დიდ მხატვრულ სიმართლეს. ის მშვენიერად გადასცემს მაყურებელს შჩადრინის ხასიათის თანდათანობით ზრდას.“

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს და ხუციშვილის ნაშრომებს კრიტიკოსი ერ. ქარელიშვილი გაზეთ



„აკაკის აკვანი“. ლ. ხუციშვილი —  
ი. გოგებაშვილი

„ტირაფის ქვეშ“. ლ. ხუციშვილი —  
კოლმუხრანოვის თავდგომარე



„ლიტერატურა და ხელოვნების“  
1949 წლის 24 აპრილის ნომერში,  
სადაც იგი განიხილავს ილი მოსა-  
შვილის „ჩაძირულ ქვებს“. „შეგვიჩი-  
ერია დ. ხუციშვილი ბეჟან აღას რო-  
ლში. მას მოხუცი პატრიოტის დასა-  
ხატავად კარგად აქვს მონახული პლა-  
სტიკური საშუალებანი და ხმა. მსა-  
ხიობის თამაში ზომიერი და გამომე-  
ტყველია. ამ მოხუცის ლაპარაკსა და  
მოძრაობაში გრძნობთ როგორც ძა-  
ლას, ისე სიმართლეს. მსახიობის გა-  
მარჯვება იმაშია, რომ მან შეძლო მა-  
ყურებლის დაჯერებაც და მასში  
გულწრფელი თანაგრძნობის მოპოვე-  
ბაც.

დ. ხუციშვილს განსაკუთრებით  
ებერხება უბრალო, კეთილი და მარ-  
თალი ადამიანების დახატვა. ასეთე-  
ბი არიან მისი მეწიქცილე ბერუკა  
(„დუშმანი“), ამბაკო („ლერწაში ქა-  
რში“), დათუნია („სალტე“), ბეჟან  
აღა („ჩაძირული ქვები“), თედო  
გათუნაშვილი („კრწანისის გმირე-  
ბი“) და სხვ.

ასევე მაღალ შეფასებას აძლევს დ.  
ხუციშვილს ამავე როლის განსახი-  
რებისათვის ცნობილი რუსი მწერა-  
ლი პ. პავლენკო, რომელიც გახუთ  
„ზარია ვისტოკაში“ წერდა: „პიესის  
ფინალში, (ლაპარაკია საქმეტკალ  
„კრწანისის გმირებზე“ — 5. კ.) შე-  
სანიშნავად ანახიერებს მსახიობი  
დ. ხუციშვილი ფშაველ თედო გათე-  
ნაშვილს. ეს სცენა მეტისმეტად დრა-  
მატულია თავისი სიტუაციით და ამა-  
ვე დროს პოეტური...“

გარდა სცენაზე მოღვაწეობისა, დ.  
ხუციშვილი წარმატებით მონაწილე-  
ობდა აგრეთვე ქართულ კინოფილ-  
მებში. „პოეტის აკვანში“ მან შესა-  
რულა ცნობილი ქართველი პედაგო-  
გის იაკობ გოგებაშვილის როლი,  
„დიდ ოსტატში“ — ხევისბერი და  
სხვა მრავალი ეპიზოდური როლი.

დ. ხუციშვილი სარეჟისორო მუშა-  
ობასაც ეწევა მხატვრული თვითმოქ-  
მედების დარგში. იგი სხვადასხვა  
დროს ხელმძღვანელობდა ამბროლა-  
ურის, კასპის, თბილისის სასოფლო-  
სამეურნეო ინსტიტუტის, კავშირგაბ-

მულობისა და სარეწაო კავშირის უკ-  
ლტურის სახლეთთან არსებულ თეატრში  
მოქმედ თეატრალურ კულექტივებს,  
სადაც ათობით პიესა აქვს დადგმუ-  
ლი, მათ შორის: ს. შანშიაშვილის  
„ხევისბერი გონა“, შ. დადიანის „გე-  
დგეკორი“, ს. ლავრენიევის „რდევია“  
და სხვა.

ჯერ კიდევ რუკათაველის სახელო-  
ბის თეატრში ფონდსას და ხუციშვი-  
ლმა პირველმა შეადგინა მხატვრული  
საესტრადო ბრუნვა, შეეზიარა სა-  
ქართველოს თითქმის ყველა რაიონი  
და მრავალი წლის მანძილზე კულტუ-  
რულ მომსახურებას უწევდა რესპუბ-  
ლიკის მოსახლეობას. ამ დიდ შემოქ-  
მედებით მუშაობას დ. ხუციშვილი  
უნარიანად უთავსებდა საზოგადოებ-  
რივ მოღვაწეობასაც. იგი არაერთ-  
ხელ ყოფილა ქ. თბილისის მშრომე-  
ლთა დეპუტატების კალინინის რაი-  
საბჭოს დეპუტატი, რუსთაველის სა-  
ხელობის თეატრში სამხედრო-სამე-  
ფო კომისიის თავმჯდომარე, თეატ-  
რის ადგილობრივი თავმჯდომარე და  
პირველადი პარტორგანიზაციის ბი-  
უროს წევრი, კულტურის მუშაკთა  
პროფკავშირის რესპუბლიკური კო-  
მიტეტის გამგეობის წევრი და სხვ.

ქართული თეატრალური ხელოვნე-  
ბის განვითარებაში აქტიური მონაწი-  
ლეობისათვის და ამ დარგში ხანგრ-  
ძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი  
მუშაობისათვის, საქართველოს სსრ  
უმადღესი საბჭოს 1948 წლის 16  
ივლისის ბრძანებულებით დ. ხუცი-  
შვილს მინიჭებული აქვს საქართვე-  
ლოს დამსახურებული არტისტის სა-  
პატიო წოდება; იგი დაჯილდოებუ-  
ლია საპატიო ნიშნის ორდენით, მედ-  
ლით „შრომითი მამაცობისათვის“ და  
სივლეთით.

დ. ხუციშვილი დღესაც ენერგიუ-  
ლად ემსახურება მხატვრულ თეო-  
მოქმედებას. იგი წლების მანძილზე  
ხელმძღვანელობს საყოფაცხოვრებო  
მომსახურების მუშაკთა კულტურის  
სახლთან არსებულ თეატრალურ კო-  
ლექტივს, სადაც მეტად საინტერესო  
შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარე-  
ობს.





მიხეილ კავსაძის სახალხო მომღერალთა გუნდი.

ჩანგურს სიმები გავუბი,  
მოვმართე ნელა-ნელაო...  
ერთი მათგანიც რომ გავწყდეს,  
მაშინვე უნდა შეველაო...

აბაბი.

საქართველში ხალხურ სიმებიან საკრავთა შორის ჩონგური ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია. იგი ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრების განუყრელი თანამგზავრი იყო.

საბას თავის ლექსიკონში რატომღაც სახელი „ჩანგური“ შეტანილი არა აქვს. შესაძლოა საბას დროს ტერმინი — „ჩონგური“ ჯერ კიდევ არ არსებობდა, ან იმხანად აღნიშნული საკრავი სხვა სახელს ატარებდა. საბას დროს, ჩონგური რომ რელიუზრად უნდა არსებოდა, ამას მე-17 საუკუნის მისიონერ კასტელის ჩანახატი გვაფიქრებინებს, აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ჩონგური უნდა იყოს ფანდურის სახესხვაობა... ფანდური ძალებიან საკრავთაგან ერთი უძველესთაგანი ჩანს. იგი ყელიან-მუცლიან საკრავთა ჯგუფს მკუთვინის და თავდაპირველად მისი მუცელი,

# მ ე ნ ვ უ რ ი

დავით ალავეძე, ნიკო რეხვიაშვილი

რომელსაც რეზონატორის დანიშნულება აქვს, მუნებრივი ღრუს მქონე საგნისა იყო... ხისაგან გაკეთებული მუცელი მერმინდელ გაუმჯობესებას წარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყანაში ასეთ საკრავს სხვადასხვა სახელი

დაერქვა (უთითებს — Sach, Curt, Real-Lexicon der music instrumente, 88. 101).

იგი დასძენს — „ქართული ჩონგურიც ხომ ფანდურის სინონიმია? ეს ხომ იმ გარემოებითაც მტყიცდება,



რომ საქართველოს სხვადასხვა თემში ეს ორი სახელი ერთსა და იმავეს ანდა მეტად მსგავსს საკრავს ეწოდება.<sup>1</sup>

სახელოვანი მეცნიერი ამ შემთხვევაში გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს კომპოზიტორ დ. არაყიშვილის მიერ ფოთსა და მოსკოვის მუზეუმებში მიკვლეულ მუსიკალურ საკრავებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა მოსკოვის და მსკოვის ყოფილ ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მუსიკალური საკრავი, რომელსაც დ. არაყიშვილი ჩანგს უწოდებს, მართლაც ამ ტიპის ჩანგი დღემდე შემონახულია სვანეთში. მეორე მხრივ, ზემოაღნიშნული ჩანგი ყურადღებას იქცევს მასზე ამოჭრილი ქართული წარწერითა და ცხოველთა გამოსახულებით (ჯიხვი და ორი ცხენი). წარწერის ტექსტი ასეთია: „ესე ფანდური არს ფუკუნა ბეგვისი, ვინც მოიბაროს, მას რისხადეს მალღი

ღეთისა, ამინ“<sup>2</sup>. ამგვარად, წარწერა მოწმობს, რომ ჩანგს (დ. არაყიშვილი), პატრონი „ფანდურს“ უწოდებს.

ფანდური სამლარიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტია, ჩანგი კი — ტანმობრილი ცხრა და მეტლარიანი მონადიეთი საკრავია. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, სახელთა აღრევასთან გვევს საჭმე. მაგრამ იქნებ იმას, რასაც დღეს ჩანგს ეძახიან, ძველად „ფანდური“ ეწოდებოდა. ფანდური, რომ ჩანგზე უწინაგვი ტერმინია, ამას მისგან ნაწარმოები სიტყვა — „საფანდურებელი“ — მოწმობს, რომელიც საუკუნის ძველში — „იპოლიტეს“<sup>3</sup> ქართულ თარგმანში გვხვდება. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გარკვეულია, რომ სახელი „ფანდური“ — მისგან ნაწარმოები ტერმინის — „საფანდურების“ მიხედვით X საუკუნეზე ადრე უნდა არსებებოყო. ჩონგურისა და ფანდუ-

რის ურთიერთობა კი გარკვეული არ არის, არც სახელისა და არც მნიშვნელობის მიხედვით. ამას ისიც ართულებს, რომ საბას არც ერთი ეს სახელი არა აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში. გასარკვევია საკითხი — რას ეწოდებოდა ჩონგური ან ფანდური? (რაც შეეება საკრავზე ამოჭრილ გამოსახულებებს — ჯიხვი და ორი ცხენი, ისანი, დ. არაყიშვილის აზრით, წარმოადგენდნენ შესაბამელოდ ჩონგურის დანარსს. ეს მოწყობლობა მოძრავი მექანიზმით იყო მართული საკრავის აგებულებაში, დამკვირვებელსავე თითის დაჭერით ქღერადობის შესაბამელოდ და გასაძლიერებლად მოძრაობაში მოჰყავდა იგი). გასარკვევია ჩონგურისა და ჩანგურის ურთიერთ დამოკიდებულება; რადგან საბოლოოდ არც მათი მსგავსება-განსხვავება დადგინალი. მართალია, ამის თაობაზე იოანე ბატონიშვილი, მუსიკის მოკლე სახელმძღვანელოში, იძლევა ერთგვარ პასუხს, რომლის მიხედვითაც ჩონგური და ჩანგური ორი სხვადასხვა საკრავია, პირველს აქვს 6 ფარდა, მეორეს — 8, ჩონგურს სამი სიმღ და მეოთხე ზილი (მოკლე სიმღ), ხოლო ჩანგურს 4 სიმღ გააჩნია, მაგრამ სხვა არსებითი განმასხვავებელი ნიშნების შესახებ იგი არაფერს ამბობს (იხ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი ფონდი № 2241, გვ. 11-12).


აკად. ივ. ჯავახიშვილის საფარადო მოსაზრებით, ჩონგური ფანდურის სახესხვაობა უნდა იყოს. ეს უკანასკნელი „ძალგებიან საკრავთაგან ერთი უძველესთაგანი ჩანს, ქართული ჩონგური რომ ფანდურის სინონიმია, ეს იმ გარემოებითაც მტკიცდება, რომ საქართველოს სხვადასხვა თემში ეს ორი სახელი ერთ და იმავეს, ანდა ორს მსგავს საკრავს ეწოდებოდა“. ამასთან მეცნიერი აღნიშნავს, რომ „ფანდური წინათ ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული და ხალხური სიტყვიერი შემოქმედებისა, მელექსიებისა და სიმღერისათვის აუცილებელ საკრავს წარმოადგენდა“<sup>3</sup>. ამასვე მოწმობს ჩვენს მიერ 1947 წელს ღუმეთის რაიონის სოფ. ვეძათევში ჩონგურის (ფანდურის) რაობისა და დამზადების თაობაზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა. კერძოდ, ჩონგურის შესახებ ნუცა გაბის ასული ბელაური-ინაშვილი (80 წლისა) და სა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 151-152.

<sup>2</sup> Аракчиев, Д. Народная песня западной Грузии, გვ. 137—138.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 146-156.

ფანდურისა და ჩონგურის სახესხვაობანი.




ნდრო სიმონის ძე ინაშვილი გვიამობ-  
დნენ: — „ჩვენ უბანში — ინანთ  
უბანში სულ მერონგურები არან.  
ყველამ იცის გვარად ჩონგურის კე-  
თება. ამისათვის მასალა პირიქიხევეში  
იშოვება და იქიდან მოაქვთ. ჩონგუ-  
რი რვაკლემუცლიანია, ფანდური —  
კი ბრტყელმუცლიანი. მოხეური ფან-  
დური ცოტა სხვანაირია, ხეგასურული  
კიდევ სხვანაირი“. თუ იგი დიდია,  
ჩონგური ეწოდება, პატარას — კი  
ფანდური.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსაე-  
ლეთ საქართველოს მთიანეთში ფან-  
დურსა და ჩონგურს არ ანსხვავებენ.  
იმასაც, რასაც ბარში ჩონგურს უწო-  
დებენ, მთიანეთში ფანდურს ეძახიან.  
დასავლეთ საქართველოში (იმერეთ-  
სა, გურია-სამეგრელოსა და აფხაზე-  
თში) გავრცელებული ჩონგურის ტიპი  
აღმოსავლეთში იშვიათად გვხვდება.  
ისევე როგორც „აღმოსავლური ფან-  
დური“ სტუმარია დასავლეთ საქარ-  
თველოში. კიდევ უფრო საკვირველია,  
რომ სახელი ფანდური, როგორც თიქ-  
ვა, დასავლეთ საქართველოში ჩანქ-  
სთვის უწოდებიათ, რაც თავისთავად  
საგულანხმო მოვლენას წარმოადგენს,  
სხვადასხვაგვარია ამ საკარების და-  
მზადების ტექნიკაც.

როგორც წესი, ჩონგურის გაკეთება  
გარკვეულ დახელოვნებას მოითხოვს.  
კიდევაც ამით იყო გაპიროვნებული  
მეჩონგურება, რომელიც ემყარებო-  
და წინაპართა ცოდნა-გამოცდილება-  
სა და ტრადიციით განმტკიცებულ  
წესებს. იქმნებოდა ამ ხელობის მიმ-  
დევარი გვარი.

ამის საინტერესო მავალითაა გვაძ-  
ლევს მეჩონგურე ინაშვილების საე-  
ვარეულო.

მისი ერთი შტოს უფროსი წარ-  
მომადგენელი, პაპა სიმონი, არა მარ-  
ტო ნაქები მოხელე ყოფილა ჩონ-  
გურისა და გუდა-სტირის, არამედ სა-  
უკეთესო და განთქმული დამკვირ-  
ვლიც. ასევე შეუდარებელი მოხელენი  
ყოფილან ინაშვილების სხვა წარმო-  
მდგენლებიც — გიორგი, გიგია,  
ანდრია, ყარამანი და სხვ. მომდევნო  
თაობიდან — ალექსი, სანდრო და  
ირაკლი. განთქმულ მოხელედ ითვ-  
ლებოდა ინავე სოფლის მეცხოვრები  
კოსლა გროგოლის ძე შერმაღინაც.  
მისი ჩვენებით, საჩონგურე მასალა  
მათ მალარსკარიდან მოაქვთ ჩონ-  
გურისათვის. ხის ჯიშებს შორის  
ყველაზე კარგი ყოფილა ურთხმელი,  
მერე — ვერხვი და იფანი. მათზე  
ხშიანი კი თუთაა.



ტოშური (მარსენი) და ხეგასურული ფანდურები

იგი გვიამობს: „ამისათვის უნდა  
შევარჩიოთ უკორო, „სუფთა“ ხე,  
იმ ადგილიდან, სადაც ხშირად უბე-  
რავს ქარი. საჩონგურედ უშობესია  
ტოტებშუა მდებარე ხის ნაწილი. ხის  
მრუდე ტოტებიანი ნაწილი ამ მიზ-  
ნისათვის უვარგისია. საგანგებოდ  
მოჭრილ ხის მორს შუაზე გააპობენ,  
თითოეულს „დედას“ უწოდებენ. ორი-  
ვე გამოსადგება ჩონგურისათვის.  
საბოლოო მოტანაზე ამ მასალას მო-  
არიდებენ მზესა და ქარს. მათი შე-  
ნახვა უშვობესია სივრილეში, სადაც  
უნდა ინახებოდეს 30 დღეს. თუ მა-  
სალა კარგად არ გამოშრება, იგი გა-  
იზარება და შრომა წყალში ჩაყენი-  
დება. „დედა“ ასე უნდა დამზადდეს:  
საკებიით ჯერ გულს ამოვთხრით,  
ხოწით ამოვასუფთავებთ; წინდაწინ  
მომზადებულ გვაქვს საგულე, მას  
წებოთი დაეკურა-და უნდა „დედაზე“.  
ასე რამდენიმე საათი ვაჩერებთ. შემ-  
დეგ ტარზე საქცევებს და ოდესღაც ჩა-  
ვებმარებთ, ამას საქცევის უღელი  
ეწოდება. გულის ფიცარს სახმოდ  
შუშში გაუვხვრტო, მერე ლარების

გადასაწყობად „ჯორა“ — გაკეთებთ.  
ჯორას „ქელზე“ 4 ჭედს ამოჭრით,  
რათა მასში ადვილად ჩაჯდეს ლარი.  
ჩონგურის ლარი ცხერის ნაწლავი-  
საა. ნაწლავი ჯერ უნდა გაიარეცხოს,  
შემდეგ ნედლად გაიჭიმოს სივრიეზე.  
გაშრება მზეზე ორ-სამ დღეს. მერე  
გაუსვამენ ნიორს. როცა მოიხსნება,  
გორგლად უნდა დახვევა და იხმარ,  
როცა საჭირო იქნება. ჩონგურის გუ-  
ლის ფიცარი ფიჭვისა უნდა იყოს,  
რომ წკრილა ხმა გაიღოს და ზარი-  
ვით აგუგუნდეს. ერთი ჩონგურის გა-  
კეთებას 3 დღე სჭირდება. ასეთია  
აღმოსავლეთ საქართველოში „ჩონ-  
გურის უღებელი“ საკრავის დამზა-  
დების წესი. დაახლოებით ასევე  
უნდა „ფანდური“. რაც შეეება და-  
სავლურ ჩონგურს, იგი სხვანაირად  
კეთდება; აღმოსავლური ჩანგურის  
ტიპი ერთიანი ხისაა, დასავლეთის  
ჩონგურის ტიპი „ნატრებისაგან“, მხო-  
ლოდ ხის თხელი შოლტებისაგან შედ-  
ება. გვაშს შემოდან დაკრული აქვს  
„გულის ფიცარი“, ხოლო შემთ ტა-  
რი. ტარი დაყოფილია „საქცევებით“.



ტარს ბოლოში აქვს სამი საჩინვე, ხლოო ქვემოთ, ტარის დასაწყისთან — ერთი. დანარჩენი ნაწილები: ჯორაკი, ჭდეგები და ლარის (აბრეშუმის დაფი) გამოსამბელი კინთა ბოლოს უკეთდება, შემდეგ აებმის ლარები, ახუ სიმები (აბრეშუმისა) და აწყობისათვის, ძირითადად, ესაა საჭირო...

„დასავლური ჩონგური“, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებულია გურია-იმერეთსა და სამეგრელო-აფხაზეთში, პირველად აღწერა და მისი მეცნიერული ანალიზი მოგვცა ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა (იხ. Д. Аракчиев, Краткий очерк развития грузинской народной музыки, М., 1910).

აღნიშნული ჩონგური, აწინდელი ფანდურისაგან განიხილება არა მარტო ტანის აგებულებით და სიმთა რაოდენობით (პირველს აქვს 4 სიმი, მეორეს 3), არამედ შესრულების წესითაც. — ჩონგურზე დაკვრა „თითების აყრით“. (ამოსმით) სწარმოებს, ფანდურისა — კი „ხელჩამოყვრით“ (ჩამოსმით).

ჩანგურზე და ფანდურზე უფრო ქალები უკრავდნენ, რაც მათ უფრო შვეწოდით კიდევ. კარგად იცოდნენ ამ საკრავების გამოყენება ადგილისა, დროისა და ვითარების შესაბამისად.

განსვენებული კომპოზიტორი დ. არაყიშვილი შენიშნავს, რომ „სოლო სიმღერები და მაჩაბლის მოწმობით, გასული საუკუნის 50-იან წლებამდე არსებობდა და მას ქალები ასრულებდნენ ჩანგის აკომპანიმენტით..“

50-იანი წლების შემდეგ კი, როგორც დაგ. მაჩაბელი წერს, ქალების სიმღერა „საზანდრების“ სიმღერამ განდევნა და მთლიად გაქარდა. ამნიანი სიმღერა ახლა დაცულია გურიისა და სამეგრელოში და სრულდება სიმე-

ბიანი საკრავების ჩონგურის ან ჩანგის აკომპანიმენტით... (იხ. დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, ქუთაისი, 1925 წ. გვ. 6-7).

ჩონგურის საკიობთან დაკავშირებით ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ პავლე აკოშიამ დიდად საკულისხმო საკიობი დააყენა ქართველ მეცნიერთა და მუსიკოსმცოდნეთა საყურადღებოდ. იგი წერს: „ყოველი დიდი გარდატეხის ხანა შეუბრალებლად ანადგურებს თუმცა ძველს, მაგრამ მეტად ძვირფას კულტურის ძეგლებს. ჩვენ დიდ გარდაბრუნებულ გეოქონი, საბჭოთა ხელისუფლება თუცა დიდად ზრუნავს იმისათვის, რომ არ დაიღუპოს მიიზნელოვანი ძეგლები, მაგრამ ამ მხრივ იმდენად მრავალია სამუშაო, რომ ძიელია ყველაფერს გაწვდნით და ყველა ძეგლები დაცულ იქნას.“

სხვა მრავალთა შორის, მე მედღველობითაა მაქვს ხალხური სიმღერების, ხალხური მუსიკის ძველი და უძველესი ძეგლების ბედი, უკვე მრავალმა ძველმა სიმღერამ დაჰკარგა არსებობის შესაძლებლობა. სწარმოებს გამალებული შემოქმედებითი მუშაობა სულ ახალი და ახალი სიმღერების და მუსიკის შესაქმნელად. კიდევაც იქმნიებიან ისინი, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ძველის დაიწყებისა და უგულვებელყოფის ნიშნით.

უშვავლია, რომ თქვენ, ქართველ მეცნიერთ, ძლიერ გარდა მოგესტეებით აუცილებელი საჭიროება იმისა, რომ შენარჩუნებულ იქნას ხალხური მუსიკის ყველა ძეგლი — ძველი და უძველესი სიმღერები, ფერსულები, საკრავები და დაკვრის წესები საჭირო და სათანადო სახით, რათა არ დაეკარგოს მომავალ თაობას წინაპართა მიღწევები და მონაპოვარი ამ

4 დღენამ ამ წერილისა ინახება ჩვენთან.

საქმეში. ვფიქრობთ, ამ მხრივ მე და ჩემი ძმის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ მომღერალ-მწიგნურეთა გუნდს ერთგვარი სასახურის გაწვევა შეუძლია, თუ ამ საქმეში გვექმნება ქართულ მეცნიერთა და სპეციალისტთა მხარდაჭერა და ხელისუფლების ნებართვა-დახმარება.

სულ მოკლე ხანში ჩვენ შეგვიძლია ქართველ საზოგადოებას წარმოვუდგინოთ ორმოცდაათამდე მეგრული ხალხური სიმღერა თავისი ტექსტებითი სახით.

დასამალი არ არის, რომ ქართული ხალხური სიმღერების მდგომარეობა, ამჟამად, ძალზე სავალალოა. არც ხალხური და არც მომღერალთა გუნდების უმეტესობა სწორად არ ასრულებს ძველ მამა-პაპურ სიმღერებს, რაც მათ სრულ ვადგვიანებას უქმნის კერძოდ, მრავალი მეგრული სიმღერა დამახინჯებულად არის ჩაწერილი და გადაღებული ფირფიტებზე და ამ ხანით ვრცელდება ხალხში. უდავთა, რომ დამახინჯებული სახით ჩაწერა არის, ერთი რომ, სამარცხვინო მოვლენა, მეორეც — დიდად საზიანო საერთო საქმისათვის.

ხალხური სიმღერების ჩაწერის აუცილებლობაზე უკვე საფუძვლიანად მეგრის ილაპარაკა ისტორიის ინსტიტუტში ჩვენმა მსოფიანმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც ამასთანავე დასახ კონკრეტული გზები მასალის მეცნიერული ნებორწმინდისა და ჩაწერის შესახებ.

ჩვენ — მე, ჩემი ძმა — ბეგლარი და რაბალი ქიონია, მზად ვართ თუ ამას დაგვავალებს ხელისუფლება, ან ინსტიტუტი.

არ იქნება ამისათვის საჭირო დიდი დრო და ხარჯები, ვინაიდან ბევრი რამ ამათავიერებ უკვე გვაქვს დამუშავებული და გაკეთებული“.

პავლე აკოშია, თბილისი, 1939 წ.



# მოდის მუსიკოსთა ცვლა

## ჯემალ თევდორაძე

თბილისის იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის მეექვსე მუსიკალურმა სკოლამ თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე მრავალი მუსიკოსი აღზარდა. იგი ნაყოფიერ სამუშაო-სრულებლად და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც.

1921 წელს საბჭოთა საქართველოში განათლების სახალხო კომისიარბიტან ჩამოყალიბდა მუსიკალური განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამთრეხელი ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე მელიქონ ბალანჩივაძე.

საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე დიდი ყურადღება მიაქცია მოზარდი თაობის მუსიკალურ აღზრდას. ამ მიზნით 1921 წელსვე თბილისში დაარსებული მუსიკალური სტუდიები შემდეგ მუსიკალურ სკოლებად გადაკეთდა. ერთ-ერთი ასეთი სტუდიის საფუძვლზე შექმნილი დღევანდელი მე-6 და მე-7 სკოლები, რომლებსაც თავდაპირველად საერთო დირექცია ხელმძღვანელობდა.

პირველ ხანებში სკოლას არ გააჩნდა სათანადო მატერიალური ბაზა. საორგანიზაციო მეცადინეობა და მუშაობა ტარდებოდა პედაგოგთა (მ. ზომერის, ზ. მირზაშვილის, მ. გვედევანიშვილის, ნ. ბელეცკაის) ბინებზე.

თავდაპირველად სკოლაში იყო სამი განყოფილება: საფორტეპიანო, საორგანო და ვოკალური. დროთა განმავლობაში, როდესაც დადგინდა სკოლაში მისაღებ მოსწავლეთა ასაკი, ვოკალური განყოფილება სასწავლებლებში გადაიტანეს. ამ პერიოდში სკოლაში მოღვაწეობდნენ პედაგოგ-

ბი მ. ზომერი, ზ. მირზაშვილი, ე. ტურ-გრიგორიანი, ვ. ალექსანდროვა, ნ. ბელეცკაია, ე. ბაბაქანოვა, ნერეუსენკო (საფორტეპიანო განყოფილება); ბ. ლუბლინსკაია (საორგანო განყოფილება); მ. გვედევანიშვილი, ა. რუდენკო და სხვები (ვოკალური განყოფილება). მე-6 მუსიკალური სკოლის ვოკალური განყოფილების ერთ-ერთი პირველი მოსწავლე გახლავთ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელიზავეტა გოსტინინა.

1933 წელს განათლების სახალხო კომისიარბიტის ინიციატივით VI და VII მუსიკალურმა სკოლებმა მიიღეს ორი დიდი ოთახი კალინინის ქუჩაზე, სადაც მოთავსდა ადმინისტრაცია. აქვე ტარდებოდა მეცადინეობა თეორიულ საგნებში (რომელთა სწავლება შემოიღეს 1930 წლიდან), ხოლო სპეციალობის გაკვეთილები კვლავ პედაგოგთა ბინებში მიმდინარეობდა. 1939 წელს სკოლას დაეთმო 77-ე საშუალო სკოლის შენობის მიუღებ ქვედა სართული, სადაც განლაგდა საკლასო ოთახები, გადმოტანა იქნა მოსწავლეთა ჯგუფური მეცადინეობა და, ნაწილობრივ, სპეციალობის გაკვეთილები.

1948 წელს შეემდგომა ორგანოების დადგენილებითა და დამხმარებით სკოლაში მიიღო საკუთარი შენობა (ნ. ჩხეიძის ქ. № 29), რომელშიც ამჟამად იმყოფება მე-6 მუსიკალური სკოლა. შემდგომში შენობა გაფართოვდა, მოემატა საკლასო ოთახები, საკონცერტო დარბაზი და დამხმარე სათავსოები. თუ ადრე სკოლას არ გააჩნდა კლავიშებიანი და საორგანო ინსტრუმენტები, ამჟამად იგი ამ ცხრილ უზრუნველყოფილია. საგრძნ-

ბლად გაიზარდა აგრეთვე სასკოლო ბიბლიოთეკა.

პირველ წლებში სკოლა 85 მოსწავლეს აერთიენებდა (მხოლოდ საფორტეპიანო განყოფილება). მომდევნო პერიოდში აღინიშნებოდა მოსწავლეთა რაოდენობის სწრაფი ზრდა, 50-იან წლებში კონტინგენტი 900 მოსწავლედღე გაიზარდა.

სკოლის მუშაობაში სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ინსპექტორებმა ზოია მირზაშვილმა, რომელიც შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგედ დაწინაურეს, ნინო ბელეცკაიამ, დირექტორმა ელენე გვედევანიშვილმა, სასწავლო ნაწილის გამგემ ნ. ჩილოვამ, მულაღტემა ი. ჯანიკაშვილმა (რომელიც დღემდე მუშაობს სკოლაში).

1936 წელს სკოლაში ჩამოყალიბდა ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი, რომელიც შემდეგ შეიქმნა მუსიკალური ათწლეუდში (ამჟამად ცენტრალური მუსიკალური სკოლა) გადავიდა, და ბავშვთა ხმის დაცვის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მ. გვედევანიშვილი და ლუცკენო. ე. გვედევანიშვილის მოღვაწეობისას სკოლის მუშაობა საგრძნობლად გაიშალა. დიდი ყურადღება მიექცა მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ წარმატებასა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას. სწორედ მისი ინიციატივით მიენიჭა სკოლას იპოლიტოვ-ივანოვის სახელი.

ე. გვედევანიშვილის მოსკოვში გადასვლისთან დაკავშირებით 1939 წელს მე-6 და მე-7 მუსიკალური სკოლების დირექტორად დაინიშნა ზ. მირზაშვილი.

1940 წელს სკოლაში ჩამოყალიბდა

მოსწავლეთა პირველი ორკესტრი, რომელსაც ჩელოს კლასის პედაგოგი იხიკვეიანი ხელმძღვანელობდა. მოსწავლეთა ორკესტრი წარმატებით გაიმართა კონცერტებზე, რის გამოც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ინიციატივით, მასში გაერთიანდნენ თბილისის ყველა მუსიკალური სკოლის საორკესტრო განყოფილების მოსწავლენი. ორკესტრის ხელმძღვანელად დაინიშნა ხელოვანების დამასხურებელი მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი, დირიჟორი მ. ძიძიშვილი.

სამამულო ომის დაწყების შემდეგ მუსიკალური სკოლა დროებით გადაიტანეს კალინინის ქუჩაზე, მაგრამ შემოქმედებითი მუშაობა არ შესუსტებულა. პედაგოგები მოსწავლეებთან ერთად კონცერტებს მართავდნენ თბილისის სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში, რისთვისაც მიღებული აქვთ არა ერთი მადლობა, სიგელი, წიგნები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სკოლის დირექტორის ზ. მირზაშვილისა და პედაგოგების ე. ტერ-გრიგორიანის, ბ. ლუბლინსკაიას, თ. მელიქი-უბარაძის, ნ. გვიონდიანის უნარიანი მუშაობა. აგრეთვე ახალგაზრდა პედაგოგების თ. ქართველიშვილის, მ. კალანდის საქმიანობა.

1948-55 წლებში სკოლა შეფობდა სხვადასხვა ორგანიზაციას და ხშირად ატარებდა თემატურ კონცერტებს, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სკოლის მთელი კოლექტივი, მათ შორის პედაგოგები: ე. ჩილთაშვილი, ლ. კეჭეკაძე, ე. ქაჯარაძე, თ. დეკანოზილი, მ. მემარიაშვილი, მ. ვართაშაიანი, ნ. ბერიშვილი, ლ. ბროუნი, ლ. ირმაი, ე. ერნსტენკო, ე. შარმაშოვა, რ. ენციბაროვა, ფ. გორენბურგი, ნ. არუთიშოვა, თ. კორძაია, მ. თავაძე და სხვები.

1953 წელს ქალაქის ყველა მუსიკალური სკოლა გადაეცა შშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს კულტურის განყოფილებას. ჩატარდა სკოლის შენობის რეკონსტრუქცია, დიწვეთი მთორე სართულის მშენებლობა, გაფართოვდა საკლასო ოთახები და ყველა უბანზე უფრო ნაყოფიერად გაიშალა სკოლის მუშაობა.

გაფართოვდა შემოქმედებითი მუშაობის საზღვრებიც. 1954-58 წლებში სკოლა დიდ დახმარებას უწევდა ქ. რუსთავის ახალდაარსებულ მუსიკალურ სკოლას, სადაც ტარდებოდა ლექციები, მოხსენებები, ღია გაკვეთილები, კონცერტები და სხვა.

შემოქმედებითი კავშირი დამყარ-

და ერევნის სპენდიაროვის სახელობის მუსიკალურ სკოლასთან, რომელიც წლების მანძილზე ნამდვილი მეგობრობაში გადაიზარდა.

დიდი ყურადღება ეთმობოდა მეთოდურ მუშაობას. ხელოვნების სამმართველოს ინიციატივით კვალიფიკაციის ასამაღლებლად პედაგოგები მოსკოვში იგზავნებოდნენ. გარდა ამისა, თემატური ლექციებისა და გაკვეთილების ჩასატარებლად იწვევდნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგებსა და მოსკოველ პროფესორებს ა. იხილესასა და ლუბოვსკის. საგნობრივ კომისიაში გაერთიანდნენ მაღალკვალიფიციური, გამოცდილი პედაგოგები.

საქართველოს მთავრობამ ღირსეულად დააფასა ზ. მირზაშვილის ღვაწლი მოზარდი თაობის მუსიკალური აღზრდის საქმეში და 1950 წელს რესპუბლიკის დამასხურებელი მსწავლეების საბაჭიო წოდება მიანიჭა.

1958 წელს ზ. მირზაშვილის გარდაცვალების შემდეგ სკოლის დირექტორად დაინიშნა საქართველოს სსრ დამასხურებელი არტისტი ნათელა ფოცხვირაშვილი. მისი დირექტორობის პერიოდში დამთავრდა შენობის რეკონსტრუქცია, სკოლამ დამატებით შეიძინა კლავიშებიანი ინსტრუმენტ-

თბილისის იპოლიტო-ივანოვის სახელობის VI მუსიკალური სკოლის კოლექტივი.







ბი. კიდევ უფრო განმტკიცდა მეგობრობა ვრეხელ მეგობრებთან და ჩატარდა გაცვლითი კონცერტები ერევანსა და თბილისში.

სკოლის კარგი მუშაობა განაპირობა აგრეთვე სასწავლო ნაწილის გამგემ თინა კორძაბამ, რომელიც დღემდე კეთილსინდისიერად უძღვება სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას. უნარები მუშაობით მან კოლმეტიკის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

თითქმის 10 წელიწადია, რაც სკოლას ხელმძღვანელობს არჩოლ გამცემლიძე. რომელიც თავიდანვე აქტიურად ჩაება მუშაობაში და მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა.

სკოლაში საერთოდაც ამტკიცდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, რომელიც დაინდობოთა ახალ სამუშაო გეგმაზე. სისტემატურად ტარდება საგნობრივი კომისიის სხდომები. გამოცდილი პედაგოგები დახმარებას უწევენ დამწყვეთ პედაგოგებს. ტარდება პედაგოგთა ანაგვავითობის, ხდება მათი გარჩევა. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით არაერთხელ მოვიწვიეთ კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები. ამჟამად სკოლის კონსულტანტად მოწვეულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ელენონრა ექსანიშვილი, რომელიც მაღალკვალიფიციურად გვეხმარება.

საფორტეპიანო განყოფილების მეთოდოლოგისა ხელმძღვანელობს პედაგოგთა მის და მამასხურეული ავადოგოი ლუსია კვეციანი. ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე საფორტეპიანო განყოფილების საგნობრივი კომისია (მ. ვართაზაროვი, მ. გვერდიანი, ლ. ბროუჩევი, ლ. ირმაი, ა. იაკიმენკო, ე. ერმოლოვი).

სკოლის მტკიცე კონტაქტი აქვს დამყარებული ერევნის სპეციალური სახელობის და მოსკოვის იპოლატოვ-ივანოვის სახელობის მუსიკალურ სასწავლო-აღმზრდელობით, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა სასწავლო-საღმზრდელო მუშაობა. ამ კონტაქტების დროს ტარდება მაღალი პროფესიული დონის კონცერტები, ხდება გამოცდილების გამზარება, წამყვანი პედაგოგების გაკვეთილების მოსმენა და სხვ.

მეექვსე მუსიკალურ სკოლაში წამყვანი ადგილი უკავია საფორტეპიანო განყოფილებას, რომელიც პირველი დიდხანვ არსებობს. მის ჩამოყალიბებას დიდი ღვაწლი დასდო პედაგოგთა პირველმა თაობამ: მ. ზომბაძე, ზ. მირზაშვილი, ე.

ტერ-გრიგორიანმა, ვ. ალექსანდროვამ, ნ. ბულუკვიამ, ე. ბაბაჯანოვამ.

30-იან წლებში სკოლას შეებატა ახალი პედაგოგიური კადრები, რამაც, კიდევ უფრო ფართოდ გაშალა საშემსრულებლო და შემოქმედებითი მუშაობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პედაგოგები ნ. ნუნუპაროვას, ქ. ლორთქიფანიძის, ნ. ნავასარიანის, მ. თევზაძის, ლ. ქაიხანიის, ე. შირმაზანიანის, ნ. დროშინის, ვ. კაპანაძის, ტ. აბრამონის, ნ. ხალატოვას, ე. ცინციძის, მ. თავაძის, მ. კარახანიშვილის, ა. აბგაროვას, ი. ანდრიკაშვილის, ლ. ბაიძის, ე. პუნეს, ნ. ლისიყვიას, ი. ფირალიშვილის მოღვაწეობა.

ამ პედაგოგთა ნაყოფიერ შრომას ადასტურებენ მათი აღზრდილი მოსწავლეები, რომელნიც წარმატებით განაგრძობენ სამშენაულებლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მათ შორის არიან კომპოზიტორები: საქართველოს სახალხო არტისტო პროფესორი რევაზ გაბიჩაძე (პედაგოგ ე. ტერ-გრიგორიანის კლასი), საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დოცენტი ნ. გუღიაშვილი (ნ. ლალოშვილის კლასი), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, რეპერტუარის დამსახურებული არტისტი ნ. ნათიშვილი (ზომბაძის კლასი), კონსერვატორიის დოცენტი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გულნარა ჭაეთარაძე (ნუნუპაროვას კლასი), სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ქ. მალხასიანი (ბაბაჯანოვას კლასი) და სხვები.

წლების მანძილზე მე-6 მუსიკალურ სკოლაში მოღვაწეობდნენ დამსახურებული პედაგოგები: მ. მემქანიაშვილი, თ. დეკანოზიშვილი, ე. ქავთარაძე, თ. ქუთათელიძე, ქ. ჩიოთყაშვილი, ვ. ნემბატი, რომელთაც დღესაც არ შეუწყვეტიათ კავშირი სკოლის კოლმეტიკთან.

სკოლა პატივისცემით ინახავს პედაგოგების ლ. როგინერის, ა. ამბოკაძის, თ. ქართველიშვილის, ა. აბგაროვას, ნ. ჭიჭინაძის ნათელ სხეფას.

ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობენ დამსახურებული პედაგოგები: ლ. კვეციანი, მ. გვერდიანი, ნ. ანაშიბაძე, აღსანიშნავია აგრეთვე სკოლის ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც დაუბრუნდნენ შრომლოურ კერას და ამჟამად ემსახურებიან ახალი თაობის მუსიკალური აღზრდის საქმეს. მათ შორის არიან: მ. ვართაზაროვი, ლ. კონიავე, ვ. კონიავე, ლ. ბროუჩევი, მ. კალანდია, ე. ერმოლოვი, ი. პეტროსოვა, მ. ძნელაძე, ი. მუხრანშივილი, ნ. ნაცვილიშვილი, ლ. აბესაძე,

ც. ნეფარიძე, ლ. ჯვანია, მ. ბოიაჯიანი, მ. ბაძენაძე.

უკავსებელი 25 წლის მანძილზე სკოლის საფორტეპიანო განყოფილება დამთავრა 1832 მოსწავლემ, აქედან 400-ზე მეტი მათილო საშუალო და უმაღლესი სპეციალური მუსიკალური განათლება.

საორგანო კლასი თავიდანვე თვალსაჩინო როლი ასრულებდა სკოლის მუსიკალურ ცხოვრებაში. მას არა ერთი გამორჩენილი მუსიკოსი აღუზრდა, რომლებიც ამჟამად ნაყოფიერ შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან სხვადასხვა მუსიკალურ დაწესებულებაში.

30-იან წლებში ამ განყოფილებას სათავეში ედგნენ ცნობილი პედაგოგები: მ. ლუბლინსკია, მ. ტერ-გრიგორიანი, მ. მაქსიმოვა, ტ. კაპანაძია — ვიოლინის კლასი. ჩელოს კლასს (1935 წ.) ხელმძღვანელობდა წამყვანი პედაგოგი თამარ მელიძე-ნუნუპაროვა, ხოლო კლარნეტის კლასს — პედაგოგი ე. შოგია.

სკოლაში პერიოდულად მოღვაწეობდნენ ა. ხონგერი, თ. ჩრსკი, ლ. ტურსიანი, ი. გურგენი — ჩელოს კლასი; ი. რიხიერი — კლარნეტის კლასი; ვ. გორნბურგი, ი. გვეციანი — ვიოლინის კლასი; აგრეთვე კონსერვატორიის დოცენტი ნ. პოლისოვი. აქ ასწავლიდნენ პედაგოგები თ. საფარიშვილი, გ. ბურილოვა, ლ. აღმაშენებელი.

საორგანო განყოფილების წარმატებამ გარკვეული როლი მიუძღვის კონცერტების კლასს.

მე-6 მუსიკალური სკოლაში მიიღეს დაწყებითი მუსიკალური განათლება საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, თამარ გაბარაშვილმა (დამსაბედი. თ. მელიძე-ნუნუპაროვას კლასი). კომპოზიტორებმა: რევაზ ლაღიძემ, ვაჟა აზარაშვილმა (პედ. ლუბლინსკიას კლასი), სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბორის ჭაეთარაძემ (პედ. ლუბლინსკიას კლასი) და სხვებმა.

ამჟამად სკოლის საორგანო განყოფილებაში მოსწავლეები ეუფლებიან ვიოლინის, ალტის, ჩელოს, კლარნეტისა და არფის (რომელიც შემოღებულ იქნა 1958 წლიდან) სპეციალობებს.

ვიოლინის კლასში ნაყოფიერად მოღვაწეობენ პედაგოგები: ნ. მერაშივილი, ვ. ხალილოვა, ა. შანიძე და ე. აკობაიანი.

მაღალი პროფესიული დონე და საქმისდმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ახასიათებს კლარნეტის კლასის პედაგოგ გურამ ჩინჩალაძეს,

აღსანიშნავია აგრეთვე არფის კლასის ხელმძღვანელის ნანა ყიფიანის მუშაობა.

საორკესტრო განყოფილებას ემსახურებიან თვალსაჩინო კონცერტმანისტერები: ნ. ცაბაძე, ე. თედორაძე, დ. უმანსკაია, ს. ტოპერმანი, ლ. დერგაიოვი, ასევე ახალგაზრდა კონცერტმანისტერები: მ. ტყემლაშვილი, მ. ბერიშვილი, ნ. ზაფრანაშვილი, ლ. კარტაშოვა.

საორკესტრო განყოფილებაზე ფორტეპიანოს კლასს ხელმძღვანელობს გამოცდილი პედაგოგი დ. უმანსკაია. მასთან ერთად მუშაობენ: ლ.

ყაზახაშვილი, ი. ჩოხელი, ლ. აბესაძე და გ. ქეშელაშვილი.

1963 წლიდან დღემდე საორკესტრო განყოფილება დაამთავრა 41 მოსწავლემ, რომლებიც თავისი პროფილის მიხედვით სწავლას განაგრძობენ მუსიკალურ სასწავლებლებში.

სკოლაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი მუსიკალურ-თეორიული საგნების სწავლებას.

30-იანი წლების დასაწყისში ამ დარგში მუშაობდნენ ცნობილი კომპოზიტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ალექ-

სი მაჭავარიანი, პედაგოგები: ე. ფორცხლაევა, თ. კვიციანი, ნ. ოცხელი, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს მუსიკალურ-თეორიული დისციპლინების სწავლებას.


მომდევნო წლებში სკოლაში მუშაობდნენ ამჟამად კონსერვატორიის, ცენტრალური მუსიკალური სკოლისა და სხვადასხვა სასწავლებლის წამყვანი პედაგოგები თ. ხუროშვილი, ა. ჭავთარაძე, ა. აგამაღლიანი, მ. სოფიას-ჯარაშვილი.

წლების მანძილზე მენ მუსიკალურ სკოლაში მოღვაწეობდნენ თეორეტიკოსები: ე. სოლოვიოვა, ა. უმანსკაია, ბ. აბულაძე, აღსანიშნავია აგ-

# მუხუანეი ლუნჯაბული

## ქესპონატები

ნინო გვათუა



ყალამქრის ნიმუში

მბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდში დაცულია მდიდარი კოლექციები: არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ნივთები, ხელნაწერები და სახვითი ხელოვნების ექსპონატები. საკუთრივ ეთნოგრაფიის ფონდი შეიცავს ძველი და ახალი ყოფის ამსახველ სხვადასხვა ხასიათის ექსპონატს: ტანსაცმელს, თავსაბურავებს, ფეხსაცმელს, ქსოვილებისა და ქარგულების ნიმუშებს, ამქართა დროშებს, ლითონისა და კერამიკის ტურქულს, კუსტარული წარმოების იარაღებს, ავეჯსა და მოწყობილობებს.

ამ ბოლო დროს ერთობ გაიზარდა ჩვენი მუზეუმის ფონდებით სარგებლობის მოთხოვნობა. აქ მოდიან სპეციალისტები როგორც საქართველოს, ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიგიდან და საზღვარგარეთის ქვეყნიებიდანაც კი.

საყურადღებოა, რომ ჩვენს მუზეუმში დაცული არა ერთი ეთნოგრაფიული ნივთი, სხვა გამოკვებითან ერთად, უცხოეთშიც იყო ექსპონირებული (საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, თურქეთი).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის ყოფაცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქსოვილს, რომელსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს (ტანსაცმელი, ლოჯინი, სახლის მოწყობილობის გასაფორმებელი მასალა და სხვ.). გარდა ამისა, დიდ ინტერესს იწვევს ქსოვილის ფაქტურის მრავალსახეობა (ნარმა, ჩითი, ყალამქარი, აბრეშუმი, ზავერდი, ჭირმანშალი, დიბა, სტაგრა, ატლანი, ოქსინო, ხაითინი ხალიჩა,

რთულ ლ. შურმუხტაშვილის, ლ. თე-  
ნიშვილის, ლ. ვასაძისა და ლ. ჭვა-  
ნიას მუშაობა.  
მისწავლეობდა და პედაგოგებს დიდ  
დახმარებას უწევს სასკოლო ბიბლიო-  
თეკა, რომელიც სისტემატურად ივ-  
სება ახალი მუსიკალური და მხატვ-  
რული ლიტერატურით (ბიბლიოთეკა-  
რი ლ. გიორგაძე).

თეორიული გასყოფილების პედა-  
გოგები ატარებენ თემატურ ლექციებს,  
მოსწავლეებს, აღნიშნავენ მნიშვნელო-  
ვან საინტელექტუალურ თარიღებს. მკვლევ-  
არად, აღინიშნა ბეთხოვერის, მოცარ-  
ტის, პროკოფიევის, ფაიალაშვილის  
საიუბილეო თარიღები.

თეორიულ განყოფილებაში შედის  
აგრეთვე საკუნძო კლასი. ჯერ კიდევ  
30-იან წლებში სკოლაში ჩამოყალიბ-  
და გუნდი, რომელსაც საკუნძო საქ-  
მის მცოდნე ა. რუდენკო ხელმძღვა-  
ნელობდა, მომდევნო წლებში გუნდი  
დაიშალა, მაგრამ ხელმწივრად ჩამო-  
ყალიბდა 50-იან წლებში (ხელ-  
მძღვანელი ლ. ოქელაშვილი). 1957  
წელს გუნდის მასწავლებლად დაინი-  
შნა ამავე სკოლის აღზრდილი ნატა  
ზერიშვილი (პედაგოგ ნერუშვილის  
კლასი), რომელიც კარგად უძღვება  
თავის საქმეს. სკოლის მისწავლელთა

გუნდი ყოველთვის წარმატებით გა-  
მოსდის საინტელექტუალურ კონკურტებზე  
გუნდის მუშაობას ხელს უწყობენ  
კონცერტმასტრები: ნ. ნაცვლიშვილი,  
ლ. აბუქაძე და განსაკუთრებით  
გამოვლილი მუსიკოსი ნ. ცაბაძე.  
იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის  
მე-6 მუსიკალური სკოლა მნიშვნე-  
ლოვანი წარმატებებით სხედება თავი-  
რი არაბობის 50 წლისთავს. სკო-  
ლის პედაგოგიური კოლექტივი კვლავ  
დაუღალავად იღვწის, რათა გა-  
აგრძელოს სახელოვანი ტრადიციები  
და მომავალშიც თავდადებით აღზა-  
რდოს ნორჩ მუსიკოსთა თაობა.

უხაოთ ფარდაგი და სხვ. მათი დეკო-  
რი და ფერადონება.

ქართული ხალხური ფეიქრობა  
უძველესია, რასაც მითწმობს არქეო-  
ლოგიური გათხრების დროს აღმოჩე-  
ნილი კოლხ ფეიქრობა ნახელავი --  
ქსოვილების ნაშთები, აგრეთვე ძვე-  
ლი ბერძენი ისტორიკოსებისა და გეო-  
გრაფების -- პეროდოტეს, ქსენო-  
ფონტეს, სტრაბონისა და სხვათა ცნო-  
ბები, რომლებიც მოგვითხრობენ ქარ-  
თული სკლის ქსოვილების საუკეთესო  
ხარისხზე, განთქმული საფეიქრო  
ნაწარმის ქვეყნის გარეთ გატანის შე-  
სახებ. საყურადღებოა, რომ იმ დროის  
უცხოეთის ბაზარზე ქართული სკ-  
ლი სარდონის სახელით იყო ცნო-  
ბილი. საქართველოს საფეიქრო ნა-  
წარმის აღებ-მიცემობაზე მითითებენ  
აგრეთვე შემდგომი დროის ისტორი-  
კოსები, მოგზაურები და ელჩები. მა-  
გალითად, ზაქარია ყაზვინი, მარკო  
პოლო, ტურნეფორი, შარდენი, გიულ-  
დენშტედტი და სხვები.

უძველესი დროიდანვე დიდი ყუ-  
რადღება ექცეოდა როგორც ქსოვი-  
ლების ხარისხს, ისე მათს ესთეტიკურ  
მხარეს -- დეკორს, სახეების გამოყვა-  
ნა-დაჭრელებას, რომელიც სრულდებო-  
და სწავლასავე ტექნიკითა და ხერ-  
ხებით: დაჩითვით, მოხატვით, ქსო-  
ვით, ქარგულობით და სხვ.

განსაკუთრებით რთული და შრო-  
მატევადი იყო ქარგვის ხელოვნება,  
რომელიც იქარგებოდა ნემსით, ჩივი-  
ნით, სითვით, ნამაგრით, ყაისნაღუ-  
რი, ჯვრისებრი და კვანძური კერ-  
ვით, ბადისებური ნაწარმი კი ჩხირე-  
ბითა და ყაისნაღით იქსოვებოდა.

ქარგულობის სახეთა ურთიერთშე-  
სახება და სინატიფე დიდად იყო და-  
მოკიდებული მქარგავების დახელო-  
